

მ ა გ უ ა ნ

1881

წელი წ 1881 პირველი

№ VI, 036060.

• • •

თვედღისი.

ექვთიმე სედაძის სუამია, ლორის-მესტიულის ქუჩაზე.

1881



ପରିଚୟ ପରିଚୟ ପରିଚୟ

I.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
I.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
II.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
III.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
IV.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
V.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
VI.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
VII.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
VIII.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	
IX.	ପାଠ୍ୟାବଳୀରେ ଉପରେ ଉପରେ ଉପରେ	

ନେହା,

୪୦୩୧୩-୩୦୦୯୮

ସାଲିତ୍ରେଖାତୁଳ୍ୟ ଏବଂ ସାତରିଲିତ୍ରେଖା

କାଳିତ୍ରେଖାତୁଳ୍ୟ ଏବଂ ସାତରିଲିତ୍ରେଖା


ଜୁରିନାଲି।

୧881 ମେ ଫିଲିପ୍‌ପାର୍ଟ୍ ପ୍ରାଚ୍ୟାନି ଓ ଏକାକୀଳ

ରେଜିଷ୍ଟ୍ରେଷନ୍ ପାଇଲାଣ୍ଡି

୨୭

ଅନ୍ତର୍ଗତ ମହିନେ ପାଇଲା ରେଜିଷ୍ଟ୍ରେଷନ୍ ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲା ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି;
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି, ପାଇଲାଣ୍ଡି



ଏ ରେଜିଷ୍ଟ୍ରେଷନ୍ ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି
ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି

ପାଇଲାଣ୍ଡି

ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି

ପାଇଲାଣ୍ଡି

ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି ପାଇଲାଣ୍ଡି

ՀԱՅՈՑ ԵՎՀԱՅՈՑ

I.	Եպիսկոպոսական հայոց եղանակ և կազմը	1
II.	Գուգարակ (շին)՝ Հայ առաջարկ	16
III.	Հայոց տիլօվոյթության և ռահման առաջարկ	39
IV.	Խայութական առաջարկ և առաջարկ առաջարկ	55
	Օօշամնելիք	58

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 мая 1881 г.

V.	Խայութական առաջարկ և առաջարկ առաջարկ	56
	Օօշամնելիք	57
VII.	Առաջարկ առաջարկ առաջարկ	106
VIII.	Առաջարկ առաջարկ	119
IX.	Առաջարկ	128

օօշամնելիք
ՀԵՅԻՑ ՄԱՅԵՐԵՑ ԵՅՈՄԵՔ
ԼԱՅԱ

გამოცემის ზურგი

ამ წელი ეროვნული ბიბლიოთეკის უფროსი კონსალტინგენის და კულტურული მდგრადი მოვალეობის უზრუნველყოფის დროის განვითარების და აღმდეგ მოვალეობის მატერიალური და ფინანსური მდგრადი მოვალეობის განვითარების უზრუნველყოფის შემთხვევაში გარდასახლებულები.

წარმოდგენის უზრუნველყოფის განვითარების მიზანი უკუნ არა მიმღებ მომავალის გამოცემის და მოვალეობის განვითარების მიზანი.

«ვა სოფელო, რა შეიგან ხარ, რას გვაპრუნებ, რა ზნე გჭიროსა?!

ყოვლიმე უნი მონდომილი ნიადაგშეცა ჩემებრ ჰუკირსა.

სად წარიყვან ხადაურსა, სად აღუფხვრი ხადით ძირსა.»

ნახეთ, ღმერთიც თურმე სწირავს კაცა სოფლის განაწირსა.

მოგორი მას მარტივობის გაუმჯობესებული ქართველი და შემონაბეჭინობი დედი თე ტრირი ინტერესთა გა და I. ექვედური ძიგისაბა ატრემისტი თავისი კარგი და უნდა გვაკისებული მშენები მაისის ღამის კაშკაში მთვარე მომლიბარი ბატონის პირით დაჲყურებდა ქვეყანას და ერთნაირად ანა-თებდა, როგორც დიდი ბატონის არე-მარეს, ეგრეთვე გლეხი-კაცისასაც, და ერთნაირად უჩვენებდა გზას, რო-გორც დათბუნებულს და იარაღიანს, ყმებით შემოხვეულ მეზაერ ბატონს, ეგრეთვე სოფლიდგან სოფელს მიმა-ვალს, მარტოს და ტიტეველა ტანით და ფეხით, გულიან გლახას. სოფელი მარტოველ და გამოვალ უფრინს ის

ამ კაშკაშა ღამეშია აწყურის ციხე თავის ნანგრევე-შით წარმოადგენდა რაღაცა ფანტასტიკურ ქმნილებას ერთის მხრის საზევრავი კოშკი მიემსგავსებოდა მითიკურს მდევასა, რომელსაც თავის მაგივრად ჰქონდა მარტო სა-შინელი დიდი ცხვირი, თითქმის გულამდისინ ჩაწერდილი,

და, ძალა-შოსილ ლაპტად მიაჩნდა ერთი მარჯვნივ გაყო-
 ლებული კედელი, რომელზეც დიდის ხელით იყო და-
 პყრობილი. ეს ლაპტი მოღერებული ჰქონდა იმ კედელზედ,
 რომელზედაც თითონ მდევრი უფრო დამყარებული და რომე-
 ლიც წარმოადგენდა ულანო და დასუსტებულ ქმნილებას,
 კუტათ დაგდებულს. მეორე საზევრავი კოშკი ჰქონდა მო-
 ხუცს, წელში-მოხრილ კაცსა, ხელში დიდი ჯოხით და
 ზურგზედ გულით. ნათელი, შუბლ-წარბ გახსნილი პირი,
 რომელზედაც არ იყო არც ერთი ბეჭედი ბოროტ-გულო-
 ბისა და ბოროტ მოქმედებისა, ისეთ ნაირად ჰქონდა
 მიქცეული იმ მძღვრი და დაურღობელი მდევრაკენ,
 რომ თითქოს ახლავ დაუწყებს მახუცი წყვევასო და, ან
 მოანანიებს იმ მდევრს ყოველ ბოროტებას, ან თვითონ
 შეიქმნება მისგან შემუსკრილო. მოხუცი ჯუუტად იდგა
 თვის ადგილზედ და არ ენანებოდა თავი; მჭერეტელი
 სწუხდა მისთვის. მარამ ამ ოცნებას მიცემული თვალი
 რომ მიაკვირდებოდა მათ და კაცის გული ღელავდა მო-
 ხუცის მომავლისათვის, მაშინ იმ მაჩუბართ შუა აღჩნდე-
 ბოდა შემარიაგებელი ძალა და ჩააშველებდა ხელებს.

გარდაიტანდი თვალს არე-მარეზედ. მთების წამო-
 წვდილნი წვერნი და მათზედ ახალი ფურცლით შემოსილნი
 ხენი თითქოს ცოცხლდებოდნენ აღამიანის თვალისათვის;
 ჩუმი და შშვიდი ნააეისაგან ფოთლების შრიალი. ჰქანდა
 განმარტოვებულ შეუქარებულების ჩურჩულსა. შტოთა
 ერთმანეთის ხევვნა და მუდამი ერთმანერთისაგან განუ-
 რჩეველი ერთობა ჰქონდა აღამიანს გულში სასიამოვნო
 შუასა, ხალხნი კი რატომ ვერა ფთავ დებით ერთად და
 უბოროტოდ ერთმანერთში რატომ არ შეგვიძლიან ვი-

გარდასახლებულები

ცხოვროთო, რატომ არ შეგვიძლიან ვიქონიოთ ბეჭნიერებაო! სიჩუმე ღამისა ირლევოლდა მარტო ფოთლის შრია ალით, და მხოლოდ იშვიათად დარძახებდა საღმე გამჭრიანის ხმით ღამის მოდარაჯე ჭოტი. მთა, თითქოს ცოცხალი რამე არსება უჯავრებსო, აძლევდა იმავე ხმას და იძის შემდეგ ისევ მოიფინებოლდა იგივე სამარის სიჩუმე. არა, შეირყევოლდა რა ბუნებაში სიფრთხილით, რომ მეოურეს არ დაუშალო სიამოვნების ოცნებაო.

სდგას ამისთანა ღამეში კაცი და შურისაგან გულგერით უყურებს ბუნებას, ის ეძლევა მარტო ოცნებას და ბეჭნიერია, ვიდრე მარტო გრძნობას ეკითხება იგი. მარამ აი ვონებამ გარდასძლია ჩვეულებისამებრ გრძნობას და მოხიბლა კაცის სიამოვნება, ჩახუმა გული. ბეჭნიერი გგონია შენი თავი? ჰყითხა კაცის გონებამ თავის-თავსა. არა, უპასუხა თითონვე, უბედურნი ვართ კაცნი, როდესაც ხეებიც კი გვჯობნიან. რათა ვართ ასრე ბოროტნი ჩვენ კაცნი, რომ, ერთმანერთის სიამოვნების მაგივრად, ერთმაეერთის ბოროტსა ვსულილობთ. ვსულილობთ, რომ სხვის უბედურებით გაეიბედნიეროთ თავი?! სამღთო კაცი! შენი ხველრი მარტო ჯოჯოხეთია!

ამ შშვენიერ ღამეში, როდესაც ბუნება ასრე უხვად იმკობლა თავის მშვენიერებას, აწყურის ზემოდგან მტკვრის ფონში მიღიოდა ერთ ულლიანი ურემი. ურემში მსხდომნი მგზავრები თითქო თანა უგრძნობდნენ ბუნების სიჩუმეს, მაგრამ მათი სიჩუმე არ იყო ის სიამოვნების სიჩუმე, როდესაც კაცს პირზედ გამოხატული აქვს ბეჭნიერი შლურყევე ლი ლიმილი; — არა, ურემში მსხდომ მგზავრებს დიდი ჯავრი აწვათ გულზედ და თითქოს გამოთქმაც ემძიმებოლდათ, რომ

ეროვნული მუზეუმისათვის არ გაეხლებინათ მწუხარება გულისა. წარბებ შეკრულნი და თავ-ჩაღუნულნი ისხდნენ ისინი ურემში ჩუმად, ხმა ამოუღებლად. მტკვარს უფათერა-კოდ გავიღნენ, რამოდენიმე გზა კიდეც ვაიარეს მგზავ-რებმა, მარამ ისრევე უწინდელი სიჩუმე უფლებდა იმათ-ში; მარტო მტკვრის მეორე პირზედ გარდიწერეს პირ-ჯვარი და ყველამ თავისათვის ჩაღაცა წაიბუროურა. — საპონ მოკლებული ურმის ღერძი საცოდავად ჭრიალებდა იმ ოლრო-ჩოლრო გზაზედ. — არც ჩეეულებრივი ურმული ელეგიურად მკვნესავი სიმღერა მეურმისა, რომელსაც თავისი სახლობა მიჰყავს ცოლის სამშობლოში, არც და-ირის ხმა დღეობაში მიმავალი ხიზნისა, არც მაყრული სი-მღერა გმზავრებისა, რომელთაც მიჰყავსთ დედოფალი ქრის-ოჯახში, — არაფერი ამისთანა ხმა არ აღვიძებდა ჩვენ მგზავრებს იმ ფიქრებიდგან, რომელნიც, ეტყობოდა, მძიმედ აწვათ მათ გულზედ.

შეა ღამე გარდასული იყო, როდესაც ტყის პირ-ში გამოჩნდა ბჟუტვით ცეცხლი. მეურმებ შეაბრუნა გზიდგან ურემი და დააყენა იმ ცეცხლის სიახლოევს. „სოლო“ დაიძახა მეურმებ შემაგრებულის ხმითა. „მო-ხველით?“ ჰკითხა ცეცხლის ამნთებმა ყმაწვილმა კაცმა და გამოექანა ურმისაკენ. ურემი წააყენეს ცეცხლის ახლო და გამოუშვეს ხარები. მეურმე, წელში მოხრილი ბერი-კა-ცი, გაღმოხტა კოფუდგან, მოხსნა ჭალა თოვკი და იქვე ვრძლად მიაბა ხარები. ამ ხანში სოლო ურმიდგან ბარგს იღებდა.

„სოლო ერთი ეს ყმაწვილები ჩასხი, გენაცვალოს დედა“ — დაუძახა ურმიდგან დედა-კაცმა და მოაწოდა

გადასახლებული

მძინარე ოთხი თუ ხუთი წლის ყმაწვილი, მერე მეორე, და, როდესაც სოლომ მძინარეებივე მიაწვინა ცეცხლთან გაშლილ ნაალზედ, დედა-კაციც გადმოვიდა ურმიღვან და ხელში ეჭირა ძუძუ-მწოვარა ბავშვი. ამ მოძრაობაში უსუსურს ბავშვს გამოეღვიძა და დაიწყო ტირილი. ვიდრე საცოდავი დედა ძუძუს ჩაუდებდა იმას და დააჩუმებდა, ტირილის ხმაზედ მძინარე ყმაწვილებსაც გამოეღვიძათ და დაუწყეს კან კალიო დედას ძახილი. დედამ წამოაყენა ყმაწვილები, გაათბო ცეცხლთან, ისევ მიაწვინა ლეიბზედ და ზემოდგან წახურა ძეველი საბანი, საერთო ყველა მეზაერებისა. როდესაც ძუძუთა ყმაწვილმაც მოიკლა შიმშილი და, დედის მკერიდზედ გამოთბარმა, პაწაწა თაოებით დაუწყო ტოტინი კაშკაშა მთვარესა, მაშინ დედამ გაუმართა იმას აკვანი, ჩააწვინა ყმაწკილი, არტა-ხები გადააკრა, პირ-ჯვარი გარდასწერა და დაუწყო რწება ნელის და ვაებით საესე ნანით. მარამ იმისი ნანის ხმა არა ჰგავდა იმ ბედნიერი დედის ხმასა, რომელიც თავისი უსუსური ბავშვის წინამორბედს ჰქედავს ნათლით და ბედნიერებით შემოსილსა; არც იმ დედის ხმას, რომელიც, თუმცა ცხადად ვერ უღიმის თავისი ბავშვის მომავალს ბედსა, მარამ ვერც დაემდურება მწარედ, რადგანაც არ აქვს იმისათვის დამარწმუნებელი მიზეზი. ამ ჩენი ნაცნობი დედის ნანა იყო ტირილთან შეერთებული სამწუხარო ნანა, თითქო მგლოვარე დედა ეთხოვება შეწუხებულ ავად-მყოფ შეიიღსა და მაღალის ხმით ვერ გამოუცხადებია თავისი გულის სევდა, რომ უფრო მეტად არ შევაწუხო ავად-მყოფი და არ შეუშინო გული სხვა

სახლის მეგობრებსა, რომლებსაც ჩემსავით სტკივათ გული ამ უბედობებაზედაო.

დედის ნანით დამტკბარმა ყმაწვილმა დაიძინა. სოლო ბეჯითად აყრიდა შეშას და ცეცხლი თან-და-თან ძლიერდებოდა. ბერი-კაცი წამოწოლილი იყო ცეცხლის-გვერდით და, დაღალული ჯანით და გულით, სოვლემდა; მხოლოდ ხშირად ამოიხვენებდა ლრმად და შემდეგ ისევ მიეცემოდა გულის მჭამელ ფიქრებსა.

„სოლო!“ — უთხრა ბერი-კაცმა — „მოიტა, შვალო, გუდა, პატარა პური შევსჭამოთ და მივიძინოთ, თორებ ხვალ ძალიან ადრე გვინდა ჩვენ აქედგან წასვლა, რომ ახალ-ციხეს გავსცდეთ და იქით სოფელში საღმე დავსდეთ.— იქ კი სათათრეთია და ფიქრი აღარაფრისა გვექნება.“

სოლომ მოიტანა გუდა. ორიოდე პურის ნატეხი ამოიღეს გუდიდგან და გაინაწილეს. ეს იყო მგზავრების ვახშამი და მაშინვე მიწვნენ დასაძინებლად. მარამ ყველას არ დაეძინა, თუმცა ყველანი დაღალულები იყვნენ მთელი დღის მოგზაურობით. ბერი ეცადა გულ-დაკულილი დედა, რომ პატარა მოეტყუცებინა თვალი, მიეძინა, მაგრამ ყმაწვილების ერთი ბეწვა ჩუჩუნი გაახილებინებდა თვალებსა, გაუფთხობდა ძილსა და ისევ მიეცემოდა იმ ახირებულს ფიქრებსა, რომელნიც უმწარებდნენ ყოველი წამის სიცოცხლეს. დაპყურებდა იგი სამს პატარა შვილებსა და ვეღარ აიტანა დედის გულმა; წარსული, აწმყო და მომავალი სულ გარდაჩრიცა თავ-განწირულმა დედამ და ვერსა ვერ იპოვა-რა გულის დამაზშვიდებელი და სანუგეშო; წარსული იყო ვა: და წვალება, აწმყო ვაგლახი და ტანჯვა და

გარდასახლებულები

მომავალიც არასფერს არა ჰქილდებოდა ან სჯულის გამო-
 ცელის, ან სიკვდილის მეტსა ხორციელად და სულიერად,
 რასაკვირველია, იმ სფერაში, სადამ დინაც მიახწევდა მისი
 გონებითი მხედველობა. ამისთანა ფიქრებით აღელვებულმა
 და შეძრწუნებულმა დედამ გარდაპკოცნა მძინარე ყმაწვი-
 ლები და ცრემლით მოულბო პირი. შემდევ წამოიჩო-
 ქა, დაემხო პირ-ქვე და ცხარის ცრემლით ქვითინებდა
 დიდ-ხანს, ვიზრე ცრემლს შეეძლო დენა და გულს ქვი-
 თინი. ბოლოს აიწია თავი მაღლა, შეაპყრო ცას გაშლი-
 ლი ხელები და მისუსტებულის ხმით შეკედრა: „ღმერთო,
 ყოვლის გამჩენელო, სამებაო ერთ-ასებაო! შენ გება-
 რებოდეს ჩვენი დაკარგული ბედი, ნუ დაპყარგავ შენს
 გაქენილ და მაღვიარებელ ქრისტიან სულთა! თუ მე ან
 ამ მოხუცებულს მამა-ჩემს გვერნდეს შენთან რაიმე და-
 ნაშაულობა, მევე, მე მომკითხე და გადამახდევინ ე, უფა-
 ლო, მხოლოდ გებრალებოდენ ეს უსუსური ბავ შეები!..
 და რომ გარდასხედა ყმაწვილებს, ისევ დაემხო პირ-ქვე და
 მორთო მოთქმით იგივე მწუხარების ქვითინი.

ამ დროს გამოყევიძა ბერი-კაცს და, რომ შემოესმა
 ქვითინის ხმა, მივიდა დედა-კაცთან და ნელა ააყენა:
 „კარგია გაიანევ, რა დაგემართა, რა არის მაგოდენა ვა-
 ება და გულის ხეთქა; მოთმინება მიეცი შენ თავსა, თო-
 რემ, თუ შენ არ იქნები, ვინ დაგიზრდის ამ შეილებსა!
 ესენი მაინც გებრალებოდენ, თუ შენი თავი სასიკვდი-
 ლოთა გაქვს გადადებული!“

— „ბარემ კი მეც მინდა, რომ დავშევიდე, მამა ჩემო,
 მარამ გული არ მითმენს და მე ეც დამიძლევია თავი“,
 — შეპბლავლა ქალმა მამას და წამოდგა. ბერიცაცმა დაა-

შოშმინა გაიანე და დააწეინა. როდესაც გაიანეს ჩაეძინა, დილის მახარობელმა ნიავმა დაიწყო ბერვა. — „სოლო“! გააღვიძა ბერი-კაცმა, „სოლო—წალი, შეი-ლო, პატარა შეშა კიდევ მონახე, თორემ დილის ნამი საცაა დაჰკრაეს და ყმაწვილებს შესცივდებათ, თუ ცეცხლი არ მოუმატეთ“. პატარა ხანის შემდეგ, სოლომ დიდი ზურგი შეშა მოიტანა, და, როდესაც დილის ნამია შეაშფოთა ყმაწვილები, მაშინ მშევნიერი დიდი ჭია-კოკონასავით ცეცხლი გააჩალეს მეზავრებმა.

ჯერ ისევ ბნელოდა მეორე დღეს, როდესაც მგზავრებმა დაიწყეს მზადება წასავლელად, და, რამწამს ინათლა მტრედის-ფრად, შეუდგნენ კიდეც გზასა. ბერი-კაცი ისევ კოფოზედ იჯდა და თუთმეტი წლის ყმაწვილი კაცი, სოლო, ფეხით მოსდევდა უკან ურემსა. „ამაღამ ბა-დელში უნდა ვიყვნეთ“—სოქვა ბერი-კაცმა. ნეტავი ვიცოდე, რა გვიწერია ჩვენ ბედად—სიცოცხლე, თუ სიკვდილი და ან როგორნი ერთი, თუ მეორე?—მარამ ფიქრი არ არის, მგონია, კაცურად მოგვექცნენ და ძალა არ დაგვატანონ არასფერში, ცხოვრებით კი როგორც იქნება ვიცხოვრებთ: მე და სოლო მოჯამაგირეთ დაგსდგებით მისელის უმაღლ ვისთანმე და ე ყმაწვილებს როგორ ვერ გამოვზრდით, რა ვიცი, რა დაგვემართება!? ვიგოც ერთი ოთხი-ხუთის წლის შემდეგ მოგვესწრობა და მაშინ ხომ სულ აღარა გვიშავს რა..... ეჭ, შე დალოცვილო ღმერთო!—განაგრძო ბერი-კაცმა რამდენიმე სიჩუმის შემდეგ—გაუკებარია შენი ღვთიური განგება: რა შეკცოდეთ სამისო, რომ ასრე ჩაგვამწარე წუთი სოფელი?!—მარამ ისევ შენა ხარ გლახათ მოწყალე, შენ-

გარდასახლებულები

თვის მოგვინდია ჩვენი სული და ხორცი და შენ შეგვეწივე, ყოვლად შემძლებელო, შენის მაღლისა და დიდებული სახელის ჭირიმე“! — ეს, რაკი იმ აძლლებულ არჩილს მოცრაით, მგონია, აღარა გვიჭირს რა. — მოუბრუნდა ბერი კაცი ვაიანეს — აი, რა გადაგლეჯილი დაგვეძებს, მგონია, ახლა ის ჩვენი ნაბატონარი არჩილი; მარაზ თუ სალამომდისინ გადავრჩით, მერე კი სათათრეთში ვიქნებით და იქ კი იმისი აყროლებული პირის და დაუნდობელი გულის პატრონი მოურავი ველარ მოსდგავს ფეხსა. — უწინამც დღე დაელიოს! — დააბოლოვა ბერი-კაცმა და გარეჯა ხარები.

გაიანე გამუშებული იჯდა ურეშში და ხან ერთს ყმაწვილს ათბუნებდა, ხან მეორეს იმ ერთი ძეელი საბნით. მზე კარგად მაღლა იყო წამოწვდილი, როდესაც გიგასა და ნინოს გამოეღვიძათ და ერთის ხმით შესძახეს: „დედა პური“!

— „ხომ არ შეგციდათ, გრაცვალეთ“? — ჰკითხა ყმაწვილებს გაიანემ, — „ეხლავე მოგცემთ პურსა.“ ვინემ ყმაწვილები თვალებს იფშვნეტილნენ და ზარმაცად იქექებოდნენ, გაიანემ ამოილო ცალკე ხელ-სახოცში გახვეული პური და ორი პატარა ნატეხი მისცა ყმაწვილებსა, რომლებმაც ზარმაცად დაუწყეს მას ლოლენა. პურით მოსურიელებულმა ყმაწვილებმა მოიმხიარულეს და უნაღველელის გულით ჰაიწყეს ცელქობა და სიცილი: ხან დედას მოეხევვიდნენ და ტკბილად აკოცებდენ, ხან კოფოზე მჯდომ ჰაპას, ხან თავის ძმას დაუძახებდენ ხოლმე „სოლო!“ და, როდესაც ის მოიხედავდა და ეტყოდა რასმე მათ, ისინი სიცილით ჩაკარგარდებოდნენ, ხან ორივენი ერთად დაე-

პყრობოდნენ ჭოჭინაში მწოლიარე მ ყმაწვილს და ოლენ-
 სით და ლიმილით ართობდენ მას. თუ კი გაიანეს გარდა ქონდა თვალები ერთი ყმაწვილი უგან-
 მეორეზედ და მესამეზედ და მომღიმარს სახეს ულბობდა
 სხვილად მომდინარე ცრემლით. სიცილი და ტირილი ერთ-
 მანეთს ერთოდნენ და, ალელვაბული, კან კალბ ხმით ე-
 ლერსებოდა გარანე თავის შვილებს. ნამეტანი მწუხარება
 გამოიხატებოდა ხოლმე იმის სახეზედ, როდესაც უუ-
 რებდა და მიეალერსებოდა ექვსი წლის ქალს, ნინოსა,
 ვაჟების მომავალი ბედი ისრე არ აწუხებდა გაიანეს, რო-
 გორც ქალისა: ვაჟებს თუნდა სულ დატაცნათ, ვინ რას
 უზამდა მათ, მარტო მოიმსახურებდნენ ვაჟ-კაცობამდისინ,
 და მერე კი თითონვე ისინი უშველიდნენ თავიანთ თავ-
 სა. — იქნება რომელისამე მდიდარი თათრის ხელში გა-
 ბეჭნიერებულ იყვნენ კიდეცა. ვაჟს მკლავისა და სულის
 ძალა სიბერემდინ თან მისდევს და არაოდეს სრულებით
 არა ჰქარებას იშედს თავის დახსნისას, როდესაც მას თა-
 ვის მდგომარეობა არ მოსწონს. ქალი კი სულ სხვა არის:
 მომავალ მშვენიერებას, ნინოს, რა მოელოდა წინა? ვინ
 იცის, იმუსჯულო ქვეყანაში რომელ ბეგს ან ფაშას მო-
 ეწონებოდა და თან წაიყვანდა? იქნება კი, რომ ცხოვ-
 რება იმასაც ჰქონოდა მდიდრული, იქნება რამოდენიმე
 მოახლები იმასაც მოელოდნენ, მარამ ნამუსი? ქრისტია-
 ნულ კრძალვაში აღზრდილი ნამუსი, ვინ იცის, რომელი
 თათრის სარეცელზედ უნდა შემუსვრილ-იყო? იქნება იმის
 შემდეგ იმასაც არ დასჯერებოდა უსჯულო ფაშა. და,
 ყორანის უარის თქმისათვის, ან გლიხად გამოეგდო უნუ-
 გშეშოდ გარეთ, ან იქვე თავისავე თვალ-წინ მოეკლა კა-

გარდასახლებულები

დეცა. ასრული მძაფრავი ფიქრები აწვა გულზედ საწყალ გაიანეს, მარამ ვის გამოუტადებდა, თითონივე ეშინოდა გამოთქმა იმ ფიქრებისა, რომელნიც ძალათ შესღიოდნენ თავში, და სხვას ხომ რად გაუახლებდა ჭირსა, მარტო ებრძოდა შავ ფიქრებს და ითმენდა. მარამ როდესაც მოა- აფონდა თავისი ბატონი არჩილი, მაშინ ვეღარ მოითმინა გაიანებ და ჰკითხა ბერი-კაცი: „არა მგონია, მამა-ჩემო, რომ სათათრეთში არჩილზედ უარესი კაცი კიდევ იყვეს კინშე, თუმცა ის კი ქრისტიანია?!

— კაცი, უკელვან კაცია, შეილო! აერ და კარგი ყო- ველვან არის, საქრისტიანოშიაც და სათათრეთშიაცა.— „ოქ, არჩილ,“ — სთქვა რამოდენიმე სიჩუმის შემდეგ— ღმერთმა ისე ნუ მომკლას, რომ შენი უბედურება არ მენახოს და ან არ გამეგონოს მაინცა.— ღმერთო მომჯ- ცი როდისმე ის ძალა და უფლება, რომ არჩილს თავისი- ვე ხორცი თავისივე კბილით ვაგლეჯინო! — თუ კი წინ არ მომელის უარესი უბედურება, და მარტო ამ გამოც- ცდას მაკმარებ, მაშინ აპატივე, ყოვლად მოწყალე უფა- ლო, იმას ჩემთან და ჩემ ჭირნახულს სახლობასთან და- ნაშაულობა.

სოლო პირში შესცემოდა სმენად გარდაქცეული მოლაპარაკე პაპასა და არც ერთს სიტყვას არ უშვებდა ჩაუყლაპავს სულის სილრმეში. როდესაც პაპამ მიტევება შეუთვალა არჩილს, მაშინ სოლოს უკითხელმა ფერმა გარ- დაჰკრა, წარბები მოიბლუჯა და კბილებს ვეღარ აშორებ- და ერთმანერთს. იმის გულში საუკუნოდ იყო ჩასახული არჩილის ჯავრის ამოყრა, მაგრამ როგორ გაუცედავდა თუთხმეტი წლის ყმაწვილი კაცი მოხუცებულ პაპას ამაზედ

ლაპარაკს. პირად მაინც არა უთხრა რა, მაგრამ გულში სისხლი აღელვებული ჰქონდა და აზრებით მირბოდა იმ ძმასთან და დასხან, რომელნიც გირაოთა ჰყავდა დატუსაღებული არჩილსა. არც ერთ წამს არ შორდებოდნენ თავიდგან და უურებიდგან ძმის ნათქვამი სიტყვები: „ღმერთმა ნუ გაგზარდოს, თუ შენი ძალა არჩილზედ არა სცადო!“ — „ღმერთმა ნუ გაგზარდოს“ — იმეორებდა გულში აღელვებული სოლო ყოველს წამს და უფრო უცხოვლდებოდა ის გულში ჩანერგული მწინდა ვალი, რომელიც უკევლად უნდა გარდაეხადნა არჩილისათვის.

თავი II.

ახალკისის ზემოთ, იქვე ახლოს დაიწყებიან აჭარის მთები, რომლებიც უფრო ხშირად ტყეებით არიან შემოსილნი. მხოლოდ ცოტვით მარჯვნივ აბასთუმანისკენ, ახალკისიდგან არ დაღანის ახლო გზაზედ კარგა დიდი ადგილია ცარიელი და მოტვლეპილი, რომელზედაც ქვიშის და ქვისა, ან მარტო თიხის მეტი არა არის რა. მხოლოდ აჭა-იქა ფოცხოვი წყლის ხეობაზედ დაგხვდებათ თითო-ოროდა ჯაგები და პატარა ხეები, ცალ-ცალკე მდგომნი. მთები ერთმანეთზედ არიან გადაბმულები და ახალ-ციხიდგან არდაღანის გადასახედამდისინ სულ თან-და-თან მაღლდებიან კიბესავით. საშინლად ეღალება კაცს თვალი და გული ამ გზაზედ: შეუდგები ერთს უშველებელს აღმართსა და, დაღალული და დაქანცული, იმედს აძლევ შეს თავს, რომ აი ავალ ამ მთის წვერზედა და გათავდე-

გარდასახლებულები

ბა აღმართიო, მარამ შეადგები წვერსა და გულ-სახეთქად დაინახავ, რომ პატარა ღელეს შემდეგ იწყება კიდევ აღმართი, პირველზედ უფრო უდიდესი და უმაღლესი. ღმერთმა დაიფაროს, თუ მგზავრის უილბლობაზეც წვიმაც არის, ან ახალი ნაწვიმია: ქვიშა და თიხა ერთმანეთში აირევიან, ავარდება საშინელი ყელამდისინ ტალახი და აღარიარით აღარ არის გასავალი, გარდა ჩარეცდრის ცხენებისა, და ისინიც ერთი დღის სავალს ორ-სამ დღეს უნდებიან მაშინ.

ამ გზაზედ ახალციხის ზემოდ და ცოტა მარჯვნივ, ფოცხოვის მარჯვნივ მხარეზედ მაღლობ ქედზედ სდგას პატარა სოფელი, ბადელი. ხშირი ლამე იყო, როდესაც ჩვენი ნაცნობი მგზავრები გავიდნენ ფოცხოვის პირის პატარა ჭავებსა და შეუდგნენ ბადელის აღმართსა. მგზავრებთ შორის ჩვეულებრივი სიჩუმე უფლებდა, და მარტო ურმის ჭრიალი ატყობინებდა კაცს იმათ მოგზაურობას. პატარა ბადელშიაც საშინელი სიჩუმე იყო: უოველ სულ-დგმულს, დღიური მუშაობით დაღალულს, ღრმა ძილით ეძინა, და მხოლოდ სახლის ერთგულნი მეგობარნი ძალები აქა-იქა ჰყეფდნენ ერთმანეთის ხმაზედ.

სოფლის შესავალ ნაპირში ფერობზედ დგას ორ-სართულიანი ხის სახლი ზაქარია ბეგისა, თავადი ავალი-შეიძლისა, რომელიც, რაღაცა უკმაყოფილობისა-გამო საქართველოში, გადმოსახლებულა აქა და მიულია მაჰმადის სარწმუნოება. ურემი ჯერ ისევ აღმართში იყო, რომ ბეგის ძალებს რაღაცა წმუკუნი და ღრინვა შეუდგათ, და, როდესაც ურემი მიახლოედა სახლსა, მაშინ ძალებმა ატეხს საშინელი ყეფა, და ერთს წამს ათიოდე მოგვერივით

დიდრონი ძაღლები შემოესხენენ გარს უჩემსა. ტიტოვლა და დასისხლიანებული ფეხებით სოლომ ძლიერ შეასწრო ურემზედ, მარამ იქაც არ იყო უშიშარი განჩხლებული დაგვშილი ძალლებისაკან. სახლის მცხოვრებნი არსად სხანდნენ, თითქო დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმ ძალლებს ვერავინ შემოეპარებოდათ ვერც ეზოში. მარამ როდესაც ყმაშვილებმა შიშით დაიწყეს საშინელი წივრლკივილი, მაშინ რამოდენიმე კაცი გამოცეიდენ და მოაშორეს უჩემს ძალლები: „ვინა ხართ?“ ეძ.ხოდნენ ბნელაში თათრები ჩვენ მგზავრებსა, მარამ იმათ არ ესმოდათ რასა ჰკითხავდნენ, რომ პასუხი მიეცათ. ისინი თავისას ეუბნებოდნენ, რომ მგზავრები ვართ და გთხოვთ ამაღლამ გაგვათენებინოთ სადგეო. ასრე განვლო რამოდენიმე დრომ, ვიღრე თათრებით არ დარწმუნდნენ, რომ მგზავრები ქართველები იყვნენ და თათრული არ იცოდნენ. შემდევ დაუძხეს მიზანს. მირჩაც ქართველი იყო, თავის ბატონთან — ავალიშვილთან გადმოსახლებული და ისევ კარგად იცოდა ქართული ენა. პატარა ხანის შემჯეგ, მირზა გამოვიდა ანთებული მკრითა და მიუიდა ურემთან. „ვინა ხართ ხალხნი? ამ დროს რა გაჭირვების სიარული გაქვეთ? — ჰკითხა მიზანმ მგზავრებს.

— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი, რომ ქართული ენა კიდევ გამაგონე! — უთხრა პაპამ კოფოდგან — „გაჭირება მეტი ალარ ითქმის, რაც მე გაჭირება მაქვს ჩემი საცოდავი ოჯახითა: გამოქცეული ვარ, შენი ჭირიმე, ბატონისაგან და, თუ ამ დროს არ მევლო, იქნება მდევარი მომწევოდა და სულ ერთიანად ისევ იმ უბედურებაში ჩავუყარეთ, როგორ შიაც აქნობამდისინ ვიყავით. ვეჩქა-

გარდასახლებულები

რებოლი, შენი ჭირიმე, ნუ გაგვიწყრებით, რომ ამ შეუალებისას შეგაწუხეთ, ღმერთი გადღეგრძელებსთ!“ არა უშესა, რა, ძამიავ, ამისთანა შეწუხება თითქმის ყოველ ღამეს გვაძეს ხოლმე: ხან მგელი ჩამოგვივარდება საიდანმე, ხან ტურა, და ტურვილ უპრალოდ გვიყეფებენ ხოლმე ამ ჩვენ ძალლებსა.— მარამ ეს მითხარი ერთი, ახლა რა აპირებთ ოქვენა— მიდიხართ სადმე პირ-და-პირ, თუ აქ გინდათ დარჩომა ამაღამ მაინც?

— კარგი იქნებოდა, შენი ჭირიმე, რომ ადგილი გვეშოვნა სადმე ამაღამისათვის ამ სოფელში, შერე კი ჯერ მეც არ ვიცი, აქ დავრჩები, თუ სხვაგან დავსახლდები სადმე, სადაც ნებას მომცემენ მემატულები.

— შემოაბრუნე ურემი, ჩემო ძმაო! ამაღამ მე მოგცემ ადგილსა. ჩემი ცოლიც ქართველი ქალია, ეს სახლობა არ მოიწყენს იმასთან და ჩვენც მოვთავსდებით, ბატონიც ქართველი გვიავს აქა, ჩემო ძმაო, და ფიქრი ნურაფრისა გექნებათ, ვიდრე ამ მაზრაში ხართ. მერე თქვენისთანა ბატონთაგან გამოპარულები ძალიან უყვარს იმასა.— მე ვიცი, იქნება აქაც დასახლდეთ თქვენა.

— „შენი იმედის ჭირიმე, შენი“— ამოიხვენეშა პაპამ და „ჰაამო“—თი მოაბრუნა ეზოსაკენ ხარები.

საშინელ დიდ ეზოში რამოდენიმე დარბაზები ზედა-ზედ იყვნენ მიღმულები და ჩვენი მგზავრები ელოდნენ, ან ახლა დაქსდგებით, ან ახლაო. მარამ მირზა ჯერ არა-ფერს ეუბნებოდა, ის კიდევ წინ მიუძღვდა და მიჰყავდა შიგნი-შიგან. როგორც ძევლი შეჩეეული და ნაამაგევი უმა, მირზა კარგათა ჰყავდა მიღებული ზაქარია ბატონსა და უკეთესს სახლში ეყენა თავისავე გვერდით გაყოლილ ცალკე

პატარა ეზოში. იმ ეზოში შეაყვანინა მიჩრზამ ურემი და მოსძახა, „გამოუშვითო.“ თითონ შეირბინა სახლში და, ვიდრე პაპა და სოლო გამოუშვებდნენ ურმიდგან ხარებს, მიჩრზა ისევ მობრუნდა უკან; თან გამოჰყენენ მას ცოლი და რამდენიმე პატარა შვილები. როგორც დიდი ხნის ნაცნობები, ისრე მიეგებნენ ერთმანერთს გაიანე და მელანია და დაჰკოცნეს ერთმანერთი და შვილები. ხარები მალე დააბინავეს და ყველანი შევიდნენ სახლში. დიდ ბუხარში დაუზოგავად დაწყობილი შეშა ჩახახებდა გახალებული ოლითა და დამძრალი ყმაწვილები ეტანებოდნენ ცეცხლსა. მელანია უმზადებდა ლოგინსა და ვახშამსა ამისთანა ძვირ-ფას და იშვიათ სტუმრებს, როგორნიც იყვნენ გაღმოკარგული მელანიასათვის თავისი მიწა-წყლის ხალხი; კაცები კი ტახტზედ იყვნენ ჩამომსხდარნი და მუსაიფობდნენ. ახლა, ამ ბუხრის სინათლეზედ კარგად გასინჯა მიჩრზამ სოლო და მოეწონა იმისი მოსული მოსხლეტილი ტანი, ახლად ამწვანებულნი ულვაშნი, დიდროვანი თვალები, რომელნიც უმტკიცებდნენ გულის უშიშრობას. კარგა ხანი უცქეროდა მიჩრზა და კვირვებით სოლოს და ზომავდა მას გამოცდილი თვალითა; მერე მიუბრუნდა ბერი-კაცსა და ჰკითხა; „ეს შენი შვილია, ბერიკაცო?“ — და უჩვენა სოლოზედ.

— ჩემი შვილის-შვილია, შენი ჭირიმე; შვილი კი ბატონშა მოშიკლა ატენის ტყიდგან ხეების ზიდვით. — აი ეს სოლო სწორედ მამასა ჰგავს. სოლომ მოიკვენიტა ტუჩი, უნდოდა ჩაეყლაპა ცრემლი, ვაგრამ ეერ შესძლო, რომ როგორმე გაეშრო ცრემლი და დაეფარა მჭვრეტელთაგან. მან შეჰკრა წარბები



გარდასახლებულები

და აღელვებულის ხმით უთხრა პაპას: „მე თავის დღეში ისრე უგემურად და უნაყოფოდ არ მოვიკლავ თავსა; თუ თავს მოვიკლავ ჯერ სხეას გავგზავნი საიქიოს მახარობელად და მერე მეც თან გავყვები!“

მირზას ძალიან მოეწონა სოლოს სიტყვები. იმან იცოდა თავისი ბატონის ხასიათი და შეიტყო, რომ სოლო ძალიან შეუკარდებოდა ბატონსა, როგორც ერთგული და თავ-განწირული მამაცი, და ამისათვის, რამოდენიმე ფიქრის შემდეგ, იმან უთხრა პაპას: დარწმუნებული ვარ, ბერი-კაცი, რომ თქვენ აქ ყოფნა ძალიან მოგეწონებათ და აღარსად არ წახვალთ აქედგან. ჩემს ბატონსაც ძალიან ბევრი ჯავრი აქვს გულში დამარხული ქართველი ბატონებისა, და, სოლოს რომ ნახავს, იმას ძალიან მოეწონება, ის გაიხდის მაგას მარჯვენა ხელად და სიკვდილამდისინ აღარ მოიშორებს, რასაკვირველია, თუ მაგისი ნებაც იქნება. იი რამოდენა თათრები ჰყავს ყმები და მოსამსახურები, მარამ ვერავისა ნდობია ნამდვილი გულიანი ნდობითა“.

— განა შენი ბატონი რისთვის არის გადმისახლებული სათათრეთში? ან ვისი რა ჯავრი უნდა სჭირდეს მაგას, თითონ ბატონსა?“ ჰყითხა ბერი-კაცმა გამწარებული და ფიქრით თავს ნუგეში მიიცა, მარტო მე არა ვყოფილვარ წუთის სოფელში უბედურიო. „მართალია — ჰყიქრობდა იგი — იქნება ეს აქ უფრო უკეთესს ყოფა ცხოვრებაშია, როგორც ეტყობა, არც აქ აკლია ღვთის მოწყალება არა ფერი; მარამ არ შეიძლებოდა, რომ სამშობლო ქვეყანას მოშორებული კაცი ბეღნიერათა სოფლიდეს თავის-თავსა: იქნება რომელიმე მეზობელი გლეხის ეზო რომ მოიგო-

ნოს, ამან ის არჩიოს ამ მშევრივრად შემკულს მდგომარეობას; შეიძლება, აქ უფრო უკეთესი და ბევრი ლამაზი ქალის შოვნა შეეძლოს და ჰყავდეს კიდეცა, მაგრამ, როდესაც მოიგონებს ყმაწვილობაში გულით შეცვარებულს ქალსა, არ შეიძლება, რომ სულ უქმად არ მიაჩდეს აქაურობა და აქაური ლამაზი ქალები; ვინ იცის, რამოდენი მოსამსახურები შეუძლიან იყოლიოს და ათასი სწორ-ამხანაგი იშოვნოს აქაცა, მაგრამ აი ეს უწინდელი ქართველი ყმა უჩიევნია ცველასა და შშევნიერად დაუსახლები თავის გვერდზედე; და თუ პატიოსანი დაერთვული სიყრმის მეგობარი ჰყავდა როდისმე, იმის მოშორებას ხომ ვეღარას-ფრით ვეღარ დასაჩუქრებს და სამუდამოდ დარჩება სულით ობოლი: გადმოვარდნილს და უცხო ქვეყანიში, ვგონებ ყოველ-კაცში ჰქედავს ის შურის მძიებელსა და ბოროტ კაცსა, რომელიც არას-ოდეს არ დაინანებს და პირველსავე გაჭირვებაში ფეხს და-ადგამს მას, რომელსაც ერთი დღის წინად თაყვანსა სცემდა.—დიდება შენს განგებას, უფალო, რომ ერთნაირად ურწყავ შენს მაღლას ბატონსა და ყმასა!...—,,თანა ჰყავს ვინმე სახლობიდგან შენს ბატონსა თუ არა?“
— არაენ. ჯერ ისევ სულ ახალ-გაზდა იყო ჩემი ბატონი, როცა დაანება თავი სახლ-კარსა და წამოვიდა; მარტო მე გამომიყოლია აქა, როგორც ერთვული ყმა. ჩემი ცილ-შვილი, სულ ხუთი წელიწადი არ არის, რაც გადმოვიყვანე საქართველოდგან ჩუმათ. ვიღრე ცოლ-შვილს გადმოვიყვანდი, კარგი მაგარი მხარი ვიყავი ჩემი ბატონისა, მარამ ახლა მეც მენანება ჩემი თავი, და ბატონსაც ებრალება ჩემი სახლობა; ახლა იშვიათ-ლა

გარდასახლებულები

დავსდევ სახლს გარეთ და ბატონი ძალიან არის მოწყებილი. — ჩავათ იწყენს თავს ის დალოცვილი, ამისთანა შევნიერი საცხოვრებელით არის შემკული? — „ეჭ, შე დალოცვილო! რად იწყენს თავსაო! მაგან საც ბევრი გულით საყვარელი სულ-დგმული და ადგილები დარჩომია საქართველოში და გულ-უმტკივნელად ცერი იგნორბს იმათა. მაგრისი ამბავი სწარეთ არაკად არის დასწერი; აი, ოორემ გაიგებთ. ძალიან კარგი და შეძლებული იჯახი ჰქონდათ ჩემ ბატონებსა და ბევრი სარჩო-საბადებელი ებადათ. იმათი სახლის კარი სულ მუდმილა იყო მიმსვლელ-მომსვლელისათვის, და სტუმარი არ გამოწყდებოდა ხოლმე იმათ სახლში. პატარა ბატონს ძალიან ფარეზად ინახავდნენ, რადგან აც დედის ერთა იყო, რაც კი თავი შეუსწავლია, უარი არასფერში არ გაუგონია თავის მშობლებისაგან, რასაც კი მოისურვებდა. თექვსმეტი წლისა იყო ჩემი ბატონი, როდესაც დაუპირეს ცოლის შერთვა. აბა, შენი ჭირიმე, მე ვიცი ქალს არავინ მისცემდა ესრედ შეძლებულსა და შევნიერ თვალად და ტანადს ახალ-გაზდა თავადის შვილსა. ბევრი გათქმული და შეძლებული თავადების ლამაზი ქალები ეძლეოდნენ დიდის სარჩოთი, და დედ-მამას უხაროდათ, რომ ჩქარა ვნახავთ ჩვენს ზაქარიას გაბედნიერებულსა და მარგალიტივით შეიღის შეიღების მოვესწრებითო, ხშირად აწყობდნენ ქორწილის წესსა და ანგარიშსა და სანაქებო ლხინს აირებდენ ხოლმე. მოხუცებული მამა ტარიელი პაირდებოდა ლეკურის თამაშობასა იმისთანა ბედნიერ დღესა, როგორიც იყო იმისთვის ზაქარიას ქორწინების დღე. მაგ-

რამ თვითონ ზაქარია ბეღნიერად არა სთვლიდა თა-
 ვის თავს იმათი ცოლობით, რომლებიც ეძლეოდნენ, და
 ამას არ უმალავდა თავის დედ-მამას, რომელნიც ამა-
 ზედ საშინლად სწუხდენ და უკეთესს საცოლოს ეძებდნენ
 მისთვის: ზაქარია ზოგს რაზედ დაიწუნებდა, ზოგს რაზე-
 და, და არ ეჩქარებოდა ცოლის შერთვასა. ამას თურმე
 თავიანთივე მოსამსახურე ნინო უყვარდა და ყმაწვილო-
 ბითვე შეჩვეული მეგობრისათვის შერთვის პირობა მიეცა.
 დიდ-ხანსა მალავდა ამ საიდუმლოს ზაქარია დედ-მამას-
 თან, მარამ, როდესაც იმათ საქმე გაუჭირეს სხვა-და-სხვა
 საცოლოებით და გაანაწყინეს რამოდენიმე თავდები იმა-
 თი ქალების დაწუნებით, მაშინ ზაქარია გაუტყდა დედ-
 მამასა და უთხრა, რომ „მე ნინოს მეტი ცოლად არავინ
 მინდა და ნურც არავის ეძებთ ჩემთვისაო“, ან ის იქნება
 ჩემი ცოლი, ან სულ არავინაო. თავ-ზარი დაეცათ ამ
 ამბის გაგებით დედ-მამას და ნინო იმ დღესვე გაგზავნეს
 თავის სამშობლოში. მაგრამ ზაქარიამ მაინც არ დაიშალა
 ნინოს სიყვარული და გულიდგან ამოილო იმის მეტი
 სხვისი ვისიმეს შერთვა ცოლად. ჩუმად დაირჩებოდა ნი-
 ნოსთან და ნახულობდა ხოლმე. მარტო მე გამიყო
 ლებდა თანა და სხვამ არა სულდგმულმა არ იცოდ
 ეს ამბავი. შეაყენეს ზაქარიას ათ-ასი კაცი, აქეითებდნე
 და ართობდნენ, ეითომ უნდა დაევიწყებინათ მისთვ
 ნინო, მაგრამ ვერავისზედ ვერ ათქმევინეს „ჰო“, გარ
 ნინოსი, რომელიც მართლა გულით უყვარდა მას. და
 პირეს ნინოს გაყიდვა და სხვაგან საღმე გადაკარგვა, მა-
 რამ ზაქარია თავის მოკვლას ემუქრებოდა მამასა. ნინ
 დარჩა ისევ შინა და მე და ბატონი ისევ ხშირად ენახ

გარდასახლებულები

ლობდით მას. მაგრამ ბევრი ხანი ვერ გაატარა ჩემმა ბატონშა ესრეთი ჩუმი ნახულობით, მალე მოულეს ბოლო საცოდაეს ნინოსა ვიღაცა უსჯულო და დაუნდობარმა მყვლელებმა, რომ ნინო მოეშორებინათ თავიდვან და მერე თავიანთი ქალი მიეცათ ზაქარიასათვის,—აი როგორ მოხდა ეს საქმე: ერთს უბედურს დღეს დიღმა ბატონშა გამართა სტუმრობა და მოიწვია მთელი მაზრის თავადაზნაურები, კაცები, თუ ქალები, იქნება ზაქარიას მოეწონოს ვინმეო. რა გინდოდა სულო და გულო, რომ იქ არა ყოფილიყო, და მშენივრად დაკაზმულნი ვაჟები და ქალები მდიდრათ ქეიფობდნენ და გულით ხარობდნენ. ზაქარიას არ უნდოდა ეწყენინებინა მამისათვის და ამისათვის არ იშლიდა ცხადათ ქეიფსა, ტოლ-ამხანაგებს უმასპინძლებდა და ვითომ გულით იყო. რა იცოდა საცოდავმა, თუ იმ ღამეს მოელებოდა ბოლო იმის გულით საყვარელს ნინოს! შეუაღმე კარგად გაღაცილებული იყო, როდესაც სტუმრობა დაიშალა. ზაქარია დარჩა მარტო და რაღაცა ჯავრი შემოაწვა გულსა.—მიბძანა, ცხენები შეკაზმე და მოემზადეო.—მე ვიცოდი სადაც უნდა წავსულვიყავით იმ ღროსა. შევასხედით ცხენებსა და წავედით. ნახევარ საათმა არ გაიარა, რომ მიველით ნინოს სოფელში! მაგრამ უბედური მისვლა იყო ეს უკანასკნელი მისვლა საყვარელ ეზოში და სახლში. ნინო ყელ-გამოჭრილი და სისხლით შეღებული იდო ღარიბ ტახტზედ და საციდავნი იმისი დედ-მამა წყევას უთვლიდნენ ზაქარიას, რომლისათვისაც ხელ-სისხლიანშა დაუნდობელმა გულმა მოაკვლევინა ნინო, რომ მერე თავისი ქალი მიეტხოვებინა.—„ვინა! ვინა!“ ვინ მოკლა ჩემი ნინო, ჩე-

მი ნუგეში?! ჰკიოდა გაშეაგებული ხმალ-ამოლებული
 ზაქარია ბატონი—, მაჩვენეთ, ვინ მოკლა ჩემი ნინო,
 რომ დღე დაუბნელი იმას!— მითხარით, ხალხნო, ვინ
 იცით, ვინ მოკლა ჩემი ნინო?!— ესვეწებოდა ტირილით
 ხალხსა, და, რომ ვერავისგან ვერ მიიღო პასუხი, მოე-
 ხვიგა ნინოს გაცივებულს სხეულსა და ჩატრირა: „, ნინო!
 მითხარი შენი ჭირიმე, ვინ არის შენი მცვლელი,
 ნინო?! რათ შემომწყერი ჩემო კარგო ნინო? რაში
 ვარ შენთან დამნაშავე, ნინო? — შენს სახელს ვფი-
 ცავ, ჩემო წმინდაო და დიუფასებელი ნინო, რომ
 ისევ უგვირგვინო მოვალ შენთან საიქიას!“ — ტანში
 ფრიანტელი მივლიდა, ღმერთმანი, დავიწვით ცოდვით
 შველანი ამის მნახველები. ეჭ, ღმერთმა საუკუნო სასუ-
 ჯეველი დაუშვიდროს, კარგი მარილიანი გოგო იყო-
 ცოდვა! — იქიდგან გამოვედით, შენი ჭირიმე, და მიებ-
 რუნდით ისევ შინა. ბატონში მიბრძანა ცხენებს არ მოხა-
 დოვო. სულ ერთი წამი არ დარჩომილა შინ ბატონით
 შევარდა შინა, მაშინვე გამოვარდა ისევ გარეთა, შეჯდა
 ცხენზედ, მომიტრუნდა და მითხა: „, ჩემი მიხაკო, მე
 ერთი საათიც ალარა ვარ აქ დამდგომი, მინდა გადავი-
 კარგო სადმე; მე ძალის არ დაგატან, — ესურდეს ჩემთან
 წამოდი, არა და მარტოკა კარგად გავიტან უფროგან
 თავსათ.“ ღმერთმა უშენოთ ერთი დღეც ნუ მაცოცხ-
 ლოს მეთქი — ეუთხარი ბატონსა, და მაშინვე გამოვქუს-
 ლეთ ცხენებით.

მას აქეთ სულ ექა ვართ მარტო, უთვისტომოდ,
 და კიდევა მკითხავთ რათ იწყენს ბატონის თავსათ. მაში
 რა მოუვა, თუ ღმერთი გწამს! ბევრჯერ მარტოზაში

გარდასახლებულები

გამოყრუებულს ცხარის ცრემლით უტირნია და, შემდეგ
 მოსურვებია გართობა, ეგები ცოტათი მაინც გადავიყარო
 ჯავრი გულიდგანო, მაგრამ რა გართობას იპოვის აქა?
 მავისი გართობა თოთი და ხმალია და გაურჩეველია ნა-
 დირობა ნადირზედ, თუ კაცზედ; ერთი ეს არის კარგი
 უფრო მაგ დალოცეილისა, რომ ლარიბესა და გლახას,
 თუ დაასაჩუქრებს, თორებ კი არასუერსა აწყენინებს; მაგ-
 რამ იმ დიდ ბობოლაებს, მსუქან ჯიბიანებს და მუცლი-
 ნებს — ეს იმათი ბრალია, თუ დაუხვდა საღმე — სულ
 ერთბაშათ ჩაამწარებს, რაც თავიანთ სიცოცხლე მი უწოვ-
 ნიათ საწყალი ხალხისაგან. რა და დაუთომდეთ ნა კო-
 რო სოლო მოშორებით იჯდა და ყურს უგდებდა მირ-
 ზას ლაპარაკს. ხან გაყვითლდებოდა, ხან წითლად აენ-
 თებოდა იმისი სახე და უბრიალებდენ ზეალები. „შენი
 გამჩენის ჭირიმე შენი!“ — სთქვა თავისათვის გულში სო-
 ლომ, როდესაც მირზამ დაასრულა თავისი მოკლე მო-
 თხრობა — „აბა ბატონიცე ეგა ჟოფილა; მაგასთან ყმობა
 სჯობია სხვასთან ბატონობასა“. პაპაც ცოტა ხანს ჩუმათ იჯდა, მოთხრობის შემდეგ,
 მაგრამ, ფიქრობდა რასმე და ფიქრები მისი ებრძოდნენ
 ერთმანეთს, თუმცა და მდგომარეობა მას არ ეტყობოდა;
 შემდეგ ისევ თავ-ჩალუნულმა ერთი ილრმათ ამოიხვნეშა
 და ჰკითხა მირზას: „მაგაზედ მეტო კიდევ არის ვინმე აქ
 შებატონე?“

— არდალან ამდისინ და აჭარამდისინ სრულებით არავინ,
 — მიუგო მირზამ — არდალანის შთავარმა ფაშამ სულ ამას
 დაუთო აქაური მფლობელობა და შეარჩენა თვალის

ლირსება, უწინდელი სახელი და გვარი, მე კი ცოტად მაწყენინა — მიხაკა მერქვა და მირზა დამარქვა სახელად.

მოხუცმა რამდენიმე კითხვები კიდევ მისცა მირზას, და სულ ერთიანად გამოიკვლია, რამდენი მამული აქვს იმის ბატონსა, ნაყოფიერია თუ არა მიწა? სოფლის ხალხი შემფერებელია თუ არა უცხოსი, და, როდესაც მირზასაგან მიიღო დამამშეიდებელი პასუხები, მაშინ უკანასკნელად და მტკიცედ გარდასწვიტა იქ დასახლება: „გაინე! ჩვენ, შეილო, ამაზედ უკეთესს ადგილს ვეღარსად ვიპოვნით, ვერც ამაზედ უკეთესს ხალხსა, — მოდი, შვილო, აქ დავსახლდეთ, თუ ბატონმა ნება მოგვცეს.“

— როგორცა სჯობდეს, გენაცვალე. ხალხი კი, თუ სულ ამათთანა ხალხია, ღმერთმა უკეთესი, ნულარ მათხოვნინოს. აქ, ამ სამოთხეში იმ ჯოჯოხეთის შემდეგ რაღა მოაწყენს კაცსა; — დახე, ყმაწვილებიც კი რა ნაირად გახალისძნენ და მოიმხიარულეს ამ ტანჯვით მოგზაურობის შემდეგ? აქამდისინ მოლაპარაკე ხალხმა მიაქცია ყურადღება ყმაწვილებისაკენ: ისინი სულ ერთად ირველივ ისხდენ ტახტზედ და ერთმანერთს თავიანთ ამბავს ელაპარაკებოდენ. როდესაც რომელიმე ყმაწვილი გაიცინებდა რაზედმე, მაშინ უკელანი ასტეხდენ კასკასსა და ესვერდნენ ერთმანეთს, თითქო დიდი-ხნის დაშორებული მეგობრები შეხვედრილანო. მერე ისევ ტკბილად დაიწყებდნენ ლაპარაკსა.

მეგზავრების გაებას მიცემულნი, არც დიდი არც პატარა ალარა ფიქრობდნენ ძილზედ და კარგად განათლებული იყო არე-მარე, როდესაც სახლში ისევ ისხდ-

გარდასახლებულები

წერ და ლაპარაკობდნენ ძველ და ახალ გარემოებაზედ,
აგრეთვე მომავალზედ.

— ახლა საცაა გამოვა ზატონი გარზედა, და თქვენ-
ზედ მოვახსენებ “—უთხრა მგზავრებს მიჩიამ” — ვსოდოვ
ჩემის შხრით, რომ ნება მოგცეთ აქ დასახლებისა და
იმედი მაქვს, რომ მოხერხდება საქმე. ცხოვრება კი არ
გაგიჭირდებათ: მიწა სულ ოხრათა ყრია, რომელიც გინ-
დათ ამოიჩივეთ, მოხანით და დათესეთ.—ოჰ, გამოსუ-
ლა კიდეცა! — განაგრძო მიჩიამ კარებში გამოხედვის
შემდეგ, გარდაიცო საჩქაროთ ჩოხა და გამოვიდა კარ-
ზედ.

მელანიამ ჩამოგავა სახლი, იქნება ბატონი შემოვი-
დესო, და მიალგა ტახტზედ. თუ არ შემოვიდოდა ბატო-
ნი შინა, გარეთ შაინც დაუძახებდა გარდოსახლებულებს,
და ამისათვის ყველანი მოემზადნენ ბატონის მისალებად.

პატარა ხანის შემდეგ გაიღო სახლის კარები და ბა-
ტონი შემობრძანდა შინა. ზაქარია აყალიშვილი, ტანათ
მალალი კაცი იყო, შხრები ჰქონდა საშინელი განივრები
და ჩატყვიავებულები, წელი წელილი და სახის წყობი-
ლობა მშენიერა: ზომიერი ცხვირი, დიდროვანი შავი
თვალები, ხშირნი გადაბმულნი წარბები და პატარა ტუჩე-
ბი ამშვენებდნენ იმის დიდ სახესა. რაღაცა ჯაერით
ჰქონდა დაზარმაცებული სახის მეტყველება და შებძლზედ
აუკარებლობა ეწერა ტყვიის კალმითა. მაგრამ, რომ გარ-
დახედა ერთად შეჯგუფებულს უბედურებისაგან დავარდ-
ნის სახლობას, რაღაცა ლიმილი გამოისახა პირზედ და
თანმეგრძნობელის ხმით უთხრა ბერიკაცა, „გამარჯ-
ვება შენი მოხუცო,“ და, როდესაც მოხუცი ისევ ცხვირ-



წინ ბურტყუნებდა, „ლშერომა აღდეგზე လს ბატონი“, ზაქარიაშ დაუმატა კითხვა:

— რა გაჭირებას გაუტედეთ ებია თქვენ თვის ამ სათათ-რეოში გადმოსახლება?

— რაღა რა გაჭირებას, შენი ჭირიმე, — სიცოცხლე გაგვიმწარა ჩვენშა ბატონშა და იქუმ იმ სიცოცხლეს სუკვდილი ვარჩიეთ: თუნდ დარწმუნებული ცყოფლივია-ვი, რომ აქ სულ ყველას ყელებს დაგჭირილნენ, მაგნ ც იქ ველარ დავრჩებოდით.

— ეგრე როგორ შეგაწუხა, იმ შეჩერებულმა ბატონ-შა, რას გიშერებოდათ მაგეთსა?

— როგორ აღარ შეგვაწუხა, შენი ჭირიმე, ვინ ჩამოს-თვლის იმ ပარვაცლას და წვალებას, რაც ჩვენშა ბატონ-შა მოგვაყენა. ჩვენი ოჯახი, შენი ჭირიმე, ბატონო, ცვე-ლაპედ მრავალი და შეძლებული იყო ჩვენ სოფელში: ერთ დიდ დარბაზში შვიდი აიდი პევანი ირწლდა ერთა-თა და ისრეთი სიცარიული და ერთ-გულობა იყო ჩვენ-შე, რომ მტერიც კი დაგრატილოდა. მაგრამ იმ შეჩერე-ბულმა ბატონშა რაღაცასთვის მოგვყო ხელი, შენი ჭი-რიბე, ხალხი და საქონელი ზოგი დაგვიყიდა, ზოგი თი-თონ წაიყვანა შეინა, ზოგი შეშის ზიდვით დაგვიხცა: ხარ-კამეჩის მაგიდარად შეგვაბაედა ხოლმე, შენი ჭირიმე, და ისრე გვაზიდვინებდა შეშის ატენის ხეობიდგან. — ახ-ლაცა ჰყავს იქ დატყვევებულები ერთი ცაჟი და ერთი ქა-ლი, ჩემი შევილის-შეილები, — აი ამის შეილები, შენი ჭი-რიმე, უჩერენა ხელით გაიანებდე. — გაიანებდა გარე და არ მო ას მარჯოს ათვა ერთი და ერთი ცხარე ტრემლი ულბობდა დაწევებს. შვილები გარს იყვნენ შე-

გარდასახლებულები

მოხვეულები და ეშინოდათ ხმა ამოელოთ, მხოლოდ პირ-ლიანი რაღაცა განცვითორებით უყურებდნენ ზაქარიას. როდესაც მოხუცმა მოაგონა გაიანეს დარჩიმილი და სა-უკუნოდ დაკარგული შეიღები, მაშინ მშობლიურმა დე-დის გულმა ვეღარ ჩაყლაპა ხმა ტირილისა—მსლოკინარე გულით დაემხო გაიანე ზატონის ფეხებთან და ტირილით შესთხოვა! „შენ გენაცვალე, ზატონო! ამოდენა ვათ-ვაგ-ლახი ჩეენთეის საკმაოა ლეთისაგანაცა, და კაცისაგანაცა, განგვიყითხე ეს დაკარგული და წუთის-სოფელზედ ხელ-ალებული ხალხი და ნუ ჩაგვამწარებ უკანასკნელ დღესა! ამოდენა სულნი სულ შენი მორჩილნი და უბასუხო მონები ვიქმნებით, ვიღრე პირში სული გვედგმება!“

თუმცა უკემურსა და უბედურს ცხოვრებას დიდი-ზანია იყო ზაქარია მიჩეული, მაგრამ ამისთანა შემარყეველი ცენტები ან სულ არ ენახა, და ან თუ, ენახა როდისმე, სულ გადავიწყებული ჰქონდა. აშისათვის, როდესაც უბე-დურმა დედამ მომტირალის შეიღებით და პირ-ქვე დამ-ხობილმა შესთხოვა მოწყალება, ზაქარიამ ვეღარ შეი-მაგრა გული და ერთი მსხვილი მარცვალი ცრემლისა ჩამოაგორდა ლოკაზედ და დაუმდლაშიანა ტუჩები. საშინე-ლი მეტყველობა მიიღო იმის სახემ: წარბები უფრო შე-ეცუმშა, შუბლი შეეკრა, ტუჩები დაულურჯდნენ და კან-კალი დაწყეს, რაღაცა თრთოლა შეექნა მრთელს აგე-ბულებაში. დიდ-ზანს იყო ესრედ უძრავად და ერთ ად-გილს და უგრძნობლად დაპყურებდა იმის ფერხთან დავრ-დომილს გაიანეს, რომელსაც კაბაზედ წყიდებოდნენ შვი-ლები და ტიროდნენ, მაგრამ კრძალვით, ჩუმათ, თითქო ეშინოდათ დედის ხმა არ გაჟაჭაჭარბოთა დაპყურებდა

ამ სცენას ზაქარია და შემდეგ, ერთბაშათ გაცოცხლებული, გამოღვიძებული მიყარდა ყმაწვილებსა და გაშფოთებულად გარდაპკაცუნა ისინი, ორცენი ნი ხელშა აიყვანა და გაიანესაც უბრძანა ადგომა.

„თქვენ რა უბედურება გეტიუბათ“ — სოჭვა ზაქარიამ ცოტა ხანის შემდეგ, — „როდესაც თქვენი ოჯახობა შესდგება რამდენიმე სულთაგან, რომლებსაც ერთმანეთი ასრე ძლიერ გოყვართ. უბედური ის არის, ვისაც ჩემსავით აღარავინა ჰყავს ქვეყანაზედ თანა-მგრძნობელი და გულის შემატევარი. თქვენა, ჩემო კარგნო, უბედურება იქნება თუ ბედნიერება, მაინც რამდენიმე უნდა გაყოთ და ერთმანეთი ანუგეშოთ და ან გაუმრავლოთ ერთმანერთს ბედნიერება. მარამ ჩემსავით სულით ობოლმა რა უნდა ქნას? ბედნიერება ვიშოვნო, ვინ გავახარო? ვის გაუნაწილო ჩემი ნდოვნი ბედნიერება? და უბედურებას ხომ მარტო უნდა მიუშეირო გული და ჩამოუცლელს გულს დაჯახება იგი ტყეიასავით, ან გადავრჩები ან თან გამიტანს, ვინ იცის! ვის ვანდობ მე ჩემს ვულის საიდუმლოს? ვის გამოუცხადებ ჩემს დაფარულ აზრსა, რომ დარწმუნებული ვიყვე, თანა-მიგრძნობს და შემეწევა, დამანუგეშებს, თორტე არ გამცემს მეთქი? — მოკლებული და დაკარგული გარ თავისიანისაგან : მამა არსადა, დედა არსადა, ძმა არსად, და არსად, ცოლი და შვილი არსად, და მარტო ზოგჯერ გავართობ ხოლმე გულსა აი ამ მიხაკას ყმაწვილებში. კაცისათვის ქვეყანაზედ ყმაწვილებს რა სჯობიან? რა დაატკბობს კუს ისრე, როგორც ბედნიერად ამორჩეული საიმედო ერთგული ცოლი და ამათსავით მოტიკტიკე ჰატარა

გარდასახლებულები

ყმაწვილები? სხვა სულ ამაռება არის ამ ოხერს წუთის სოფელში, — სახელი, სიმღიდრე, ძალა და შეძლებულება, — სულ ფუჭია, და დარწმუნებულნიყავით, რომ არც ერთს დიდა და შეძლებულს კაცს არა აქვს უიმა-თოდ წესიერად დამტკბარი ცხოვრება: — რაკი შენისთანა მოწყალე ბატონი ვიპოვნეთ, შენი ჭირიმე, იმ წარსულ უბედურებას ჩალათაც არ ჩაესთვლიდი, რომ ცოცხლები მაინც არ მყავდნენ დაკარგულები: უკ-ველია, შენი ჭირიმე, ჩვენი ბატონი შაიტყობს ჩვენს გა-მოპარვას, იმ წამსვე იმ და-ძმას დააჭირონ ებს ციხეში და სიკვდილამდინ აღარ გამოუშვებს. — ღმერთი მოწყალეა, მოხუცო! იმედს ნუ იკარგავ, იქნება იმათაც როგორმე უშველონ თავსა და გამოიქც-ნენ. თუ არა და შევატყობინოთ, რომ თქვენ აქა ხართ და ჩვენვე უშველოთ როგორმე გამოპარვა. — თქვენ კი, მოხუცო, აქ შიში და ფიჭი ნურაფრისა გაქვსთ: ეს ტუ ახლოა, საჭანელი ბევრია, მოიხმარეთ ამოდენა ბიჭები, აიშენეთ თქვენთვის პატარა ქოხი და იცხოვრეთ; რო-გორც იცოდეთ და გიჯობდეთ; თუ გაგიჭირდეს რამე, მე მითხარით, მე სულ აქა ვარ. — მადლობელი გახლავართ, შენი ჭირიმე! თუ ჩვენ ვერ მევიძლეთ, ღმერთი გადაგინდის ჩვენ მაგიერა ამ სიკუ-თეს. — მე სხვა სიკეთე არა-მინდა-რა თქვენგან, იღონ დ მაგ ყმაწვილებმა იცუნ ცულონ ხოლმე ეზოში, რომ გუ-ლი გაეართო მაგათ ხუმრობაში და ცელქობაში. — ეს რა მშენიერი ქალი გეზრდება! თუთხრა გაიან ეს შემდეგ ნინოზედ და დაჰკოცნა ყმაწვილი. მარტ მძირ თე თე

რამოდენიმე ხანი კიდევ იჯდა იქ ზაქარია ბატონი და სხვა-და-სხვა იშედებს აძლევდა გადმოსახლებულებსა, იმან უბრძანა მირზას, რომ ხვალვე მიეცა ბერიკაცია-თვის რამოდენიმე საქონელი, გაეყოლებინა ბიჭები ტყე-ში და დაეწყოთ ხის ზიდვა სახლისათვის. კიდევ რამ უ-ნიმე სანუგეშო სიტყვა უთხრა ზაქარია ბატონმა ყველას სათითაოდ და შემდევ გამოვიდა გარეთ.

სოლო თვალს არ აშორებდა ბატონსა, და, რამდე-ნიც უფრო ღრმათა სინჯაედა, იმდენი უფრო გული უნდობოდა იმაზედ. საჭიროებულია, ჰუიქრობდა სოლო, რო-დესაც ბატონი დადიოდა ეზოში, ესრეთი კარგი გულის ბატონია და ასრუ მოკრძალებით ექცევიან. დაუდგა თვა-ლი ჩევნ ბატონს! ისრეთი ცოფიანი მგელია და კიდევ იმიტომ, ვგონებ, ერთმა ყმამ არ დაინდოს მოსაკლავად, იმისი ცოფიანი მოურავს მეტმა. აი, შეამათ ამოუეილე ჩევნი ქონება იმას და ამისთანა ბატონს კი, თუნდა არ მქონდეს, უშოვნიდა მივართმევ, თუ საჭირო იქნება იმისათვის და სასარგებლო.

იმ დღესვე გარდაწყვეტილი იყო, რომ მეორე დღესვე გადმოსახლებულები უნდა შესდგომობნენ სახ-ლის შენებას და იმის დასრულებამდისინ მირზასთან უნდა ყოფილიყონენ ჩასახლებულნი. იმედ-მოცემულ გადმოსა-ლებულებს ცოტათი გაელოთ გული და სიხარულით მი-ეცნენ მომავალი მშეიღი სიამოვნების ფიქრსა. — ორი სახლობის ყმაწვილები მაშინვე დამეგობრდნენ და იმ დღიდ ეზოს სიჩუმეს აცოცხლებდენ უდარდობისიცილის ხმითა. ბატონი ზაქარია გრძელი ჩიბუბით იჯდა თავის ბალკონ-ზედ და ხან ერთს ყმაწვილს მიეშველებოდა ხმითა, ხან



გარდასახლებულები

შეორეს: „არ წაიქცე, ნინო! ნინო!“ — მიაძახებდა გაქცეულს ნინოს; „ბიჭი! ბიჭი!“ ე ჯოხი არაეს მოარტყა, რა ნა-იჩად იქნევ!“ — დაუძახებდა გიგას; „მეეცალენით! ცხენი მოჩბის, არეინ გაგიტანოთ!“ — წამოხტებოდა ფეხზედ ალელებული — „ჰაი, შე საძაგელო“! — დააბოლოვებდა ზაქარია ლიმილით, როცა უვნებლად ერთის ფეხით მო-შორდებოდი განსაცდელს რომელიმე ყმაწვილი.

თ ა გ ი მ Ⅲ.

ჩეენ ნაცნობ ზაქარია ავალიშვილის ეზოში, მირზას სახლის გვერდით, ახლა, რამდენიმე წლის შემდეგ, იღვა სხვა სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ჩეენ ნაცნობ გადმო-სახლებულებს. ყმაწვილები ალარსადა ჩანდნენ ეზოში: გიგა და პატარა ყმაწვილი დიდი-ხნის დახოცვილები იყვნენ; იმათ სახსოვრათ ორი გროვა მიწა ეყარა იქ-ვე ეზოს უკან და ორი დიდი ქვები იყვნენ მათში ყირა-მალა ჩარჭობილები. ნინო არდალანში იყო წაყვანილი ალიფაშასთან. აი როგორ მოხდა ეს საქე.

მაგრამ, მინამ მოგითხობდეთ იმ ამბავს, თუ რა გზით მოხვდა ნინო არდალანში ალიფაშის გარეშეში, მე მსურს დაგიხატოთ, როგორ იზრდებოდა ის ამ უცხო ქვეყა-ნაში და შემდეგ ალვწერო მისი მშვენიერი სურათი.

რაკი გიგა და პატარა ყმაწვილი დახოცვნენ, ნინო თითქმის დედის ერთა დარჩა, რადგანაც სოლო იშვია-თად-ლა შემოლიოდა სახლში, — მარტო ის იყო საყოველ-თაო მანუგეშებელი პაპისა დი დედისა და ამისათვის ძა-

ლიან თავისუფლათა ზრდილნენ — არა იყო-რა იმისათვის
 აღკრძალული და უკანასკნელი სურვილიც კი უკველ-
 თვის უსრულდებოდა, თუ აღსრულება კაცისათვის შესა-
 ლებელი იყო. მარამ ნინო ბევრს არაფერს ითხოვდა, თა-
 ვისუფალი ცხოვრების მეტსა, და ამ თავისუფლებასაც მოქ-
 ლეს, დროებითს: დღის მეტი ნაწილი ის სულ შინ იჯდ
 და სცდილობდა, როგორც კი შეეძლო, ესიამოვნებინა
 მშობლები, რომლებსაც სულ წარბებში უცემოდა, არა
 ეწყინოსთ-რა და არა დააკლდესთ-რაო. მაგრამ დილით,
 მზის ამოსელამდისინ, და სალამოთი განსაკუთრებით თა-
 ვის უფალი იყო ნინო ვა უხვად სარგებლობდა ბუნების
 მშვენიერებითა და ძალითა.

იაფრაებდა თუ არა მტრედის ფრათ, ნინო ფეხზე
 იდგა და ემზადებოდა ეზოდგან გასელას. არც არა-ვინ
 თან გამყოლი, არც შორიდგან ყურის მგდებელი არა-ვინ
 ეგულებოდა ნინოს, მაგრამ შიში გაუგებარი გრძნობ-
 იყო მისთვის, რადგანაც ახლო-მახლო სოფლებში ყვე-
 ლანი იცნობდენ და, ზაქარიას შიშით, არამც თუ ვერას-
 ფერს გაუბედავდნენ, არამედ დიდის მოკრძალებით და პა-
 ტივის-ცემით ექცეოდნენ. ამისათვის დაურიდებლად დაცე-
 რიალებდა გასათხოვრად მოწეული ნინო ბადელის არე-
 მარეში, რომელსაც თავის სამფლობელოს ეძახდა. ხან
 შეერეოდა საშინელ მაღალ ბალაში, რომელშიაც ცხე-
 ნიანი კაციც თითქმის დაიმალებოდა იქა, თითქო რაღა-
 საც ეძებსო; ხან თხელ ახალ ყანაში ჩაწვებოდა და აშ-
 ლიდა მწვანე ძაფის ბადესა მოჭუკუკუკე მწყრის დასაჭე-
 რად; ხან შეერეოდა იმ აუარებელ ღრმა ღელეებში და
 დადიოდა თავ-ჩალუნული, თითქო ძალიან მძიმე ფიჭე-

გარდასახლებულები

ბით არის დამონებულიო; აფიდოდა ქედზედ და მხიარული, უმანკო, უეჭვო და მშეიღი გულით, რომლისა მდგომარეობაც გამოსახული ჰქონდა მშეენიერ მოღიმარ სახეზედ, გარდაპერდავდა არე-მარეს იმრგვლივ. უფრო საღამოთი უყვარდა ქედები და კლდეები, რომლებზედც გარეულ თხასავით დახტოდა და რომლებიღანაც გააცილებდა ხოლმე თვალით ჩამავალ მზესა. როდესაც უკანასკნელი სხივები განქრებოდნენ გორიზონტზედ და მკედრის მზის შუქილა მკრთლად ანათებდა არე-მარეს, მაშინ ნინო ილოცვიდა რომელსამე კლდეზედ და რაღაცა დალონებული დაბრუნდებოდა შინისაკენ. მხოლოდ იმ გვარი ლონება კი არა ჰქონდა გამოსახული პირზედ, როგორიც კაცა, რომელსაც აღელვებს რაღაცა მაღალი ფიქრი დაუძლეველი, — ანუ მოგონება დაკარგული ნეტარებისა, მოკლებული სიყვარულისა, დაობლება მეგობრით, რომლისა დაზიუქრება საეჭვო არის, ანუ სხვა რითმე; არა, ნინოს ეტყობოდა მარტო დაღალვა, შესუბუქება, განსვენება იმ წმინდა გრძნობისა, რომლითაც ჰარმობდა მთელი დღე და რომელიც მოელოდა ყოველ დღეს.

ნინომ ესრედ გაატარა ცხოვრება რამოდენიმე წელსა და შეიქნა მთლად ბუნების შვილი. სხვა-ნაირი ცხოვრება არ იცოდა იმან ქვეყანაზედ, და ამისათვის ვერ წარმოიდგენდა იმ ქვეყნის მუხთლობას, რომელიც აუცილებელია ვრცელი სულდგმულისათვის, რომელსაცა აქვს აიმე ჩვეულებრივი სურვილი. მავრამ ნინოს სურვილი რა იყო? რა იცოდა, რა ენახა, რომ რა უნდა ესურეა? წარსული თავის ნათესავებისა მარტო გაგონით

იცოდა და ამ დროს კი ის მარტო სცოცხლობდა და მხოლოდ ბუნების, მშეენიერებით. დედას და პაბას ბედნიერათ სთვლიდა, რადგან აც იმათ არა ეთქვათ რა თავის უბედურებაზედ, რომ არ ჩაენერგათ ნინოს გულმიცის შემჭმელი ნაღვლიანობა, რომელიც დღითი-დღე ადნობდა მამა - შეილს. ამისათვის ნინო უერც კი წარმოიდგენდა უბედურებას, ნაღვლიანობას, შემჭმელ ფრიქრებს ასრულ აღიზარდა ნინო და ამისათვის იმას არა ჰქონდა სახეზედ დასმული არც ერთი დაღა, რომელსაც დასვამს ხოლმე კაცს სოფლის გაუტან ლობა. ბუნებით აღზრდილს, ბუნების შეურყეველი მშეიდობიანობა ჰქონდა გამოხატული სახეზედ: არც ერთხელ არ შეჰქონდა წარბი, არც ერთხელ არ ათრთოლებულან და არ დალურჯებულან იმისი მშეენიერი ტუჩები, არ კაწკერებულან ბროლი კბილები, ავალ-მყოფათ, გაშმაგებულათ და უჭომოთ არ უცემნია ნინოს გულსა, არ მისუსტებულა მისი თვალების ცლვარება ბევრის სულის მოღალვითა; — სულ ერთი-და იგივე მარდი ნინო იყო, მინაც სულ დაცერიალებდა და გარეთაც.

არ ვიცი მკითხველო, თქვენ როგორა ჰყიქრობთ, და მე კი ასრე ვგონებ, რომ ყოველისფრით შემკული ბუნება ყოველისფრით შემკული არსებას აღზრდის; — ნინო წარმოვევიდგენს ამის მაგალითს. ნინოს წელს არ მიჰკარებია კორსეტი და ფეხებს მჭიდროს და მაღალ-ქუსლი ან გაბოლუსაპოეკები, ნინოს პირის არ მიჰკარებია არც ერთი გვარი ფერ-უმარილი, ნინოს გონებას და გულს არა სცოდნიათ არც ერთი იმ დარიგებათავანი, რომ ლებაც ეხლანდელი დედები აკვანშიაც კი ჩასახიან თასი.

ერთ პატარკუნა ქალებს — ძუძუნაებს, და პრაცულებენ ამ
 დარიგებას გათხოვებამდისინ; — ეს დედები ურჩევენ ტანი-
 სამოსის ფერსა და ფორმასა, პომადებსა და ღუხებსა;
 კორსეტებით წელსა სწყვეტენ თავიანთ ქალებსა, ბალებ-
 ში მტერით და ღალერთ აჭლექებენ იმათ, ფეხებს უმახინ-
 ჯებენ. მარამ ახლა დახედეთ ნინოს სურათსა, რომელიც
 მოკლებული იყო ყველა ამ დამამახინ ჯებელს „უბედურე-
 ბას,“ და შეადარეთ ახლანდელ ლამაზ ქალებსა. სურათი
 „უბედურებას!“ — იტყვიან ახლანდელი ქალები და მწა-
 რედ ჩაიცინებენ. — „დათვია! სწორედ დათვი უნდა იყოს
 ამის დამწერი, ჩაიკეტოს ჩამორიბით თავის სორიში და
 ზაფხულში დაიზლაზნებოდეს ღრე-ტყეში. — დასწყეველოს
 ღმერთმა! მხეცი! არც ბალიო, არც ვეჩერი, არც ფერ-
 უმარილი და პუდრიო, არც ტანისამოსიო, — მოკლებუ-
 ლი ყოფილა თითონის უბედური ამის დამწერი წუთის
 სოფელსა და ჯავარს ჩეცნზედ იყრის! — დათვი, მხეცი,
 სულელი! უი, მეხი კი დაგაყარე მაგ თავზედ!“ ტადერ მა-
 „სუ...უთ!“ ვიძახი გულში, როდესაც ვგრძნობ, რომ
 ესრეთი პასუხი აუცილებელია ჩემთვის ბარიშნებისაგან —
 „სუ-თ! თორემ ახლავ გადმოვსწერავ მეტერნეს ალფავიტ-
 ზედ დაწერილ მხეცებსა!“ — „სუ...უ...თ! თქეენ სიტყვა არ
 გეთქმით!...“

„დიალ, სწორედ ასრე იტყვიან „ბარიშნები“, — ვგო-
 ნებ მისთვის, რომ ესრეთი პასუხი მე წინათვე მივიღე არა
 ჩამორჩენილი ბარიშნისაგან. — ნინოს სურათზედაც ბევრი
 გაყიცხვა, მომელის ჩეცნი ნაზარუქა ბარიშნებისაგან და
 მივიღე კიდევცა არამ გვარი შენიშვნა: „ხეირიანი რამაცა
 კოფილა! გადაბმული წარბები! შავი თმა! ელინ თილი ლო-

ყები! დიდრონი თვალები!“ (მკითხველი! ეს სიტყვები ტუჩების გრეხით უნდა წაიკითხო) — „ქალს უნდა ცოტა ყვითელი ფერი დაჲკრავდეს თვალები დაღალული და მი-მყდარებული პქონდეს, თორემ რას ეგვანება? ვაზაქს, გავარდნილ ავაზაქს! უკარსეტოთ ხომ ხეირიანიც რამ იქნება, გაფაშეული!“ მარაშ მე ყურს არ უკდებ, რაც უნდა თქვას ნაზმა ბარიშნამ, თუნდა, დათვი კი-არა, ბაყაყიც დამარქეას, ჩემი ნინო ისეთი უნდა იყვეს, რო-გორსაც ალზრდიდა ბუნება უსპიჭების — თავებოდ და ბა-ლებში დაულალავათ.

მკითხველო! მე დახელოვნებული მხატვარი არ გახ-ლავარ, მაგრამ პირ-და-პირ ალწერას, ვვონებ, დიდი ხე-ლოსნობა არც უნდა, მეტადრე იმ გვამის ალწერას, რო-მელზედაც არ არის არც ერთი ხაზი, გარყენილი ხელოს-ნობით გადასმული და რომელიც, მაშასადამე, გამოიხატე-ბა მდაბიური სიტყვებითაც; თორემ ახლანდელ ბარიშნას არ დავხატავ, თუნდა ყელზედ მეცვეოდნენ: არ შეიძლება, რომ ან უხეირო მექურჭლის გამოყვანილი ლიტრა არ დაერქეა, ან თიხა-მოყრილი გაყენოლებული ფისი, ან კატის თვალები, ან... ვინ იცის, რა არ დაერქმევა „ბა-რიშნას!“ — ეჭ, ღმერთმა უშველოთ ბარიშნებსაც, მე იმათ თავს ვანებებ და ვიწყობ ნინოს სურათს (რომ გავაჯარო ბარიშნები), რომელიც მოკლებული იყო „უბედურებას.“

აი ნინოს სურათი: მაღალი ლელწამივით სწორეთ ალზრდილი ტანი, ფართე გახსნილი ვხრები და შესაფერი წელი. მრგვალი ჰატრი პირი ყარყარა მაღალ ყელზედ, ბროლივით თეთრი ლოცვები, რომელთაგანაც გამობჭყვი-ოდა სუფთა წითელი სისხლი, ბროლივით თეთრი კბი-

გარდასახლებულები

ლები, რომლებსაც ჰერაკლენენ აღი—წითელი ტუჩები, ზომიერი ცხვირი, დიდრონი, გიშერივით შავი თვალები, რომლებსაც უჩრდილებდნენ ხშირი ისარივით გრძელი წამ-წამები, ხშირი და გადაბმული წარბები, გარდაშლილი შუბლი და თავზედ გიშერივით შავი თმა, რვა ნაწნავად ჩაწნული და კოჭებამდისინ.

ასრეთ იშვიათ მშვენიერებას წარმოგვიდგენდა გარე-ული ნინო და მაინც მოურიდებლად დაიარებოდა ბალე-ლის არე-მარეში. მთელ არდალანის მაზრაში გავარდა ნინოს მშვენების ხმა და მნახველს აღარ უნდოდა მოე-შორებინა თვალი. მარამ ნინოს არა ჰქონდა-რა გულში ხინჯი და სრულებით ვერ წარმოიდგენდა, რომ მას შე-ეძლო მარმარილოს გულისაც დატყვევება. იმან მთელ ქვეყანაზედ მარტო ბადელის არე-მარე იციდა და ყოველ გვარი გრძნობა მისთვის უცხო იყო, გარნა იმ ბედნიერე-ბისა, რომელსაც გრძნობდა ბუნებასთან ცელქობაში. მაგრამ ბედმა უმუხლოდა და ნინო მოაკლდა ამ ბედნიე-რებას.

მშვენიერი მყუდრო საღამო იყო. მზე ჩასული იყო. ნინო გზის პირში ერთს კლდეზედ იყო დაწოქილი და ლო-ცულობდა. ამ დროს გზაზედ გამოჩდნენ ცხენოსნები, რომლებსაც წინ მოუძლოდათ ბატონი, თავით ფეხებამ-დისინ ოქროთი შემოსილი. ნინომ დაინახა ცხენოსნები და მოუნდა დათვალიერება; ამისათვის წარსდგა წინ და მოელოდა მათ. ცხენოსნების უფროსს ძალიან მოეწონა ნინო და გაჰკვირდა, რომ მარტო ნახა ტრიალ მინდოორში — ეინა ხარ შენა? — ჰკითხა ნინოს ალი-ფაშამ გაკვირ-ვებით.

— „ნინო“ — მოუგო მშვიდად ნინომ.
 — ვისი შეილი ხარ?
 — გაიანესი.
 — ვინ გაიანესი? მამა არა გყავს? ან გვარი არ უშენი?
 — არც მამა მყავს და არც გვარი ვაუზი.
 — ალიფაშამ გაკვირვებით აიწია მხრები.
 — სად დგეხარ?
 — ბადელში.
 — ვისთანა?
 — დედა-ჩემთანა.
 — ვინ დედა-შენთანა? ვინ არის დედა-შენი?
 — გაიანე.
 — შენ და დედა-შენი ვის სახლში დგეხართ?
 — ზაქარია ბატონის სახლში.
 — მერე აქამდისინ აქ რას აკეთებ, ხომ ძებნას დაგწყებდლნენ?
 — მე სულ ასრე დავდივარ და იციან, რომ საღამოჲშედ შინ მივალ.
 — მერე მარტოს არაფრისა გეშინიან?
 — რისა უნდა შეშინოდეს?
 — ჯერ სულ გამოუცდელი ყოფილხარ შენა. საშიშია ახალ-გაზრდა ქალისათვის ამ დროს და ამ ადგილს მარტო ყოფნა, ძალიან საშიშია. აი მეც ზაქარიასთან მივდინარ სტუმრათა და მე გირჩევ, ჩვენ მოგვდივო აქეარებული ფეხითა, — თორემ საშიშია შენი მარტო ყოფნა. — ხომ არავის უცდი აქა? ჰკიოთხა პატარა ხანს უკან ალიფაშამ, და ამ ფიქრმა წაუხდინა მას ქეიფი.

გარდასახლებულები

— ეს უნდა უცდიდე, დედა და პაპა შინ არიან?!

— მაშ წადი შინა—უთხრა ალი-ფაშამ და თითონაც წავიდა. მისი დამატებულებების შემთხვევაში იყო ჩატარებული მისი მიზანი და მიზანი არიან, და აქეთ-იქით იხედებოდა. „რა ვენა, რა საშიშია—ჰერიკი“ რობდა ნინო თავისთვის — დათვები ააქ არ არიან, და მგლები.“ და ის კი არ იცოდა, რომ კაცი ზოგ-ჯერ მგელზედაც უარესია. „არ ვიცი“, — დააბოლოვა ნინომ და წავიდა შინა.

ალი-ფაშა ძერი-ფასი სტუმარი იყო ზაქარიასათვის და ამიტომ გულ-ლია და უხევათ დაუხვდა იმას. მაგრამ ალი-ფაშას არაფრისათვის არ ეცალა, იმისი გული დამოუნებული იყო იმ მშვენიერი ქალისაგან, რომელიც გზაზედ ნახა, — იმისი მსგავსი არავინ ენახა-რა ჯერ თავის სიცუცლეში, ანსოდე, რომ ნინომ უთხრა, ზაქარიას სახლში ვსდგევარო და ამისათვის ალი-ფაშა გამოვიდა ბალი კუნზე და უცდიდა ნინოს მოსვლასა. ნინო შემოვიდა პატარა ხანის უკან ეზოში და ალი-ფაშა ათას-ფრათ აენ-თო ნინოს მოპოვების სურვილით. მაშინვე გამოვიდა ზაქარიას ნინოს ამბავი და მან დაწვლილებით უამბო; არა ჰქოლნა ზაქარიას იმედი, თუ ასრული მეგობარი კაცი აწყვენიებდა ქალის გულისათვის ქალისავე წყენით, ქალი კი რომ წყენათ მიიღებდა ალი-ფაშასთან წასვლას, — ამაში ზაქარიას ეჭვი სრულებით არა ჰქონდა. ალიფაშამ დაიმშევ და გული და გამხიარულდა. — ვის შეუძლიან აღწეროს ის გრძნობანი, რომელნიც აღიძერიან იმ შმაგი, მურდალი და მრუში კაცის გულში, რომ

ლისათვისაც წმიდა არაფერია ქვეყანაზედ, რომელიც
 თავის-თავში ჰქელავს ნახევარ ომერთსა და მარტო იმას
 სცდილობს, რომ თავი დაიკმაყოფილოს? ამისთანა მხეცს,
 რომელიც წარმოიდგენს თავის-თავს მძღვრ პიედესტალ-
 ზედ დამყარებულათ, წინ იცის, რა ფიქრი, რა გვარი შე-
 ქცევა არ მოუვიდეს თავში, დაბურულ ნისლით მოსილს
 თავში, და ყოველიფერი უნდა აღისრულოს, თუნდა ამითი
 უმწარებდეს სიცოცხლეს არამც-თუ ერთსა, ან ათს კაცსა,
 არამედ მთელ ქვეყანასაც! ვის არ სხსოვს რომაელი ხელ-
 მწიფე, რომელიც ნანობდა, ჩატომ მთელ კაცობრიობას
 ერთი თავი არ აბია, რომ ერთბაშათ მოვსჭრაო... ამის-
 თანა ჯურის კაცი იყო ალი-ფაშა, ოლონდ კი თავისი
 ნდომა აღესრულებინა და ისიც კი ვერ დააყენებდა, თუ
 კი მოინდომებდა, რომ ახალი ჯვარ-წერილი ცოლი
 ლოგინიდგან წაერთმია ქმრისათვის, ძუძუ-მწოდეარა ყმა-
 წვილი გაეგლეჯინებინა მომტირალი და მათხოვარი დე-
 დის თვალ-წინა და სხვ. და ნინო აი ამ კაცს შეხვდა
 გზაზედ, საუბედუროთ. ნინომ არა იცოდა-რა და ვერც-კი
 წარმოიდგენდა, რომ ამ შემთხვევას შეეძლო მისთვის
 უბედურების მოტანა. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში
 იყო ალიფაშა. პილწი ნდომა ალი აძლევდა მოსვენებას
 და ჯერისევ განთიადი იყო მარტო მტრედის-ფრად, რო-
 დესაც ალი-ფაშა გაემგზავრა არდალანში იმ გარდაწყვე-
 ტილებით, რომ ნინო იმ-დღესვე მიეყვანა არდალანში
 და აღესრულებინა თავისი გულის წადილი. სწორეთ იმ
 ადგილს, სადაც წინა დღით ნახა ნინო, ალი-ფაშამ შეა-
 ფერხა ცხენი და უბრძანა გულ-ქვა ბრძანების აღმასრულე-
 ბლებს, რომ დაეცადნათ იქ და, თუ ნინო გამოჩნდებოდა

საღმე, მოეტაცნათ და მიეყვანათ არდალანში. ათ-ათი ლირი დაპირდათ მოდარაჯეებს. — ჯერ თითონ მზე არ-სადა სჩანდა და მარტო მისი ისარივით სხივები ფარცხი-ეით ამოიშალნენ გორიზოტზედ, როდესაც ნინო, ჩვეუ-ლებისამებრ, გამოჩნდა მინდორში, ცელქობდა და დას-დევდა სხვა-და-სხვა ფერად დახატულ პეპელაებს. დაუნ-დობელმა მოდარაჯეებმა სტაცის ხელი და, ვიდრე ნინო ხმას ამოიღებდა, გაუყენეს არდალანისაკენ. — მარტო ახლა იგრძნო ნინომ, რომ მარტო სიარული მართლა საშიში ყოფილაო. ბეჭრი ეველრა მომტაცებლებს, მაგრამ ვერა გაწყორა, ვერ დაიხტივა თავი და გარდაიწყვეტა ყოვე-ლი იმედი განთავისუფლებისა.

ალი-ფაშა ძალიან გახარებული იყო და მხიარულად, მოწყალედ დაუხვდა ნინოს. იმან აუხსნა ნინოს, რომ შენისთანა მშვენიერებას არ შეფერის იმისთანა გადაკარ-გულ და მიყრუებულ ადგილებში მარტო კა სიარულიო, გარეულ თხასავითაო. იქ ზაქარია და შენი მშობლები ცუდი უურის მგდებლები იყვნენ შენი, მე შემებრალე და მსურს გაგაბედნიერო ჩემი უფროსი და უსაყვარელესი ცო-ლობითაო. ვის გიშოვნიდნენ იქ შენს შესაფერს? ვინ იყო იქ შენი ლირისი? ერთ მწყემსს ვისმეს მიგათხოვებდ-ნენ და უბედური შეიქნებოდი: უნდა გამხდარიყავი მსა-ხური შენი მწყემსი ქმრისა, შენ გეკერა, საჭმელი გეხარ-შა, ძროხები გეწველა და ტყიდგან ზურგით შეშა გეზილ-ნა. აქ კი შენ თითონ იქნები სხვის მშანებელი და ჩემი საყვარელი.“

— პაპა და დედა იქ დამრჩნენ და არც კი იციან სადა ეან“ — მიუგო ნინომ, და ვერ წარმოიდგინა ისრეთი სი-

ცოცხლე, რომ ადამიანი, სულ-დგმული ადამიანი არასფერს
 აკეთებდეს. — „მე ისევ შინ მეტჩიენა, ბატონო! როგორ
 შეიძლება, რომ არასფერი გავაკეთო! — შენ გენაცვალე
 ბატონო, გამგზავნე ისევ უკან.“ მეტად მეტად მეტად
 — ნუ სწუხლები, ჩემო ნინო, შენი უკან გაგზავნა
 აღარ შეიძლება, შენ ამას-იქით ჩემი ხარდა ხელი აღარა
 ვისა აქესაშენთან. იქნება შენა ვგონია, რომ მუქთად
 იყონაპოვნი? სამ-ოც-და-ათი ლირა მოვეცი შენ მომყვანებს
 და მინდა, თუ სარგებლით არა, თავნის ფასი მხამოვნება
 მაინც მიიღოთ. ამიერიდგან შენ ჩემი ცოლი ხარ და მარტო
 ჩემი ბრძანების აღმასრულებელი. შენ შენი მომყვანელი
 მოსამსახურე გოგოები გეყოლება და ხელსაც ნურაფრია
 სათვის გაანძრევ. მხოლოდ დანიშნულ სახლიდგან ვერ-
 სად ვახვალ, თუ პრეჩემთან და ისიც ჩემი ბრძანების შემ-
 დევ, მინდა, რომ შენისთანა მშეენირი და კეკლუცი ქა-
 ლი ბედნიერი იყვეს ჩემს ხელში და ამისათვის გაძლევ
 ჩემ თუთხმეტ ცოლებში უფროსობას. ეს ლირება ცოტა
 რავე არ გევინოს, ნინო! — ეს ისრეთი ლირება არის,
 რომ ყველა თავადის ქალი ბედნიერათ ჩასთვლიდა თავის-
 თავსა ამ იდეილზედ. — „ არ შემიძლიან, ბატონო, შენი ჭირიმე, თუნდა
 ეხლავე ჩამომახრჩოთ, მა ითორებებიც იძლევენ და შემ-
 არა უშაგს-რა, — ჯერ იქნება არ შეგვძლოს, მაგრამ
 მეტომე შეიძლებ. არ დაგვლავ კი, მაგრამ შენს რდგილას
 კი გაგზავნი. იქ კარგა მოიფიქრებ, შენი მოსამსახურე
 ბიც დაგარივებენ და შეგაძლებინებენ, რაც ახლა შეუძ-
 ლებელად მიგანია, ეგ სულ ტყუეილათა გფონია, რომ
 ვერ შემიძლიანო. ამ სიტყვებით დაძახებინა ალი-ფაშამ

გარდასახლებულები

მოსამსახურე ქალებს და ჩაბარა ნინო, რომელიც მათ
მაშინვე წაიყვანეს გარემში და მისცეს ცალკე ოთახი.
დიდ-ხანს იყო ნინო მარტოკა ამ ითახში და ვერ
უჩიგებოდა ახალ მდგომარეობას. მაგრამ ბოლოს მაინც
უნდა დამორჩილებულიყო ბედსა და ძალსა და აეტანა
ის გულის ყვედრება, რომელიც არ განშორებია მას და-
თანხმების დროდებან სიკედილამდისწნ. ამის შემდეგ, ნინო
შეიქმნა ნამდვილი დელოფალი გარემისა, მოსამსახურეები
თავს ევლებოდნენ მას და ცივ ნიავსაც არ მიადენდნენ
ხოლმე, ყველა კრძალვით ექცეოდა და თითონ ფაშაც
კი ზოგჯერ დაემორჩილებოდა ხოლმე მას, რომელიც
მრავალ შემთხვევაში ურბილებდა ფაშის გულსა და უპა-
ტიოსნებდა წალილსა. აღმ-ფაშა შეიქმნა ცოტა შემბ-
რალებელი კაცი და ყოველი ქვეშევრდომი თაყვანსა
სცემდა ნინოს სახელსა, რომელიც იყო ასრეთ გამკაცო-
ბრიობის მიხევი, ყველა მოისურვებდა მის ნახვასა. მოე-
ლი ისმალეთის ქალები ნატრობდნენ იმის ადგილს ყოფნა-
სა. მაგრამ თითონ ნინო ასრეთ არ უცეკროდა თავის-
თავსა იმ უსჯულო და დაუნდობელი კაცის ხელში და
იყო უფრო მოწამე იმ მომაკვდავ გარემოებაში, რადგა-
ნაც კაცის ბედნიერება აღემატება არა მრავლითა ქონე-
ბითა მისი კუთხნილებისა, არამედ განსითა, გამრავლები-
თა და განვითარებითა მის ბუნებითთა ძალთა. საზოგა-
დოების ხმა, რომელიც აქებს და აღიდებს სიმდიდრეს და
მრავალ ქონებას და არა შინაგანთა ძალათა სულისა
კაცისასა, სტუქსავს პატიოსანი კაცის გრძნობას, სწორეთ
ასრეთ მდგომარეობაში იყო ნინო აღმ-ფაშას გარემში,
სად და ის თავით ფეხებამდისწნ აქროში იჯდა და ყვე-

ლა გარე შემორტყმული ხალხი კი დასცინოდა მას გულ-
 ცივობისათვის, რომელიც ვერავის აქსნა. ნინოს შინაგანი
 ხილვა და აზრები, სჯა საგნებზედ ისრე განირჩევოდნენ
 სხვათაგან და განეშორებოდნენ, როგორც ანგელოსი ეშ-
 მაკისაგან: სხვანი თაყვანსა სცემდნენ ოქროს და ნინო კი
 სრულებით არ აფასებდა მას; სხვანი ამაყობდნენ ფაშის
 ცოლობით და ნინო კი საშინლად სწუხდა ამ მითამ ბედა
 ნიერებაზედ. ესრეთ სხვა-და-სხვა ფერია ბეღნიერება სხვა-
 და-სხვა კაცისათვის.

ასრედ განვლო ერთმა წელმა. ნინო სწავლობდა
 ცხოვრებას, აკვირდებოდა ცხოვრების კერძოობითს მო-
 ვლენათა, რომელთაც სულ ყოველ-დღე მოჰქონდა
 მისთვის ახალ-ახალი ცნობა, ახალი აზრები, ახალი ფიქ-
 რები, ახალი გრძნობანი, ყოველ დღით ემატებოდა მას
 ამითი სულის ძალა. მარამ რამდენადაც იცვლებოდა ნი-
 ნოს სულიერი ხილვა, სულიერი ცხოვრება, იმდენად უფ-
 რო უკან და უკან რჩებოდა და ეკარგებოდა მას სიყმა-
 წვილის ბეღნიერება, სარწმუნოება, მშეიდი შეურყეველი
 მდგომარეობა სულისა. სულ გლოვობდა თავისს დაკარ-
 გულს სინიდისსა და სარწმუნოებას და ყოველ დღე ეველ-
 რებოდა ღმერთსა, რომ შეენდო მისთვის ეს უნდომო
 შეცდომა.—ბუნებაც ველარ იზიდავდა მას. მაგრამ რატომ? რა-
 ტომ იმ თვალით აღარ უცქეროდა ბუნებას? რა-
 ტომ, როდესაც ის წარმოდგენილი ჰქონდა ერთ ღარ-
 მონიულად შეერთებულ არსებათ, რომელსაც დანიშნუ-
 ლი ჰქონდა ღვთის დიდება? ახლაც მშეენიერი სანახავი
 ბუნების სურათები ედო ნინოს თვალ-წინ, მაგრამ, უწინ-

დელი მარდათ ხტომის მაგიერ, რაღაცა დაღალული თვა-
ლითა და გულით შესკეროდა ბუნებას და ვერასა ჰე-
დავდა გასახარელს და ლვთის მაჯიდებელს. უწინ მარდი
და ხალისიანი დაცქრიალებდა ტყე და მინდორში და
ყოველ ადგილს ცხადათ გრძნობდა ლვთის სუფევას, დინ-
ჯი და დამშვიდებული გულით აღმართავდა იგი ლვთი-
სადმი ლოცვას დაუძალებელს, როცა მოუნდებოდა, სა-
დაც გული ეტყოდა მას, და ბელნიერი იყო ამ რწმუნე-
ბით, ეხლა? ეხლა ავად-მყოფი გრძნობა გამოხატული
ჰქონდა სახეზე, გულში სარწმუნოებას ეჭვი შეკვაროდა
და ლოცვა აღარ მიაჩნდა მას დასასვენებელ, შემასუბუქე-
ბელ საშუალებათ, არამედ თანამდებობათ. მავრამ რა-
ტომ ეს ლოცვა არ იყო უწინდელივით წრფელი? რა-
ტომ არ მისდევდა შეურყეველი სიმშვიდე და სულის ძა-
ლა ლოცვის ბოლომდისინ? უწინ შეეძლო იმას რამდე-
ნიმე საათი ელოცნა უკვეოთ, უსხვაფიქრებოთ, მთელი
არსებით მისცემოდა ლვთის სულიერ მხედველობას. — ახ-
ლა? ახლა ლოცვა იმისათვის არის მარტო ფორმა, მარ-
ტო სიტყვები, ცივი უაზრო სიტყვები. უწინდელი ძალა
ხორცისა და სულისა? ახლა საღამოს ლოცვას ვეღარ მი-
იყვანს ხოლმე ბოლომდისინ — რამდენიმე სიტყვის შემდეგ
დაღალული თავი დაეკიდება მკერდზედ და ოვლემას და-
იწყებს. — ასრეთი ბოლო აქვს ყველა საჭეს, რომელსაც
არა თანაუგრძნობ და უხალისოთ ეკიდები, თუმცა გარე-
მოვბა გაძალებს მის ალსრულებას.

ალი-ფაშას ძალიან უყვარდა ნინო და არ უშლიდა
ლოცვას მართლ-მაღიდებელთ ლვთისადმი. ეს-ლა ჸქონდა
დარჩომილი ნუგეშათ და ამ ლოცვაში ატარებდა დროსა.

მარტო დადიოდა მშვენიერად შემუშავებულს ბაღში და მიე-
 ცემოდა წარსული თაყისუფალი ცხოვრების ოცნებას. მოა-
 გონ დებოდა პაპა, დედა, ძმები და ცხარე ცრემლსა ღვრიდა.
 მოსამსახურე ვოგოები განკვირვებით უცქროდნენ მომ-
 ტირალს ნინოს და ვერასფრით ვერა ხსნილნენ, თუ რასა-
 თვის უნდა ტიროდეს ამდენს ფაშის უმფროსი ცოლი, გა-
 რების დედოფალი და შერე ასრეთი საყვარელი ფაშისა,
 როგორიც იყო ნინო. ბევრჯერ შეუდგებოდათ ჩურჩუ-
 ლი ქალებს ერთმანეთში, დანატროდნენ იმის ადგილსა
 და ეძახდნენ სულელსა, რეგვენსა, რომელსაც ვერ შეუ-
 ფერებია ასრეთი მაღალი ადგილი და რომელიც, მაშასა-
 დამე, ლირსი არ არის იმისი. ამისთანა აზრებს ხშირათ გა-
 აგონებდნენ ხოლმე კიდეცა ნინოს გარემის ქალები და
 მით უფრო უძნელებდენ სიცოცხლეს. „ვაი ჩემი ბრალი-
 ცა, შე დალოცვილო ღმერთო! რატომ სასწაულს არ მო-
 ახდენ, როდესაც შენი მცნების დაცვისათვის ულირსა
 და სულელს მეძახიან!“ — იტყოდა ხშირათ ნინო. პასუხი
 არსაიდამ ესმოდა ამ ხშირი ვედრებისა და უმრავლებო-
 და ეჭვნეულება სარწმუნოებაზედ. მაგრამ ამ დროს უფ-
 რო მძლავრი ხელოსანი უწინამძღვრებდა ნინოს: „სინი-
 დისი? პატიოსნება? კაცობრობა? ესენი უფრო მძლავრი
 ხელობრივანელნი გრძნობანი არიან. ჩემი გული ახლოა
 ჩემზედ, ჩემს ენას გაივინებს და პასუხს უჟრელად მომცემს.
 აკი მაძლევს ხოლმე კიდეცა — მაშ რითი უნდა გავიჩერე
 დეთ ჩვენ პირუტყვისაგან, რომელიც არ ინდობს არც დედას
 არც დას და ნათესავებს, რომელიც ვერ ამყარებს გულს
 ერთს ვიზედმე? არა გულო?“ — დაეკითხებოდა ხოლმე ნინო
 გულს და მიიღებდა დამამტკიცებელს პასუხსა. „რა ნდობა და

გარდასახლებულები

სიყვარული უნდა ჰქონდეთ მამისა ფაშის შეიღებსა, რომ-
 ლებიც ჰქონდენ, რომ დედები ერთმანეთსა სჭამენ? ან
 ამოდენა ქალებს რა სიყვარული უნდა ჰქონდეთ ერთი
 ქრისა, რომელიც, რასაკირველია, ერთნარჩათ ვერ მო-
 ექცევა ყველას? ოჯახის ერთობა? შეიძლება ერთობა იქ,
 სადაც ყველანი ერთმანერთს წარბებში უცქერიან და
 კლილობენ ერთმანეთის გაუბედურებას? თითონ ფაშა კი
 ამოწოლილა თავისი ჩიბუხით ტახტზედ და არც კი იცის,
 ა ამბავია იმისი ცოლების სასახლეში.

სულ ამისთანა ფიქრებით იყო საესე ნინო და სა-
 ჭინელ უმაღურ ცხოვრებას ატარებდა. გაიხედავდა ბა-
 დელისაკენ და ცრემლით დაილბობდა გულის პირსა,
 ადგანაც ჯერ არავის ენახა და შინაურებისა არა იცო-
 და-რა. „ლმერთო! ნუ დამკარგავ უფვის-ტომოთ, ერთი
 იდევ მანახვე დედა-ჩემი და სოლო, და მერე თუნდა
 ული ამომართვი“! — ევედრებოდა ნინო ხშირად ლმერთ-
 ი და გაიცქირებოდა ბადელისაკენ. ნუგეში არ-საიდგან
 ყო და ბოლოს თითქმის სრულებით გარდაწყვიტა იმე-
 გი. მაგრამ ისრე არ იყო განწირული. ერთს დღეს, სიც-
 ის გულზედ, ნინო ლობესთან ჩრდილში იყო წამოწო-
 ლილი მარტოკა და მისცემოდა შინაურების ფიქრსა. მო-
 აგონდა უწინდელი თავისუფალი ცხოვრება, როდესაც
 არა ლობე არ უშლიდა გარეთ გასცელასა და არაფერი არ
 შეადგენდა მისთვის სამზღვარსა, — ამოუჯდა დაკოდილი გუ-
 ლი და, ის იყო პირველი ცრემლები ჩამოაგორდნენ შშვენი-
 რ, მაგრამ ფერ-მიხდილ ლოკებზედ, როდესაც შემოესმა
 ემაგრებული და მოკრძალული ხშით „ნინო!“ შეშინებულ-
 ნინომ მიიხედა იქით, საიდგანაც ხმა მოესმა, და ლობის გა-

რეთ დაინახა სოლო „შენ გენაცვალე, სოლო, არ გებრა-
ლები დაყარგული, დამწყვდეული, ნამუს-წართმეული, უ-
ჯულოს ხელში“?!... და ცხარე ცრემლთა წყარო წავარდა
თვალთაგან ნინოს. „ვინა? როგორ? როდის? საიდგან?—
ჩვენ დაკარგული კი-არა ნადირისაგან გაფუჭებული გვე-
გონე“—ეუბნებოდა სოლო გარედგან. მაგრამ დიდ-ხანს
ვერ მოითმინა შეწუხებული დის შორიდგან ცქრა—ში-
ში და რიდი სულ დაეკარგა. გადახტა ღობეზედ და გა-
მოჰკითხა ნინოს ყველაფერი, რომელმაც დაწვლილებით
უამბო თავის მოტაცების ამბავი.

ალი-ფაშა კარგათ იცნობდა სოლოს და ამისათვის
სოლო არ შეუშინდა მას—ის მივიდა ფაშასთან და
სოხოვა, რომ სოლოსაც და დედასაც ნება ჰქონოდათ
ნინოს ნახულობისა. ფაშამ ნება დართო და მათ იქონი-
ეს ერთმანერთთან მსელელობა.

— თუ დაინახ დანართი მშენებელი და მას დახმარებოდა — !
— თუ დაინახ მის კარგი და მას დაუგრძელებოდა — ?

ა ტერმინური თარიღი IV. როი მომომ და რე-
კულ, ტერმინური თარიღი არი არ ეცნა მას ხასიათი და
ჯერ ორი შეილის სიკვდილის შემდეგ, რომელიც
იყო პირველი უბედურება გადმოსახლებულებისა, გაიანე
შეიქნა რაღაცა დაღვრემილი და გული შეექმნა მას დახ-
მული სიხარულისათვის. ვიდრე ნინო შინა ჰყავდათ, კი
დევ იმითი ნუგეშობდნენ და ირთობდნენ. გულსა, და
თითონ ნინოც ხშირათ ამნევებდა და ანუგეშებდა შშობ-
ლებსა. მაგრამ რაკი მათ ნინო დაჭკარვეს ასრე ერთ-ბა-
შათ, მოულოდნელათ და შემდეგ გაიგეს, რომ ნინო
თათრის გარეში არისო, მაშინ ხომ სწორეთ თავ-ზარი

და ეცათ საცოდავებს — მოხუცებულს პაპას და გაიან ეს. — როგორც მოგეხსენ ება, მკითხველო, იმათ არც თავიანთ სამშობლოში ენახათ კეთილი დღე, მაგრამ უცხო ქვეყანაში უოველი მცირე უბედურება სრულებით სხვა ხასიათს მოიდებდა ხოლმე, უოველის-ფრია მიზეზი იმათვის იყო „უცხო ქვეყანა“, და თიოქო სამშობლოში არც კი შეიძლებოდა, რომ უბედურება მომხდარიყო. განა სამშობლოში კი არ დაეხოცებოდათ შეილები? განა სამშობლოში კი არ შეიძლებოდა, რომ ნინო ბატონს გაეყიდნა უსჯულოზედ და უფრო მომეტებულ უბედურებაში ჩაეგდო? მაგრამ უცხო ქვეყანაში სულ სხვა იყო, ერთი სამად დიდებოდა უბედურება. სამშობლოში მეზობლები მაინც ანუ გეშებდნენ, მაგრამ აქ უცხო ქვეყანაში? ვინდა იყო აქ ნინოს შემდეგ იმათი მანუგეშებელი? სოლო იშვიათად და მოვიდოდა ხოლმე შინა, ის სულ ბატონს დასდევდა გაუცილებლათ და იმას უყოფდა ჭირსა და ლხინსა.

საწყალი მოხუცი და გაიან უკლებლათ სტოკრებდნენ, უოველიფერი მრავალი ჰქონდათ ბატონის შეწევნით; მაგრამ, საკვირველი იყო, დღე-დღეზედ დნებოდნენ სანთელიფით, — რაღაცა შემჭმელი ჯავრი აწვათ იმათ გულზედ განუშორებლივ. ვინემ შეილები გვერდითა ჰყავდნენ, იმათში ართობდნენ გულსა, იმათ შემდეგ კი საკვირველად დაჩქარდნენ ამა სოფლიდგან გასვლას. კეთილი მელანია ერთგული და მუდამი მანუგეშებელი იყო მამა-შეილისა, მაგრამ ჰქედავდა ცხადათ, რომ იმათ აღა-რაფერი აღარ ახარებდა ამ ქვეყანაში. ხშირათ მოუყვებოდა მელანია თავის თავის გარდასახადსა და ეტყოდა რომ მარტო იმათ არ მასვლიათ ეს უბედურება, მარტო

ისინი არ მოშორებიან თავის სამშობლოს. „ან კი რა სარჩო — საბადეებელი დაყრჩათ იმ ოხერა ა გილში“! — ჰეთ-ხავდა მელანია შამა-შეილსა და ორივესაგან ერთ-ხმათ მიიღებდა ხოლმე ერთსა და იმავე პასუხსა: „მრავალნი მცედარნ გდა ორი ცოცხალი სული“. საწყალი მოხუცი შეშლილივით იყო ბოლოს ხანში: ხან სიცილით მოჰყევებოდა თავის ახალ - გაზღვობის ამბავს და ღამი - მეხერების სცენე ბით აცინებდა ხოლმე მაყურებელ ხალხს; ხან მხიარულათ უმშებედდა მათ თავის ჯერას წერას; შაგრამ, როდესაც რიგი მივიღოდა „ცოდვის შეილზედ“ — ესრე ეძახდა გაინეს — მაშინ მოხუცი ღრმათ ამოიხსრებდა, ვატარა ხანს შეღვებოდა, რომ რამდენიმე წამომავალი ცრემლი ჩაეყლაპა და შემდეგ იტყოდა: „მერე გვეყოლა ჩვენ და ამის საუბედუროთ ეს „ცოდვის შეილი“. ასც სხვებმა დალიეს ტკბილათ სული, მაგრამ ისინი თავიანთ მიწა-წყალში მაინც დაიმარხნენ ქრისტიანულათ, ზიარება მიღებულები, და ჩვენა? ჩვენ კი ამ უცხა ქვეყანაში უნდა დავლიოთ საცოდავი სული უზიარებლათ, მოუნანიებლათ, უანდერძოთ, უ...უ...უ... — და საშინელ ცრემლის წყაროსთან უგრძნობელი ბლუფილი აღარ გაათავებინებდა სიტყვასა. გაიხეთქავდა საცოდავი გულსა და თავსა უზომო ტირილით, პირ-ქვე დამხობილი რამდენიმე ხანსა და შემდეგ სამი დღე ველარ წამოდგებოდა ფეხზედ.

საწყალი გაიანე ერთგულათ უკლიდა თავის შამას, ვიდრე ძალა შესწევდა; მაგრამ ადრე შეატყო რომ ძალა და ხალისი ჰლალატებდენ მას. ამ დროს ხმა დავარდა, რომ ბატონ-ყმობა უნდა გადავარდეს საქართველოშით, და გაიანეს იმედი ჰქონდა სამშობლო ადგილ-მამულის

ვარდასახლებულები

ნახეისა. ამისათვის ბევრს ნუკეშს აძლევდა თავსა, ცდოლობდა როგორმე გართობილიყო და მით გაეგრძელებინა სიცოცხლე ბატონ-ყმობის ვადავარდნამდისინ.. მაგრამ ძნელია გულში ჩამარხული დარდი—თითქო სქელი ჯაჭვით არის მიბმული რაღაცა გულის-მჭამელი ცხოველია, ვერასფრით ვერ იშორებდა იმ ბნელ ფიქრებს, რომლებიც დღით-დღე ადნობდნენ იმის ჯანსა.—სოლო რა მოდენიმე დღით მოვიდოდა ხოლმე შინა დათი წმის გააცუასტლებდა დედასაცა და პაპასაცა მაგრამ რაკი სოლო წავიდოდა, ჩვეულებრივი შემჭმელი ფიქრები იხევ დაესეოდნენ მამა-შვილსა.

დროებამ აღასრულა თავისი სამუდამო წესი და მოახუცი შეიქმნა შეწუხებული ავათ-მყოფი. ვიდრე გაიანეს ძალა შესწევდა და ფეხზე დაგომა 'მეეძლო, ერთგულათ უვლიდა თავის მამას—მარტო ის იყო გადამბრუნებელიცა და გმდომბრუნებელიცა, წყლის მიმწოდებელიცა და საჭმლის მკეთებელიცა. ბევრი ლამე უთია მოხუცებულს მამას გაიანებდა ბევრი ცრემლი ლვარა საცოდავმა. შეწუხებულ მამას რომ დასცემოდა ჭრაქის მკრთალ სინათლეზე და იმ სამარის სიჩუმეში, როგორიც უფლებდა იმათ სახლში, გაიანეს გაუახლებებოდა ხოლმე წარსული ფაებაცა. მამის შეწუხება ვერ შეეძლო სახლში ტირილით: ის გამოვიდოდა გარეთ და მთლათ მიეცემოდა. თავის შწუხარებას: დედა, ქმარი, შვილები და შეწუხებული მამა, რომელიც მობრუნების იმედს აღარ იძლეოდა, სულ ერთათ აერეოდნენ საცოდავს თავში და გაიანე ლვრიდა განუწყვეტილს ცრემლსა, თითქო უნდა ცრემლს გამოაატანოს მწუხარებათ. დროებით შემსუბუქებულიდა ცრემ-

ლისაგან დაღალული შევიდოდა შინა, მაგრამ ისევ ჩქარა აუჩქროლდებოდა გული და ისევ ახლაც მიეცემოდა ვა ებას.

— ეს შესძლო გაიანეს ავებულებამ ამოდენა ტანჯვა ბუნებამ მოითხოვა თავისი ვალი და გაიანეც დაწვა ლოგინათ. ერთ ტახტზედ იყენენ ავათ-მყოფნი მამა-შვილნი და ერთმანერთის ყურებით უფრო უმოკლდებოდათ დღე-ები.

— მამა! როგორა ხარ? — ჰკითხავდა მამას გაიანე მიმკავებულის ხმითა.

— ნეტავი შენ კარგა იყვე, შვილო, თორემ მე რა მიჭირს, კარგათა ვარ, მეონია.

— მე, როგორც ვატყობ, დღეს უფრო კარგათა ვარ “ანუგეშებდა გაიანე მამასა, მაგრამ გადაბრუნდებოდა მეორე მხარეზედ და აუჩქრებდებოდა მას გული.

მირზა და მელანია განუშორებლივ ისხდნენ იმათსა და უკლიდნენ; ისინი მოუთმენლათ ელოზნენ სოლოსა, რომ უიმისოთ არ დახოცილიყვნენ ეს საცოდავები.

— „სოლოს შეატყობინეთ“? — ჰკითხავდა მოხუცი მირზასა.

— გუშინ ვავგზავნე კაცი მებნელიათ და, მგონია, ჩქარა იპოვნის — იმან იცის სადაც ჩენ ბატონს უკვარს დგომა.

— ნეტავი ერთი ვალე შოვიდეს ჩემი სოლო, რომ უიმისოთ არ დაეიხოცეთ; ერთი მელოდიარე შაინც რომ გვეყოლება, ისიც ვარგია, უპატრონოები აღარ დაგვერქმევა. ამისთანა ლაპარაკში იყენენ ავათ-მყოფები ერთს

გარდასახლებულები

დილას, როდესაც ეზოში თქარათქურით შევიდნენ ცხენოსნები. ცხენები ქაფში იყვნენ გაცურებულები და ეტყობოდათ, რომ ზედ მჯდომელებს დაუზოგავათ ეტარებინათ ისინი დროზედ მისასწრობელათ.

— „ჩემი სოლო ხომ არ მოვიდა, გრაცვალეთ“? — წამოიძახა, თითქო ძილში, შეწუხებულმა გაიანებ და გაახილა თვალები. მელანიამ ვეღარ მოასწრო პასუხის მიცემა, რომ სახლში შემოიჭრნენ ბატონი ზაქარია და სოლო. პაპამ და დედამ ერთათ გადახედეს სოლოს ლიმილით და ცრემლით საესე თვალებით.

— „მადლობა ღმერთსა, რომ კიდევა გნახე შეილო“!
 — სოქვა გაიანებ — ახლა კი მოსვენებით მოვკედები, რა-კი ცოცხალი გნახე და დამტირებლათ მეგულები, შეილო“!

— შენს მეტი ვინ მოგვაყრიდა მიწას, შეილო? ვინდა დაგვრჩენია ამ ქვეყანაზედ შენს მეტი? — ღმერთო! მიიბარე საცოდავი სული ჩემი და ნულარ მიმრავლებ ტანჯვას! შეიბრალე ჩემი მოხუცებულობა და ნუ მაჩვენებ შეილის სიკვდილსა — ჯერ მაგან უნდა დამიტიროს, ჩემი შეილია და მერე მაგასაც შეილი დაიტირებს! კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა მოხუცა, მაგრამ ძალა აღარა ჰქონდა ლაპარაკისა და ამისათვის მიმკვდარებული, მოშეებული თავი გადაგდო მუთაქაზედ.

ბატონი ზაქარია და სოლო პირ-გამშრალები და-ჰურებდნენ ავად-მყოფებს და არ იცოდნენ, რა მოეხერხებინათ. სოლოს თვალმა ჯერ არ იცოდა ცრემლი და ახლაც არა ქვითინებდა ის, მაგრამ სახის ცელილება და მოკან კალე დალურჯებული ტუჩები უმტკიცებდენ მას

გულის ამღვრეულობას. იმან მაღვე მოიფიქრა, რომ ავათ-
 მყოფების მგრძნობელი გულისათვის ის თავისი მაგარი,
 ქვასავით გულით ბევრი ნუგეში ვერ იქმნებოდა. ამისა-
 თვის საჩქაროთ გარდაკოცნა მან დედა და პაპა და უთხრა:
 „დედა! სალამომდისინ მომითმინეთ და ნინოს აქ მოვიყ-
 ვან“. ამ სიტყვებით სოლო გამოვარდა კარზედ და ხუ-
 თი მინუტის შემდეგ ახლად აყვავებულ ჭალაში არდალა-
 ნისაკენ თავ-გადაგლეჯილი მიაჭინებდა ცხენს მოხდენი-
 ლი მხედარი.

მზე ჩასული იყო და მხოლოდ უკანასკნელი სხივე-
 ბი-ლა ანათებდენ დედა-მიწას სამხრეთიდგან, როდესაც
 სოლო და ნინო შევიძნენ სახლში, მაგრამ მარტო ისინი
 კი არა. —

ალი-ფაშას ენანებოდა დაეთმო ნინო და მოკლე-
 ბულიყო მის შშვენიერების ცქერას, — მას შიში ჰქონდა
 სრულებით ნინოს დაკარგვისა და ამისათვის თითონაც
 თან გამოჰყა მას რამოდენიმე მხლებელითა. — ნინო კი
 ის ნინო აღარ იყო, როგორსაც ვხედავდით ბადელის
 მინდგრებში: ბევრი დარდისაგან საშინლათ გამხდარიყო.
 პირის სახე გაჰყითლებოდა და, იმ უზრუნველი შშვიდი
 ბედნერების მაგიერათ, რომელიც ყოველთვის გამოხა-
 ტული ჰქონდა ხოლმე სახეზედ, ახლა იმავე შშვენიერ
 სახეზედ წუთის სოფლის მუხლობას დაესო თაფისი და-
 ღი. ახლა ტირილში უფრო შშვენიერი იყო ნინო, ვიდ-
 რე სიცილში, რადგანაც პირველ შემთხვევაში მთელი
 არსება მისი მიღებდა ხოლმე მონაწილეობას გულითად-
 სა, და მეორე შემთხვევაში კი, თითქმ აღარა აქვს-რაო
 გასახარელი ამ ქვეყანაში, გული არ იღებდა მონაწილე-

გარდასახლებულები

ობას—იუნივერსიტეტის მარტო თვალები და თან თეთრი კბილების გამოჩენა თუ დაგარწმუნებდა იმასში, თორებ სახის მეტველება ჯავრით იყო სამუდამოთ დათურგვნილი და დაძალული და არას-ოდეს არ მოიწმინდებოდა გაშლით, მთლათ. უწინდელი სიმარდე და ხალისი სრულებით დაკარგული ჰქონდა და ყოველისფერს გულ-ვრიღათ უცქეროდა, თითონ უბედურებასაც, რომელსაც ისრე შეაჩვია გული, თითქო სულ გაუყრელი მისი მგზავრი ყოფილა წუთი-სოფლის ცხოვრების გზაზედაო. აი ამ გვარი ნინო შევიდა პაპასთან და დედასთან, რომელნიც რამდენიმე წელიწადი არ ენახა მას.

მოხუცს ცნობა დაკარგული ჰქონდა და სულს ებრძოდა. ამისათვის, თუმცა ბევრი ჩასძხა ნინომ ტირილით, მაგრამ ვეღარა გააგონა-რა. გაიანეს კიდევა ჰქონდა ცნობა და, თუმცა შეწუხებული იყო, თითქო მობრუნდაო სიხაულისაგან. მაგრამ მისუსტებული და ძალა-მიხდილი ვერასფერს ახერხებდა ჯერ, მარტო თვალ მოუშორებლივ შესცქეროდა გვერდით მჯდომს ნინოს და განუწყვეტლივ იძახდა: „თქვენ გენაცვალოთ დედა, შვილები! დღეს უკანასკნელად-და გხედავთ“.

ხშირი ბინდი რომ შეიქმნა, გაიანემ მოიკრიბა დანარჩენი ძალა და წამოჯდა ლოგინშივე. სოლომ და ნინომ შეუწყეს ზურგში ბალიშები და მოუსხდნენ გვერდით. შემაბრალებელი თვალებით შეჰურებდა გაიანე ხანერთსა და ხან მეორე შვილსა და ბოლოს, გრძელი და ღრმა ამორხვერის შემდეგ, უთხრა მათ: „შვილებო! თქვენს მეტი, ხომ იყით არც არა მრჩება-რა ამ ქვეყანაზედ, არც მენანება რამე შვილების მეტი. ღმერთმა ისე გაგაბედნი-

ეროთ, როგორც თქვენი დაშვილებული გული სთხოვდეს. ლერთმა ალალათ შეგარეოსთ ჩემი დედობრივი ძუძუ და სხვა ამაგი. სიკედილის დროს მარტო ეს არის ჩემი თხოვნა; არ დაივიწყოთ, შვილები, ზურაბი და სალომე, თქვენი და-ძმანი არიან. თუ შემთხვევა გქონდეთ და შეიძლებოდეს, მონახეთ ისინი,—ვინ იცის, სად არიან გადაკარგულები ბატონისაგან. თქვენ, კარგათ თუ ავთ, დაბინავებულები ხართ, ცოცხლებს მაინცა გტოვებთ, მარტო იმათი ამბის გაუკებლობის ჯავრი მიმდევს, შვილებო, აქედგან: ვაი თუ იმ წყეულმა ბატონმა ზურაბიც ხეების ზიდვით მომიკლა და ჩემი სალომე, თავისგანვე ნამუს წართმეული, ვისმე უსჯულოს მიჰყიდა სადმე!—ლმერთო!— ყოვლად შემძლებელო, ააცდინე ჩემს სალომეს ეს უბედურება და შეურაცხუფელობა! — შენც კარგა ვერა გტოვებ, ნინოჯან, მაგრამ რა უყოთ, შვილო? ალბათ ღვთის ნება არის!—უჲ! ახლა კი მეტი ცელარ შემძლიან, მიმაწვინეთ!—მაკოცეთ, შვილებო!—მოდით დაგკოცნოთ, შვილებო!—მივდივარ!—მშვიდობით! — გადავლო თვალი სახლში შყოფებს და ისევ დახუჭა მით, რომ საუკუნოთ ალარ აეხილებინა ისინი. — „უ...ზია...რე...ბ...ლათ! უ...ც...ხო... ქ...ვე...ყა...ნა...ში“! — სთქვა ბოლოს საწყალმა და ერთი ლრმა ამოსუნთქვით მიაბარა სული მომცემელსა.

„უცხო ქვეყანაში“! — იმეორებდა განუწყვეტლივ გამგელებული სოლო და გულზედ ხელს იცემდა, თითქო იქ არის დამალული იმისი გამგელების და გაჯავრების მიზეზით. მერე, როდესაც მოთქმით მომტკირალმა ნინომ ახსენა დედის უკანასკნელათ ნათქვამნი „უცხო

ქვეყანა“, მაშინ სოლომ კრძალვით დაიჩინა დედის უგრძნობელს და გაცივებულს სხეულთან და გულით შეჰვიცა: „ღმერთმა ნუ მომასვენოს, საწყალო, ჩემზედ ჭირ-ნახულო დედა-ჩემო, საუკუნოთ ვიყო შენთან პირ-შავათ პასუხის მგებელი, ქვეყნის ცოდო მედოს კისერზედ, თუ არ გარდაუხადო იმ ჩვენ ნაბატონარს შენი „უზიარებლათ და უცხო ქვეყანაში“ სიკვდილი! — საუკუნოთ ვიყვე დედავ, შენთან პირ-შავათ პასუხის მგებელი“! — გაიმეორა უფრო მწარედ სოლომ და-საკინძ-ჩამოგლეჯილი გამოვიდა გარეთ.

იმ ღამეს მამა-შვილმა ერთათ დალიეს სული და განვიღნენ საუკუნო სასუფეველში. იმათი სურვილისა-მებრ, ისინი დამარხეს ერთს სამარეში და იმათ სახსოვ-რათაც აღმართეს დიდი მიწის ხვავი გრძელი სია ქვებით თავსა და ბოლოს.

მიწა ხარ და მიწათ იქცევი შენც, ამაყო კაცო, როგორც სულ ყველა ცხოველი ქვეყანაზედ.

დ. ქართველი შეკვეთი

მაშედ და და მაშედ და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და

(დასასრული შემდეგ ნომერში)

და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

და და და და და და და და და და და და და და და და

କରୁଗଲେ ମହାତେ ଏକମାତ୍ର ରୋଗୀରେ ବେଶମାତ୍ର ମହିମା, "ଏହୁହୁ
ଅପ୍ରେରଣେବେ ଆନ୍ଦ୍ରଜାଗ୍ରହ ଏବଂ ମୌର୍ଯ୍ୟପ୍ରମାଣ ଏବଂ ମୌର୍ଯ୍ୟମାତ୍ର
ପ୍ରମାଣ-ତୀଙ୍କ ପ୍ରଥମରେ ଏକାକ୍ଷ୍ଵର ଏକମେଚ୍ଛାକାଳ-ପ୍ରମାଣକାରୀ,
କାର୍ଯ୍ୟ-କାରୀ, ଏକମାତ୍ରରେ କାମକାରୀ ଏକମାତ୍ର-ଦୋଷ-କାରୀ,
ରାମ-କାରୀ, ଦାତ-କାରୀ, ପ୍ରତ୍ୟେକାଙ୍କ ବ୍ୟକ୍ତିକୁ ଆପଣଙ୍କ ଧରନି-ଧରନୀ,
ବ୍ୟକ୍ତି-ଧରନୀ, କାରୀ-ଧରନୀ, ମହାକାବ୍ୟ, ନାଟ୍ୟପାତ୍ରରେ କାମକାରୀ
-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-କାରୀ-
ଶତକ ୩ ୨୦.

ତକ୍ଷେଣ ମେଘଦନ୍ତରେ—
ଗାମନ୍ତିପ୍ରତାଲ୍ୟ ଶେନି ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷରେଦା;
ତାର୍ଯ୍ୟର ମନଗେଣି ଶିଖ ପ୍ରାଣ ଶାଖୀ—
ଯାହା-କାଳାବୀ, ଶୁଦ୍ଧେତୃଷ୍ଣରେଦା...
ମାଗେତି ତାପିତ, ମାଗେତି ଘୁଣିତ
ଅଥ କଞ୍ଚାକାଞ୍ଚିତ ଏହି ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷରେଦା:
ଡାକୁଳାନ୍ତରେଦା, ଓସ ମନ୍ତ୍ରରେଦା,
ରହି ପ୍ରତିକାଳ ନାହିଁ ଡେଣିନ୍ତିରେଦା.
ଶିଖର ପ୍ରତ୍ୟକ୍ଷରେଦାମି ଏହି ଗାମନ୍ତିପ୍ରତାଲ୍ୟରେଦା,
ରହିଲେଲାପ ମିଳିଦେଇ ଶେନ, ସାକ୍ଷାରେଦା,
ତୁମପ୍ରାତି ଶେରି ନାମଦ୍ଵୀଳାତା ପରିଣମି,
ରହି ମାଗାମି କ୍ଷେତ୍ରାନ୍ତରେଦା!!...

— ଏହି ଶିଖବାରି କ୍ରମତ୍ରାରେ, ଗୁଣୀ ନିଶ୍ଚିବ୍ରତ,
ଏହି ମିଳା ତକ୍ଷେଣର ଶେ ତାନ୍ତରିକନମିନ୍ଦା;
ତକ୍ଷେଣି ସିରୁପ୍ରତ୍ୟକ୍ଷରେଦିତ ଲା ତକ୍ଷେଣି ରହିବିତ
କ୍ରମି ଗାମନ୍ତିପ୍ରତାଲ୍ୟ ଏହି ଶେବନ୍ଦିଲେନ୍ଦରା.

ଅଧିକ ପ୍ରତାଲ୍ୟକାରୀକରେଦିତ ତିନି କ୍ରମିରେ
କ୍ରମି ସିରୁପ୍ରତ୍ୟକ୍ଷରେ ଏହି ମନିଶ୍ରକ୍ଷରେଦା;
ମିଳାମି ପ୍ରତାଲ୍ୟ ପାଠ, କ୍ରମି ମିଳିଲାକ୍ଷେଣ
ଶୁଣାଧାର ଏହି ସ୍ଵରା ଏହି ଶେବନ୍ଦିଲେନ୍ଦରା.

შეუპოვარი

ნუ გეგონებათ, თუ ჩემი აზრი
დაბრკოლებაც შეუშინდება უსილებელ
და ბოლომდისა თავს არ გაატანს,
განსაცდელისა წინა შედრკება...

მე აღვიზადრე ჭექა-ქუხილ ჭვეშ,
გამომიგრძნია ბევრი ვაება,
და ამ ვაების ჭვეშ იგრძნო სულმა უცხოლ
თეისი სიმტკიცე და მომწიფება.

ტანჯვით და კვნესით მე მიპოვნია
კაცურ ლიტ-სების ჩემში შეგნება,
ლამის თენებით, სულის შფოთობით
მე გამიცენია ჭეშმარიტება.

ძელათ შევიგენ ჭეშმარიტება,
ძეირათ ვიყიდე პატიოსნება —
რაც ტანჯვა - კვნესით მე მოვისყიდე,
მის უარ-ყოფა განა იქნება?!...

ეძებეთ, ვისაც გულით გინდოდეთ,
ამ ჭვეყანაზედ ტკბილი ცხოვრება,
თვალ-მარგალიტი, ჩინ-აპელატი,
მაზედ დადგმული ბეღნიერება.

არ ვარ შობილი ამაებისთვის,
არც შემიძლიან თქვენთან ცხოვრება:
სადაც თქვენა გრძნობთ თავს ბეღნიერათ,
იქ ჩემი სული ამოიხრჩვება.

ვერ ურიგდები თქვენს მოქმედებას,
არც შემიძლიან თქვენთან ლხინება, —
მძაგს თქვენი საქმე, თქვენი ხადილი,
თქვენი სიამე, თქვენი დიდება...

ମେ ଗାଁର୍ହେନିଲ୍ଲଙ୍ଘାର ଯରତୀ ତୁନଜ୍ଞବୀକର୍ତ୍ତବୀ,
ତୁନଜ୍ଞବୀତାପ ମେ ଫଳେ ଫାମିଲାମଦ୍ୟେବା,
ତୁନଜ୍ଞବୀତା ମିଶିବା ମେ ଦେଇଦା-ହେମମା,
ତୁନଜ୍ଞବୀତ ଶିପୁନପକ୍ଷଲ୍ଲୟ ଗାମିତାପଦ୍ୟେବା.

ମାଘରାତ—ପ୍ରାଚୀନ୍ଦେଶ—ଅଥ ତୁନଜ୍ଞବୀଶୀଳ
ପିଲାଙ୍ଗାନ ନାକୁରିତବୀ ସିମିନ୍ଦରେବା,
ରାମେଲ୍ଲିଶାପ ପ୍ରାଚୀନ୍ଦେଶ ଅଥ କ୍ଷେତ୍ରନିର୍ମାଣ ବା ଏଇ
ଶିରିକ୍ଷମ ଅରାଶିଳ ମାଧ୍ୟଦାରେବା.

ରାମଲ୍ଲିଶା ତ୍ୟାଶି, ରାମଲ୍ଲିଶା ସିରିକ୍ଷମ
ଅରପ ଯରତ ତକ୍ଷେନଗାନ୍ତିଶା ଅର ପ୍ରାଚୀନ୍ଦେଶା,
ରାମଶିଳିଶାପ, ହେମିନ୍ଦି ପାରିଗନ୍ତ ମରିକ୍ଷେତ୍ରନିର୍ମାଣ,
ପ୍ରାଚୀନ୍ଦେଶ ତକ୍ଷେନଗାନ୍ତି ମ୍ୟ ମେଧରାଲ୍ଲେବା.

ମିଶ. କାଶତାନି

ମିଶି ପରିପାଦିତ ରମ୍ଭ ପରିପାଦିତ - ମିଶି ପରିପାଦିତ ରମ୍ଭ
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି

— ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି

— ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି
ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି ପରିପାଦିତ ମିଶି

କବିତା ହର୍ଦୀଶ୍ଵର-କୁର୍ବାଳ ଏବଂ କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ —

ପ୍ରାଣକଟିକ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ

କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ —

କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ —

କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ କର୍ମଚାରୀଙ୍କ
କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ —

କର୍ମଚାରୀଙ୍କ ପରିପ୍ରେକ୍ଷଣ କରିବାରେ —

ზევით კლდეებში არწივ-ყორნები
 ქვებზედ ნალეშარს კბილებსა ლესენ,
 სისხლით მოსვრილნი იმათი მხრები
 წითლათ ჰაერში მოპჭყვრიალებენ.

რაღაც ატიგეს და იტრიალეს...
 ბოლოს თავი-თავს მიმოიყარეს,
 გასწიეს, ერთი წინ გამძლვანეს,
 და ბრძოლის ველსა კიუინა დასცეს!

ზოგი იჭექებს, ჩაეტანება,
 სხვა დარბაისლათ მხრებს აფრაშუნებს;
 ყვავი ხმელ ხიდგან ძირს აცქერდება,
 ყორანი უვლის და დაჰყრანტალებს.

ოფოფი მკვდარსა ზედ დასჯდომია,
 ნისკარტით ფეხებს გამოიჩინის,
 ერთი მკვდრიდამა მეორეზედა
 გადაფრინდება და გაიძახის.

მინდორსა მკვდრებით ეხედავთ სულ საესეს,
 ერთათა სძინავსთ ცხენებს და მხედრებს.
 ერთი უყურეთ კაცის სისუსტეს,
 რის გულისათვის ჰკაჭრავს თვის მოძმეს ?!

ზოგი პირ-ქვე ძევს, ზოგი გულ-აღმა,
 პირ-კბილი სისხლით გამოისებიათ.

ყარსის ბოლოს

თვალნი წასელიათ აღმა და დაღმა,
სიტყვა ტუჩებზედ გასჩერებიათ.

ნატყვიარს შუბლში, უმეტეს გულში
ლურჯი თვალები დაუჭყეტია;
ხელ-ფეხში ერთათ გადახლართულში
წყლული ზედ წყლულზედ მისწებებია.

სისხლში ამოსერილს წვერსა, თუ თმასა
ჭიანჭველთ გუნდი ზედ მიპხევია;
ლამაზ თვალ-წარბსა, კუკობ ულვაშსა
სიცხისგან სისხლი დასდუღებია.

ერთი ვაჟ-კაცი ქერა თმა-წვერის
სდგას მუხლ მოყრილი მკედრების ყორეში;
მარცნივ გვერდიდგან სისხლი ჩამოსდის,
თოფი უპყრია მარჯვენა ხელში

ნაოფლი შუბლი ზედ თოფის ტუჩზედ
მიუტანია და მიუდევია;
ნამეტანს ნაცრის ფერისა პირზედ
ცრემლის დენასა ქვა დაუდნია.

ტირის და კვნესის, გადაერყევა,
დაიქვითინებს და ცას შეჰყუჩებს,
მაგრამ სისხლს გააქვს სიჩქარით რხევა,
უმისოთ ნასისხლ მუხლებს უსისხლებს.

საუბრითა სჩნდა, რომ რუსი იყო • უფრო
სთქვა: „შემოქმედი აქ რისთვისა მკლავს?
მოხუც დედასა, ცოლ-შვილს რა ვუყო?!
საწყალს მამა-ჩემს ვინ დამიმარხავს?“

„რა ვუყო, რა ვქნა!?! არ აქვთ დღის სარჩო,
გშრომელიც არ-ვინ მოიპოვება—
და მე ხომ, ვიცი, რომ ჩემი რამრჩო
დღეს, ან ხვალ—შავი მიწა იქნება!“

„ამ დაწყევლილმა ცხელმა ტყვიამა,
როგორ უეცრათ ბოლო მომილო
და იმ დაუნდო შავმა სიკვდილმა
ჩისაყლაპავათ პირი გამილო?!“

„რისათვის მოვკვდი, რა გავარიგე, ეფუძ
ვისა ვფარადვი ამ კლდე ლრეებში?! ძერძე
ეს არის, დედი, შორს დაგეკარგე, იფრთ
ველარ მიპოვნი მკვდრების გროვებში!“

„ტყუილ-უბრალოთ ნუღარ მიმელი, ინ
მანუგე შებლათ ველარ მოგივალ!
აანთე ხოლმე ლამ-ლამ სანთელი
და მომიგონე, რაც შესძლო მალ-მალ.“

მიუსამძიმრე შენსა მეზობლებს,
რომ აღარ დარჩა მანდ წამომსულელი;
ნუღარ ელიან თავიანთ შვილებს,
დასხდნენ ქვითინით დაღვარონ ცრემლი.

„კველანი დაწყდნენ, დაჭრილი დავრჩი,
გახურებულს გულს ეინ გამიგრილებს?!
მოდი, სიკვდილო, ჩქარა და მორჩი!
მე შენი მოსვლა ვერ შემაშინებს,

„მოდი, წარლე უთმენი გული, არცომე აჯდებინ
წარლე უბეს ამოიფარე,
კველა რეგვენთა მიმნდობი სული
შენის შავ-კაბის კალთით ატარე“!

ასე ტიროდა, თანაც ბნდებოდა,
გადმოსდიოდა სისხლი შხაპუნით,
თვალებს სუსტათ-ღა აბეჭნტალებდა
და გულსა ჰკლავდა კვნესითა მწარით.

კლდენი ვედრებას არ უგონებდნენ,
ზეცას მოსელოდა მეტათ ღრმა ძილი; და იმავდა
კაცის სისუსტეს მთანი სცინებდნენ....

და შორს, შორს ისმის გლოვის ტირილი.*)

ლ. რ—ჟ—პ—ლი.

1878 წ. აფიინით შიომის დოკუმენტი ეს იუსტის
მორიცები მომზადე — მაცურაზ ეცხმების თოლე
გცემის გცემები მომითები ძიმოვთხოვდა. ცუნდესორისინ
იშვილებ : იალიშებ ენიშვილ ძეგლები ცხვლებონ
იძოვებ ნიმუშებ დაცურებს ძირი მემურილები ასე

*) შენიშვნა: ამ ლექსში, 64 გვერდზედ მეორე საკრიქონში, ი
ნაცვლად სიცუკისა «კბილებსა» უნდა იყოს «ნისკარცებსა».

საქართველოს მოქლე გატიანე. *)

პირველი ცნობები ქართველებზე და მათი დასახლება გავასიაში.

ჩვენი მატიანეს გაღმოცემით (ქართლის ცხოვრება), ქართველები და სომხები შთამომავლობენ იაფეტის შვილის-შვილისაგან, რომელსაც ერქვა თარგამოსი. ხალხების ენების წარმოების და განბნევის შემდეგ, თარგამოსი მრავალის თავის ნათესაობით დაესახლა არარატის მთის არე-მარეზე. აქ გაშენდა და გამრავლდა თარგამოსის შთამომავლობა. თარგამოსს ჰყვანდა რეა შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკაზოსი და ეგროსი. ჰაოსი, წინაპარი სომხებისა, დაესახლა სომხეთში, — მდინარე არეზის გაყოლებით და არარატის მთის ძირებში. ქართლოსი თავის სხვა ძმებით დაესახლა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხრით ვიღრე კავკასიის მთებამდე.

მთელი ეს ქვეყანა კავკასიის მთებიდგან მოკიდებული არეზამდე, შავი ზღვიდგან — ალაზნის მტკვართან შესართავამდე, ქართლოსის სიკედილის შემდეგ, მისმა შთამომავლებმა გაჰყვეს რამდენიმე ნაწილათ; ყველანი ცალ-ცალკე ჰმართავდნენ თავის ქვეყანას, მაგრამ ყველანი

*) ცნობები გარათაშვილის ისტორიული რეკონსტრუქციიდან და სხვა ისტორიული მასალებიდან.

საქართველოს მოკლე მატიანე

ემორჩილებოდნენ მცხეთის მმართველს, რომელსაც პირ-
ველ დროში ერქვა მამასახლისი. მცხეთის სამამასახლი-
სოს დაერქვა საქართველო.

შინაური ცხოვრება. — სჯული, განათლება.

ქართველების ცხოვრებაზე ღიღი გაელენა ჰქონდა სა-
ქართველოს ბუნებას, დასერილს მოებით და დაყოფილს
მრავალ ხეობებათ, რისგამოც თვით ქართველი ხალხიც
იყოფოდა მრავალ საზოგადოებათ. ნოკიერმა და მძლავრმა
ნიადაგმა ხალხს შეაყვარა ხვნა-თესვა; მაღალმა მოებიმა და პ-
ბილებს მაში სიმამაცე; მტრების შიშმა ააშენებინა ქალაქები
და ციხეები. პირველი ქალაქი საქართველოში ააშენა მცხე-
თოსმა, ქართლოსის შეილმა, მდინარე არაგვის შტკართან
შესართავთან, ბუნებისაგანვე გამაგრებულს აღილს. 1565

— 1499 წლების წინ ქრისტეს დაბადებამდე მოხდა ეგ-
ვიპტელების შემოსევა საქართველოში. პირველათ იმათ
შემოიტანეს საქართველოში განათლება: ასწავლებს ქართ-
ველებს, სხვათა შორის, სელისაგან ქსოვილის და ფარ-
ჩეულობის კეთება. ამათვე ასწავლებს ქართველებს თაყ-
ვანის ცემა მზისა, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკ-
ლავისა; აგრეთვე ააშენებინეს სალოცავები და და-
ადგმევინეს მზის კურპები.

მეთორმეტე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ბერძ-
ნების გმირებმა — ფრიქსმა, ულისმა და არგონავეტებმა
სამჯერ მოიარეს დასავლეთი საქართველო. (კოლხიდა).
ამ შეზავრებმა კოლხიდაში. ნახეს მდიდარი და შესანიშ-
ნავი ქალაქი ეა, რომელსაც ჰქვიან ეხლა ნაქალაქევი. ამ

დროს ქართველებმა იცოდნენ ოქროს დნობა, სელის ქსოვა, ბლვინის დაყენება. ბერძნებს ძალიან მოეწონათ ჩვენი ქვეყანა და ვაჭრობა გამართეს, რის-გულისათვის ააშენეს შავი ზღვის ნაპირებზედ ბიჭვინტა (ფიწუნდა) და დიოსკური (სოხუმი).

600 წელში ქრისტეს დაბადებამდე წინაწარმეტყველი იეზეკიელი იხსენიებს სხვათა შორის ქართველებსაც და ამბობს, რომ ქართველები ვაჭრობენ ფინიკიელებთან აռ, რომლებზედაც ჰყიდიან მონებს და სპილენძის ჭურჭელსაო.

შემოსევა სკითებისა. — ქართველების შეერთება, დაახლოებება. — ისეთი, დალისუანი. — სკითების განდევნა. — დერბენიცის აშენება, მცხეთის გამაგრება. — განდევნა სპასელებისა. — გადმოსახლება საქართველოში სხვა-და-სხვა ხალხებისა; — ქართველ ენა და სომხებისა სხვაფერდება. — გადის ჩვეულებიდგან მკვდრების და-მარხვა და შემოდის მათ ჭამა. — სპასეთის მეუჯ ბაამანი იყრინდება საქართველოს.

სკითები ანუ ქაზარეფელნი იყვნენ ველური ხალხი, სცხოვრობდნენ კავკასიის მთების ჩრდილოეთის, მხრით კასპიის ზღვის და მდ. ვოლგის ნაპირებზე. ესენი ხშირათ შემოესეოდნენ ხოლმე საქართველოს და არბევდნენ. ქართველები მოთმინებიდგან გამოვიდნენ. მთელი ხალხი მოძრაობაში მოვიდა; შეერთდნენ ძმურათ ცეკვანი და შეესივნენ სკითების ქვეყანას (მეშვიდე საუკუნეში). მაგრამ სკითებმა დაიყენეს მეფე და დიდ-ძალი ხალხით წამოვიდნენ საქართველოში. სკითებმა მოსწვეს და დაანგრიეს ცველა-ფერი, რაც დახვდათ მათ წინ, ეიდრე არარატამდე. ამის შემდეგ სკითებმა მოუხშირეს საქართველოში

შემოსევა. კავკასიის ჩრდილოეთის მხრით მათ დაარსეს ორი სამეფო: ერთი თერგიდგან მოკიდებული ციდრე შავზღვამდე, (მეორე—თერგიდგან მოკიდებული კასპიის ზღვამდე). პირველი სამეფოს ხალხიდგან წარმოსდგნენ ისები, მეორე სამეფოისგან დაღისტნელები.

სპარსეთის შეფერი აფერიდუნმა გაგზავნა სკითბან საბრძოლველად თავისი სპასალარი ადამი დიდ-მალის ჯარით. ამასვე მიემხნენ ქართველები და სომხები. სკითები სრულიათ განდევნეს საქართველოდგან. ადამმა ქართველების დახმარებით ააშენა დერბენტი და აქვე ეიწრო ყელში დასდგა რკინის კარები, სკითების შემოსევის მოსაგერებალათ; მერე ქალაქს მცხეთას შემოავლო მაგრარი ქვის გალავანი და ასწავლა ქართველებს ქვის და კირის სმარება შენობისათვის. აფერიდუნის სიკედილის შემდეგ ქართველებს დაადვეს სპარსელებმა ხარჯი; მაგრამ ხალხმა ვერ მოითმინა და მაშინვე განდევნა ყველა სპარსელები საქართველოდგან. სპარსელები კიდე ბევრჯერ სცდილობდნენ და ემორჩილებინათ ქართველები,, მაგრამ ყოველთვის მარცხდებოდნენ. სპარსეთის მეფემ ქაიხოსრომ დამარცხა სომხეთი; საქართველოს შემოქსია, მაგრამ განდევნილიქნა. მრავალი ხალხი მის მიშისაგან აიყრა (სხვა-და-სხვა) ადგილებიდგან და გადმოსახლდა საქართველოში. ყველა ეს ხალხები მიიღო მცხეთის მამასახლისმა და დაასახლა ქართველებ-შუა. ამ ნაირათ უფრო გამრავლდა ქართველების რიცხვი. ამ დროდგანვე დაიწყო გარდაკეთება ქართულმა ენამ იმ საზოგადოებრიდგან, რომელზედაც აქიმდე ცლაპარაკობდნენ ქართველები და სომხები. ამ დროს შეეცვალათ სარწმუნოების წესები და ჩეკულება-

ნი. მკედრის დამარხვის მაგიერ მას ჭამა დაუწყეს. მაგრამ საქართველო დიდ-ხანს არ კოფილა თავისუფალი. სპარსეთის მეფემ ბაამანმა (არდაშირ) დაიმორჩილა საქართველო და ხარჯი დაადო.

ალექსანდრე მაკედონელი. —იასონი; —ფარნაოზის ყმაწვილობა. —იასონის დამარცხება და მოკვლა. —ალექსანდრე მაკედონელის სურვილი.

საბერძნეთის ქვეყანაში, სახელდობრ მაკედონიაში, და იბადა ალექსანდრე, შეილი ფილიპესი. ალექსანდრემ და იმორჩილა კველა ქვეყნები ჩრდილოეთის მხრიდგან (მეოთხე საუკუნეში); შამოესია საქართველოსაც და ესეც დაიმორჩილა. აქ მაშინ სცხოვრობდა გარუენილი, უზნეო, ხალხი, მაგრამ მეომარი და მქონე მაგრის ციხეებისა და ქალაქებისა. ყველაეს ქალაქები აიღო, დააყენა მათში თავის ჯარები; ჯარების უფროსათ დასევა აიზონი პატრიკი და უბრძანა, რომ გაეჭრცელებინა ხალხში მზის, მოვარის და ხუთი უძრავი ვარსკლავების თაყვანის-ცემა და თითონ წავიდა მაკედონიაში.

ალექსანდრეს სიკვდილის (332 წ.). შემდეგ იაზონშა დაანგრია მცხეთის და სხვა ქალაქების კედლები, დაიმორჩილა სამეგრელო, ოსეთი, დაღისტანი და სკითები. დაიწყო ხოცა მოთავე ქართველებისა და ხალხიც ძალიან შეავრწროვა. ამ დროს მცხეთაში სცხოვრებდა ნერთი ახალ-გაზღა კაცი ფარნაოზი. ეს იყო ნათესავი უკანასკნელის მცხეთის, მამასახლისისა — სამარისა, რომელიც მოჰკლა ა. მაკედონელიმა, და შეილი ერთი სპარსელის ქალისა. მამა რომ

საქართველოს მოკლე მატიანე

73

მოკლეს ფარნაოზს, მაშინ სამის წლისა იყო. დედამ წა-
იყვნა და კავკასიის მთებში დამალა შვილი. როდესაც გა-
ვაჟაურდა ფარნაოზი დაბრუნდა მცხეთაში. დედა ურჩევდა
მას, რომ გათრთხილებოდა იაზონს და გადასახლებულ-იყო
საარსეთში. მაგრამ ფარნაოზი არ დათანხმდა. იმას ძალიან
უყვარდა საქართველო და განიზრახა საქართველოს გან-
თვისუფლება მტრებისგან. სოხოვა შველა სამეცნიელოს
მმართველს ქუჯის, ოსებს, ლეკებს, ან ტიოქიის მეფეს და
სომხეთის მმართველს. ყველამ უშველეს. იაზონი გაიქცა
კლარჯეთში (ბათუმის მაზრაში). მაგრამ ერთ აშენებაში
(ქ. არდანუჯთან) მოპკლეს იგი და მთელი საქართველო
და მორჩილია ფარნაოზს.

ა. მაკედონელის სურვილი იყო გაემართა ფაჭრობა
საქართველოსთან და შორეულ ქვეყნებთან (ინდოსტან-
თან). სავაჭრო ნივთები მოპქონ დათ შავი ზღვით რიო-
ნამდის, მერე ამ წყლით შორაპნამდის, აქედგან ურმებით
გადმოპქონ დათ სურამამდის და მერე კიდე წყლით, ესე
იგი მტკვრით, ჩაპქონ დათ კასპიის ზღვამდე და იქიდგან
დიდი მღინარეებით გადაპქონ დათ ინდოსტანამდის. ამ
ნაირათვე მოგზაურობდნენ ინდოსტანიდგან სამერმე-
თამდე. თუმც ერთოულობი იჩციდა შეცვიდულობის აღწი-
ოულჯებ ცე თოთვემშე თორჯებ მისტიკოლობი დათ შემწე-
ტონით ცემ-თე-ცემ ქაბრ ისტრეც ქაბრთოლუნ თემონგე
ქაბროუნების თემონ ქაბრი ქანი ქანი ქანი ქანი ქანი
თემონულობის და შემ მიშინ თემონგეც და დასკა-
დასკა სამეფოს. იმედ მოგზაურობის ცე თოთვემშე თე
ერმენ მცი იმულჯებ ცე თოთვემშე თე ერმენ მცი იმულ-
ჯერთი სამეფოს დაარსებისათვის ჩვენი ხალხი გამო-
ზარდეს იმ უბედურებებმა, რომელნიც მათ ხშირ ხვედ-

რათა ჰქონდათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთათ ბრძოლაში, გაჭრობაში, მისცვლა-მოსცვლაში, ერთნაირმა სჯულმა, და კიდევ ხალხის გამრავლებაში, რის გამო განცალკევებული ხალხი ერთმანეთს დაუახლოევდა. აი რისთვის, იაზონის მოკვლის შემდეგ არტანუჯში, უკელა ქართველებმა დასკეს თავის მეფეთ ფარნაოზი და დაემორჩილნენ მას შესამე საუკუნეში ქრისტეს მოსცვლაში დის. ფარნაოზის სამეფოს ჰსაზღვრიდნენ: ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთა; დასავლეთის მხრით შავი ზღვა, ვიდრე ბათუმიამდე, და (აქედგან) მდ. ჭოროხი; სამხრეთის მხრით მდინარე არეზის სათაურები და დებედა-ჩი მტკვრამდის, აქედგან ალაზნის შესართავამდე და აქედგან კიდევ ხაზი კავკასიის მთამდე; აღმოსავლეთის მხრით აგრეთვე კავკასიის მთები.

ფარნაოზმა მთელი სამეფო გაჰყო რვა ნაწილათ. (ან საერისთაოთ. ერისთავები უკელაფერში ჰშველოდნენ მეფეს, მაგრამ თავის საერისთავოს მეფის დაუკითხავათ განგებდნენ).

ამ დროს გაჩნდა ოთხი წოდება: აითავადო, აზნურთ, მოქალაქეთა და გლეხლთა. ამავე მეფემ მოიწვია სპარსეთიდგან მოგვები, რომელთაც უნდა განწინდათ ზოროსტრის სჯული. საზოგადოთ ეს სჯულ ჰგმობდა ქურდობას, ჭუჭყიანობას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებას, ტყუფილს, ყველას აძლევდა კუთხნილებას აქეზებდა მიწის ხვნას, სიკეთეს, აგრეთვე სოხოულობდა აღზრდას ყმაწვილებისას. მაგრამ ამავე სჯულში იყო ბევრ ცუდი და მავნე მოთხოვნილებანიც: ამ სჯულის მიხედ-

ეთ, მკედარი არ იმარხებოდა, ნათესავებს ნება ჰქონდათ შეუღლებულიყვნენ ერთმანეთთან და სხვ. რომ შეადგინა ქართული ანბანი (ალფაბიტი) — (მხედრული). ეს ანბანი ისეთი სრულია და გონიერათ არის შემდგარი ხმების გამოსახატველათ, რომ თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს ამ გვარითავის ენაზე. ამავე ფარნათზე აწერენ დადგენას მეფობის წესისას, მოშენებას და გაახლებას ბევრი დანგრეული ქალაქებისას, აშენებას შორაპნისას.

გეოგრაფიული აღწერა ჰირველ-დორისდელი საქართველოსაი.

სამზღვრები. — უნიბეგი. — ხელმანი. — მცენარენი, სიმდიდრე და ამნექალაქები. მცენარენი ამდეტომ მარცხებული იყო ამავე მიზანზე მარცხების ჩ. მთელი სამზღვრები საქართველო ისამზღვრებოდა კავკასიის ქედით, შავი ზღვით, ჭოროხის და არეზის ხა- თაურებზე მდებარე მთებით, დებედა-ჩაით, აქედგან. მო- კიდებული მტკვართან შესაბამდე, აქედგან კიდევ აღ- სავლეთიდგან ჩამოავალი ალაზანის ტოტით ვიზრე კავკასიის ქედამდე; ესე იგი, მთელი საქართველო მომწყვ- დეული იყო ($40^{\circ} 47^{\prime \prime}$ და $43^{\circ} 15^{\prime \prime}$ ჩრდილოეთის სი- განისა და $59^{\circ} 15^{\prime \prime}$ და $64^{\circ} 58^{\prime \prime}$ აღმოსავლეთის სი- გრძისა).

მთელი ეს ქვეყანა ბუნებითვე იყოფებოდა ოთხ დიდ ხეობათ: პირველი ყველაზედ უდიდესი არის მტკვრის ხეობა,

მეორე—რიონისა, მესამე—ენგურისა, მეოთხე—ჭორობისა. მაგრამ ყველა ეს ხეობები იყოფებიან მრავალ პატარა ხეობათ. საზოგადოთ ამ ქვეყნის ზედა პირი არის აწეული (დაწეული), მთებით დასერილი; აკვირვებენ კაცს საქართველოს მრავალ-ფეროვანი მცენარეულობა, მრავალ-გვარი ცხოველები, მიწის სიმდიდრე, წყლის სიუხვე.

მთელი კაცკასის მთა ძირიდგან მოკიდებული 21/ ვერსის სიმაღლემდე მოცულია დიდის ტყეებით; მისი წვერები კი მუდმივი თოვლით არის მოცული. საქართველოს სამხრეთის მხრით, კაცკასის მიდევნებით, გაწოლილა სხვა მთა, რომელსაც მცირე კაცკასის მთა ჰქვიან. დიდი და მცირე კაცკასის მთები შეერთებული არიან ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ გაწოლილ ლიხის მთებით. გარდა ამისა, საქართველოში არიან კიდევ სხვა მთებიც, სხვათა შორის მთა გომბორისა მდე, ალაზნისა და იორის შუა, ფასი-მთა ენგურის მარცხენა მხარეს, სამხრეთის სამზღვარი სვანეთისა. ყველა ამ მთებიდგან გამოდიან მრავალი აჩხები, მდინარეები, რომელნიც უხვათ რწყავენ მთელს საქართველოს.

შესანიშნავი მდინარეები: თბილის გრძელები, გამოსახულები, მტკვარი (კურა, კიროს), — დასაწყისი აქეს საღანლულის მთებში, მოდის ჩრდილოეთისკენ მომწყვდეულ მთებშუა, მერე წელს იხრის აღმოსავლეთისკენ და ასრე მოდის კიდრე თფილისამდე, აქედგან ბრუნდება აღმოსავლეთ-სამხრეთისკენ და კასპის ზღვას ერთვის. მტკვრის ტოტები: ფოცხოვი, ლიახვი, ქსანი, არავი, ალაზანი ამის ტოტით იღრით — ეს წყლები გამოდიან დიდ კაცი, დონებ ძალებს მისა ისტორიულ თემათებს იუცხის: ასამონ

კასიდგან; ალგეთი, ხრამი თავის ტოტით დებედათი გა-
მოდიან მცირე კავკასიონდგან.

რიონი (ფაზისი), რომლის დასაწყისი არის კავკასი-
ის მთაში სონგუთა-ხოხის ძირში. აქედგან ჩარბის სა-
მხრეთისკენ, შუა წელში ბრუნდება დასავლეთისკენ და
შავ ზღვას ერთვის. ამის ტოტები: ყვირილა, ცხენისწყალი
(გიპოს), ტეხური.

ენგური ანუ ინგური, რომელიც გამოდის იქიდგანვე,
საიდვანაც რიონი და ცხენის-წყალი.

ჭოროხი,—გამოდის მცირე კავკასიონდგან, ჩრდილოე-
თისკენ გადის და შავ ზღვას ერთვის.

ყველა ამ მდინარეების ნაპირებზე იყო დაშენებული
ხალხი, რომელსაც მოეშენებინა მრავალი პირტყვი, გაე-
კეთებინა ბალები და ხვნა-თესვისთვის მოეკიდა ხელი. უწინ-
დელ დროითგანვე ეს ქვეყანა შენიშნული იყო ბუნების
სიმდიდრით. ლვინის კეთება ძველათგანვე იყო გავრცე-
ლებული რიონის ნაპირებზე. ლიმონის და ფორთოხალის
ტყეები იზრდებოდნენ კოლხ-დის სამხრეთ-დასავლეთის
მხრით. მთელი საქართველო საზოგადოთ და კოლხიდა
განსაკუთრებით დაფარულია ჩრდილოეთის სუსტისაგან
კავკასიის ქედით. ამატომ ამ ქვეყნებში დიდი სიცივეები
არ არის ხოლმე, კოლხიდაში კი თითქმის ზამთარი არ
იცის.

მიმოსველა ამ ხალხებში ჰქონდოდა მცირე—გაუკეთე-
ბელ გზებით; მაგრამ იყო შეანიშნავი გზაც: მტკერით
ვიდრე სურამამდე, იქიდგან ლიხის ქედზედ გადამავალი
ყვირილამდე, მერე ყვირილადგან რიონით ზღვამდე
ჩრდილოეთ კავკასია შეც ჰქონდათ აგრეთვე ორი გადამა-

ვალი გზა: დარიელის ხეობიდგან და დერბენტის უ-
 ლიდგან . დერბენტიდგან მოკიდებული კავკასიის აქტ
 მხრით ძირში 360 ცერსის სიგრძეზე ცედელი იყო აშენე-
 ბული, სკითების და მრავალი თიული ხალხების მოსავე-
 რებლათ . ამ კედლის ბოლო ეხლაც სჩანს დერბენტში
 და აგრეთვე გაღმა მხრის სოფლებში: მუხანში, კატებში,
 მაწებში და სხვ .

დარიელიდგან ჩამოდიოდნენ ოსები თნდოსტანიდგან
 მოტანილ და შინ გაკეთებულ ნივთების საყიდეელათ, ჰყი-
 ლულობდენ და მიჰქონდათ თავის ქვეყანაში .

ვაჭრობამ და ალებ-მიცემამ დაპარა მოთხოვნილება
 ქალაქების აშენებისა . ქალაქებში და ციხეებში ადგილათ
 შეიძლებოდა გამაგრებულიყვნენ და დაცუათ თავისი სა-
 ქინელი .

მაშინდელი შესანიშნავი ქალაქები :

ქართლი, აშენებული ქართლოსისაგან , მტკვრის
 მარცხენა ნაპირზე არაგვის შესართავთან . ფარნაოზის
 დროს ამ ქალაქს ერქვა არმაზის-ციხე, რადგან მან აქ
 ააშენა სალოცავი ღმერთის ორმუზდისათვის .
 თარბისი (სამშვილდე), ესეც ააშენა ქართლოსმა
 ხრამის მარცხენა ნაპირზე .

მტკვარის-ციხეანუ კუნანი, აშენებული ქართლო-
 სისაგან იქ, სადაც დებედა წყალი ერთვის მტკვარს .

დედა-ციხე და ბოსტან-ქალაქი (რუსთავი), — ესენი იყვ-
 ნენ აშენებულნი ქართლოსის ცოლისაგან . დედა-ციხე იყო
 მოშენებული თეძამზე (ქართლში), ბოსტან ქალაქი ერთ
 გორაკზე, რომელსაც ეხლა ჰქვიან იალურჯი (15 ვერ-
 სზე თფილისიდგან სამხრეთით .)

გაჩიანი, აშენებული ქართლოსის შეიღისაგან ხრამის ნაპირზე იქ, სადაც მაშავერი ერთვის. ამ ქალაქის ნანგრევები ეხლაც მოჩანან.

ჩეფთი ანუ ბერ, ეხლა დიდი სოფელია კახეთში მდ. ჩელოთაზე, —სოფ. ჰევიან შილდა.

მცხეთა, რომელიც ვაშენა მცხეთოსში მტკურის მარცხენა ნაპირზე არაგვის შესართავთან. მცხეთი თავის დაარსებიდან დაწყებული ვიდრე მე-ხუთე საუკუნემდე ქრისტეს დაძირების აქეთ იყო საქართველოს დედა ქალაქათ. ამ ქალაქში იყვნენ დიდი შენობები და მრავალი ხალხი სცხოვრობდა შიგ. მასში არის უწინ დელი ძეელი და დიდი ეკლესიები. ეხლა მცხეთა სოფელია.

მცხეთოსის შემდეგ მისმა შეიღებმა ააშენეს აგრეთვე შემდეგი ქალაქები: ოძრე, თუხარისი, წუნდა, არტანისი (ქაჯო ქალაქი), უფლის-ციხე, ურბნისი, კასპის ზოგი ამათგანი ეხლა დანგრეულია და ნაშთენის შეტი ალარა მოჩანს-რა, ზოგი დიდი სოფლებია; არტანისი კი ეხლაც ქალაქია, რომელსაც ჰევიან არდაგანი. ის მტკურის ხეობაში იყო კიდევ ქალაქი სურამი (სური-უმი), აშენებული მამასახლისების დროს. აქ ეხლა დაბაა. ეს იყო ნივთების და ინდოსტანიდგან მოტანილი საქონლის საწყობი და შესანახავი ადგილი.

ქალაქები ეს და ქუთაისი, პირველი ტეხურზე, მეორე რიონზე იყვნენ. ეს ქალაქები იცოდნენ ძველადგანვე ბერძნებმა. ტრიიანის ომის შემდეგ მიღეტლებმა (ბერძნებმა) რიონის ზღვასთან შესართავთან ააშენეს ქალაქი-ფაზისი (ფოთი). ქუთაისში სცხოვრებდნენ ძველადგანვე კოლხიდის მართველები.

ქარნაოზის მეფობის დროს აშენდა შორაპანი, რო-
გორც ზევითაც ვსოდეთ.

III ამ ტრი ცძა ლაჯა
საქართველო ფარნაოზის სიკედილის შემდეგ რომა-

ელის შემოსევამდე.

მეფე საურმავი, — ქართლის ერისთავის სურვილი. — სომხე-
ბის შემოსევა. — მირვან მეფე. — განცალევება სამეგრელოსი, —
გელურების (ბალვარების) შემოსევა. — ფარნაფონის მეფობა. —
არშავის მეფობა. — მიცრიდაცის შემოსევა.

ფარნაოზის სიკედილის შემდეგ გამეფდა მისი შეი-
ლი საურმავი (237 წ.). ქართლის ერისთავს არ სურდა
მისი მორჩილება. ამიტომ ააღელვა ხალხი. საურმავი
გაიქცა მთიულ ხალხებში. მაგრამ ქართლის ერისთავს
არ გაუვიდა ცმიერება: საურმავს მოეშველნენ ნათესავე-
ბი (სხვათა-მორის სამეგრელოს მმართველი ჭუჯი), დაა-
მარცხეს ქართლის ერისთავი და საურმავი კიდევ გამეფეს.
ამ მეფეს სიკედილის შემდეგ გამეფდა (162 წ.).
სიძე მისი მირვანი (მვილი ასირიელთა მეფისა). ეს ძალი-
ან ეწყინა სამეგრელოს მმართველს, რომელიც იყო ნათე-
სავი საურმავისა. მოინდომა თვითონ გამეფება. ასტყდა
ომი. მირვანმა მოიწვია სომხის მეფე ვაგარშავი. შეესივნენ
სამეგრელოს. დაამარცხეს აჯანყებული და განდევნეს სა-
მეგრელოდან. პერის მუნიციპატიურები დაჲკარგა. მაგ-
რამ ვაკარშავი არ დაუკმო მეფე მირვანს შავი ზღვის
ნაპირები და აკრეთე აღმოსავლეთი საქართველოს გაღმა

მხარი (აინგილო), რომელსაც მაშინ ერქვა ალბანია; აქ დასეა მმართველათ თავის მექობარი არანი.

ის-ის იუო დაწყინარა საქართველო მირეანშა, რომ დარიელის ჟელილგან შემოესია საქართველოს ველური ხალხი — ბალკარები, რომელთაც განვლეს მთელი საქართველო და დაესახლნენ სომხეთში.

მირეანის სიძის — ფარნაჯომის მეფეობაში (112 წლიდან 93 წლამდე) ქართველები აჯანყულნენ. ამის მიზეზი ის იუო, რომ ამ მეფემ მოინდომა შეცელა მათი სჯულისა. ხალხი ალელვდა და მოიწვია მეფეთ არშაკი — მირეანის მეორე სიძე. ფარნაჯომი გაიქცა პონტში (შავი ზღვის პირა); ათი წლის განმავლობაში ის აჯანყებდა ხალხს, სცილობდა მეფობა დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა; ბოლოს ერთ შეტაკებაში მოჰკლეს. არშაკს დარჩა მეფობა (93 წ.).

ამავე დროს სამეცნიელოს ხალხი აღუდგა თავის მმართველებს, რომელნიც დასეა იქ სომხის მეფემ ვაგარშავმა. არშაკმა განდევნა ისინი და ხალხი დაამშეიდა.

98 წ. ქ. დაბადების წინ აჯანყდა კოლხიდა; პონტოს მმართველი მიტრიდატი შემოესია ამ ქვეყანას, დაიმორჩილა და დასეა აქ თავის მმართველები, 84 წ. ქ. დ. ამავე ადგილებში მოხდა კიდევ ხალხის არეულობა. ხალხმა განდევნა მმართველები და სოხოვა მიტრიდატს დასევა მათ მეფეთ შეილი თვისი მახარა. მაგრამ მიტრიდატმა მოაკელევეინა მახარა და დასავლეთ საქართველოში მმართველათ დასეა ერთი გულითადი მონა თვისი და გაამარა დიდ-ძალი ჯარით.

საუკმაგმა, მირეანშა, ფარნაჯომმა და არშაკმა მოახ-

დანეს თავის მეფობის დროს სხვა-და-სხვა ცულილება ხ.ლხა ცხოვრებაში. საუჩვეული და დვა კურპები: ანიჩი და ღ.ნი ნი ხალხის თაყვანის-საცემლათ. ფარნაჯომმა აშენა კახეთში ჩულტის ახლო ქალაქი ნეკრესი, რომლის ნაწე- რევები ეხლ ც მოჩანს. ამანვე მცეთის პირ-და-პირ აღ- მოსაელეთის შხარეს, არავის შეართავს ზემოთ, აშენა სალოცვები, სამსხვერპლო და კურპი „ზადენი“. მიჩეუნ მეფებ დასდვა კარები დარიალის ყელ ზი, — ეს კარები იცავა საქართველოს ჩრდილოეთის ველურ ხალხების შემოსევი- საგან. თუმცა ეს მეფეები ამ ნაირათ მოდე-წეობ უნენ თავის ხალხისათვის, ბაგრამ ხალხი მაინც ღარიბდებოდა. უმრავესი მიზეზი ამისა იყო მიტოვება რიონ-მტკერის გაჭრობისა. ამ წყლის გზის გაუქმებაზე დიდი გავლენა ჰქონდა იშანდა იშას, რომ ალ. მაკედონელმა ეგვიპტეში აშენა ქალაქი ალექსანდრია და იპოვა ახლო და ადვილი გზა ინდუსტრიან სავლელა — ეს გზა იყო სუეცის სარტყელზე გადაშევალი წითელ ზღვაში და იქმდება ინდოსტრიანი კუენეთი ინდოსტრიან ში. მთელი ვაჭრობა ბერძნებისა სა- ქართველო უგან გადავიდა ალექსანდრიაში. ბაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ალექსანდრიას აშენების შემდეგაც დიდ სარგებლობას აძლევ და საქართველოს რიონ-მტკერის სა- ვაჭრო არხი. რომის შეისტორიე პლიი აშპობს, რომ ყო- ველ წელიწადს რომიდებან შორაპანში ასი მილიონი სე- ტერცი იგზვნებოდა სავაჭრო ნივთების საყიდველათაო-

მოსე ჭანაშვილი

(გაგრძელება იქნება).

ტრიუმფი იქნა. ან ნებისმიერი და უცხოძელი? ესმა
უნდა იყოს მისი მიზანი. ემზადი და მომცემი ამა
უწყებო კონტაქტი არის უფრო მიმდინარე როგორ ხელი და
მიზანი არ არის ასრულებელი საქონლები. *)

«კაცი მუდამ უნდა იყოს გართული და ურომობდეს ყოვლის
ლონის-ძებით იმ საქმეზედ, რაზედაც აქვს ნიჭი და მიზიდვე-
ბის ღობა, მაუნ ის კაცი გარშაიცვლება წმინდა სინიდისით და იმ
ეგრძნობით, რომ მან ყოველი აღასრულა», ამბობს სიდნეი
ს მიცი. ანუ კიდევ: «მარტო მაშინ უეგვიძლიან ვსძლიოთ საქმე,
«როდესაც კეთილ-სინიდისით ვიშრომებთ მასზე და არ გამოედ-
ეგბით დიდების მოპოებას», სოდეა გამოჩენილმა გენრის
ლონგფელდმ.

ვის არ უნახავს და არ მოუმენია რომელიმე ქა-
ლაქის თეატრში ან საზოგადო წარმოდგენების ადგილებ-
ში მუშავის ყრილობა (კუნცეუტი) და არ შეუნიშნავს
იქ ის დიდი განსხვავება, რომელიც არის მოთამაშების
შორის? ერთი მათგანი—უპირველესი დამკურელი არის
განცხოველებული, სავსე ენერგიითა და ენტუზიაზმითა,
მარჯვეთ და საოცარ სიმარტით ამუშავებს თავის სკრიპ-
ტს (ჰიანურს), იგრიხება, იკლაკნება, ცუნდრუკობს, ხან
უჩქარებს ან წყნარათ სკემს, ხან უშოკლებს ან უგრ-
ძელებს სგვა-და-სხვა მის ხმებსა, რომელნიც სხვის ხე-
ლით ძნელათ გამოირკვევიან და ისმიან შორის სხვა-და-

*) წაბაძვა ინგლისის პროფესორის ვილგელმ მაკიუ-
სადმი.

სხვა შთასაბერავ საკრავების ხვებში. მისი ჭიანური თითქ-
 მის ჰეთარაცს და ახშობს ხოლმე მთელ ორკესტრის ქუ-
 სილსა. ეს დამკურელი, მეჭიანურე, არის ფურმით ჩატუ-
 ლი, მოქმედების დროს რიგით აყოლებს და არტყაში
 ძირს ფეხსა, ამაყათ მისხედ-მოიხედება ხოლმე, ხან მარცხ-
 ნივ და ხან მარჯვნივ; ერთის სიტყვით, ეს დამკურელი
 სრულებით გატაცებულია თავის საქმით — ჭიანურის ხა-
 რებით და სხვებზე თავის ყუჩაზღუბით. ეს გახლაცსთ პირ-
 ველი მეჭიანურე, მუზიკის მართველი ანუ დირიჟორი.
 ამა ახლა შევხედოთ მის გვერდით ცოტათ დაბლა მჯდომ
 მეორე მეჭიანურესა. ამაში ჩენ ვერა ვხედავთ არავითარ
 სიცხოველესა და ენტუზიაზმება: ეს მოთმიწებით და წყნარით
 აცურებს ჭიანურის სიმებზე და ოლყებზე ქამანჩისა; ეს
 ჰეთა უფრო დღიურ მშრომელსა, კანც მუზიკის დამკუ-
 რელსა; მის თვალებში და მოძრაობაში არ იხატება შე-
 სანიშნავი სიცხოველე; მის ხელებს არ აქვსთ ვასაოცარი
 სასწრაფე ჭიანურის და ქამანჩის ხმარებაში, ეს არ არხევს
 თავს და ამაყათ არ მისხედ-მოიხედება, არ აყოლებს და არ
 არტყაში ძირს თავის ფეხსა, არ ამშვერებს თავის ჭიანურის
 ხმებს, არ ეჩჩევა სხვებისაგან და მარტოდ მარტო სინი-
 დისით და წყნარა გადადის ერთის ხმიდგან მეორეზე. ნუ
 თუ ეს მეჭიანურე ყასიდად, განგებ ასრე შერება — ასრუ-
 ლებს თავის საქვეს და მოვალეობას ასრე გულ-გრილათ
 და ულაზათოთ? არა, ის ცდილობს და ხმარობს ყოველს
 ლონის-ძიებას ჭიანურის ხვარების დროს, მაგრამ, რადგა-
 ნაც არ აქვს მხატვრობითი ზეგარდამო ნიჭი, რომელსაც
 ეძახიან ენტუზიაზმს, ამისგამო მისი დაკრია და მიხერა-
 მოხვერს შედარებით პირველთან (მეჭიანურესთან) გამო-

დის ულაზათოთ და გამოუჩენარი. მართალია, ბევრნი კი-
და ცულოუტობენ და არ იწუხებენ თავსა, თუმცა მო-
მეტობულიც შეუძლიათ: მათ აქვთ მარტო ფულის ინ-
ტერესი, რომელზედაც სცვლიან კარგ მუზიკის ხმასა;
მაგრამ ჩენ ვამზობთ სინიდისიან მოთამაშეებზე.

ეხლა გადავიდეთ შედარებებზედ და ჩვენი საგნის
ბასებზე: ყველანი დაგვეთანხმებიან, რომ ესთქვათ
ასრე: ეს წუთის სოფელი ვით მუზიკის ორკესტრია და
მყოფი მას შინა ვით მეჭიანურენი ანუ დამკარელნი.
მაშ სჩანს, რომ ჩვენ ყველანი წარმოვადგენთ ცხოვრების
ხშის შეწყობას (კარმონია). ვხედავთ, რომ ერთნი ჩვენ-
განი ყველათი განაგებენ, დირიჟორობენ და აქცივენ
თავიანთ თავზე საზოგადოების ყურადღებას, მეორენი
მოთხენით და სინიდისით ჰყვებიან მათ და აღსრულებენ
თავიანთ მოვალეობას. საგანი ამ ბაასისა მღვომარეობს
მასში, რომ გაიგონ, რომელთაც არ იციან, მიზეზი უთა-
ნასწორობისა ხალხთა, ანუ კაცთა შორის,—ანუ უფრო,—
რომ დამტკაცდეს ეს ჭეშმარიტება: თუმცა კაცი იყოს,
ესთქვათ, როგორც პირველი ანუ მეორე მეჭიანურე, ტა-
ლანტიანი, თუ არა, მას ყოველთვის აქვს უეჭველათ რა-
მეში ნიჭი და შეუძლიან სინიდისით და პატიოსნათ შრო-
მობდეს და ასრულებდეს თავის დაწყებულ საქმესა და
მოვალეობასა. არ შევსცდებით, რომ კიდე ესთქვათ ასრე:
კაცი ახლათ გამოსული ცხოვრების ასპარეზზე, ემსგავსე-
ბა სამხედრო ხომალდესა ანუ გემსა, რომელმაც, ესთქვათ,
მიიღო ბძანება—დაუტეოს პირველი თავისი ნაეთ-სად-
გური და უშველოს სადმე თავსა მტრებისან. ამ ხო-
მალდს, თუმცა ბევრი გზა აქვს გახსნილი ფართო ჰლვაში,

ანუ სკუანეში, მაგრამ არ იცის, რომელ ნავთ-საღვუ-
 რისკენ გაემგზავროს თავის შესაფარებლათ, არ იცის, რო-
 მელ მხარეს და, ზღვაში გადაირჩინოს თავი მტრისაგან.
 ამ უცოდინარობისა-გამო, ამ ხომალდს მოელის ყოველ
 ადგილს და დროს სხვა-და-სხვა უბედურება და შიში:
 ზღვის ზეროთების აღელევების დროს, ფარულ კლდე-
 ებისაგან, კუნძულებისაგან, ქარიშხალისაგან, რიყინ ანუ
 თხელ ადგილებისაგან და სხვა-და-სხვა ამ გვარ მავნებელ
 ხიფაჲებიდგან. და აი ამ წაირ საშიშარ და განსაცდელ
 ზღვის ადგილებში ამ ხომალუმა, რომელსაც, ვსოდეთ
 დამატებით, ამ აქვს ხელში სახელ-შძლეველო ქარტა,
 უწდა თავეს-თავათ განაგოს, იკვლოოს კარგი დრო და
 გზები. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ ამის-
 თანა საშიშარ და ხიფაჲთიან ზღვის გზებში მშეიღობით
 მოიკლის და მიაღწევს ხოლმე ახალ ნავთ-საღვურს ასში
 მარტო-დ მარტო ერთი გეში ანუ ხომალდი. ბერჯერ
 მოხდება ისეც, რომ ძალიან პატარა და უშინო ხომალდი
 ამისთანა გზებში სრულიად მშეიღობით იმგზავრებს და
 მიახწევს ხოლმე ნავთ-საღვურებში, მაშინ, როდესც
 დიდი ხერალდები, საკსენი თოფ-ჯაფხანითა, ამაყურათ
 დაძრულნი, ხალხის დიდის ამბით, იმედით და უკირილით
 — „ურა“ გამგზავრებულნი, — ბევრ-ჯერ, სამუდამოთ იღუ-
 პებიან ხოლმე ოკეანის ზეირთებში. ამის მსგავსათ არიან
 ბევრნი ახალ-გაზდანი, საკსენი ენერგიითა, თავ-გამოდე-
 ბულნი, განათლებულნი, რომელნიც ამაყათ და დიდის
 იმედით გამოილიან ცხოვრების ასპარეზზე საშრომელათ,
 მაგრამ აქ წმინდათ მათ ხედებიან ხოლმე სხვა-და-სხვა უბე-
 დურებანი და მარცხობა, და ვით ზემოხსენებულნი ხო-

მაღლნა, საუკეთენოთ, იმუსჩებიან და იღუპებიან ხოლ
მე ცხოვრების უკუანის ჰეროობში.

თუ განვხილავთ ძველი თოფლის იტორის, დავჩრწ-
მუნდებოთ, რომ პირველათ გზა, რომელსაც შიპუავდა კაცი
ცხოვრების ბედნიერებისადმი, თუმცა, მართალია, არ იყო
აჯვილი და ეკლიანიც იყო, მაგრავ ასე გაძელებული და
დახლართული გზა, მეურუც, ესეთი ცალობა ხალხთა შო-
რის ერთი მეორეზედ, ესე დაწეაუზების მაციდონება უკე-
ლა გვარ ჭალაბრიობის მოქადებაში, არ უოთალან არა
დროს, როგორც ამ ჩვენ მე-უხრამიტე საუკუნეში, რომ
კაცი ამ დროში რამე გახდეს ანუ, როგორც იტყვიან,
ბედნიარებას ეწიოს, უდა მას ჰქონდეს პირველათ, რა-
საკირველია, ჯან-მრთელობა და მეორეთ კეთილ-ზნეო-
ბითი თვისებაზი: გაჭრჯეობა, გაძევაულობა, სიფრთხი-
ლე და სინიდისი; უმათათ კური მნება უჯველადი და-
ჩაგრული და საქვეში გაუშარჯებელი.

რაშ მდგომარეობს კური ბედნიერება? ძალიან სცე-
ბიან სარა, რომელიც ჰუკიუბერ და ამზობენ, რომ კა-
ცის ბედნიერება შდვომარეობს მის სურვილის დაკმაყოფუ-
ლებაში და იკეთ განცხრომაში, რომ არაფერი შრომა არ
აწუხებდეს მას, ერთის სიტყვით — სრულს განსვენე-
ბაში. ამ ჰაზრის მქონენი ძალიან სცდებიან, ვამბობთ,
იმიტომ რომ სრული განსვენება და ცუდაობა უფ-
რო კაც! აღანებს და აწუხებს, ვიდრე ბრძოლა და
შრომა ცხოვრებისათვის და ბედნიერების მიწევნისათვის.
მართალია, ცხოვრების საგნები, რომელთათვის ჩვენ
ვშრომობთ და ვიბრძვით დასაპყრობლათ, არიან ბერ-
ჯერ უბრალონი, უსარგებლონი და, მაშასადამე, არ ლი-

რან შრომის-და-გვარ, მაგრამ აქედვან არ უნდა გამო-
 ვიყვანოთ ის დასკვნა, რომ აღარ უნდა ვშრომობდეთ და
 ვმეცადინეობდეთ ამ, თუნდ უპრალო, საგნებისათვის და
 სრულიად თავი დავანებოთ მათ, რადვანაც არა გაქვს
 საშრომელათ დიდი საქმეზი ანუ საგანნი. ერთი ანდა—
 „ცუდათ ჯდომას, ცუდათ სიარული სჯობსო“—სრულებით
 ხსნის ზემოა მოყვანილ ნათქვამსა. ცხოვრებაში ბევრი
 საგნები მიგვაჩნია საინტერესოთ და შრომის ღირებულათ;
 ეს წინათ ჩვენება წარმოსდგება იქიდვან, რომ ამ საგ-
 ნების დაპყრობამდინ ვერძნობთ იმ საამო ღელვარებას,
 რომელიც აღიძრება ჩვენ-შორის შაშინ, როდესაც ამ
 საგნებს დაუწყებთ ძებნას, ვილტერთ და ვცდილობთ მა-
 თის დაპყრობისათვის. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებით გა-
 ვიგებთ, რომ ნამდვილი კაცის ბეღნიერება მდგომარე-
 ობს მარტო იმ მოძრაობაში, რომელიც შეადგენს ჭის
 ლტოლევილებას სასიამოვნო საგნებისადმი და არა მასში,
 რომელიც შეადგენს ნამდვილ საგნების დაპყრობას და
 მფლობელობას მათზე. ვინც რგავს ნერგსა რომელიმე
 ნაყოფიერ ხასას, მოწიწებით უკლის და ზრდის შის, ის
 ჰქოვებს გაცილებით დიდ სიამოვნებას ამ მოვლის ღროს,
 მინემ ნაყოფის დაკრების ღროს ამ ხიდვან. აბა მ. ე. ცით
 მონადირეს მზათ დაჭრილი ნადირი, ანუ მემარულეს
 ცხენის გაუჭინებლათ დადებული ჯილდო, იქნება მიიღონ
 მაგრამ ვგონებ, რომ ვერ გამოსცადონ ის სიამოვნების
 ღელვარება და კმაყოფილება, რომელსაც მიიღებენ
 ხოლმე შრომის ღროს ამ საგნებისათვის. ვეგონებ, რომ
 კიდეც დაგცინონ ამ თქვენი პატივის-ცემისათვის.
 • მსწავლულმა დესინგმა სთქვა: „რომ დაცეკითხონ,

რომელს აირჩევო და რომელი სჯობიანო — გამოკველეული რომელიმე ჭეშმარიტება, თუ სიამოვნება მის გამოკველევაშიც, მაშინ ერთ წამსაც არ გაეჩერდებოდი და ავირჩევდი ამ უკანასკნელსაო". რომ აღარაფერს ველტოდეთ და ყველაფერი გვქონდეს სამუდამოთ დაპყრობილი, მაშინ ჩენი მდგომარეობა ცხადათ იქმნებოდა ჩენთვისვე სამწუხარო მდგომარეობათ: ეს ძალიან შეგვაზიზდებდა ყოველისურება, მაშინ ჩენ ვიქწენებოდით მოკლებულნი ყოველის იმედსა და საამო გულის ღელვარებასა, მაშინ ეს ჩენი წუთის-სოფელი ჩენ თვალშივე აღარაფრათ გამოჩნდებოდა. რომ დაბადებიდგანვე დაკვირვლოდა ყოველის-ფრის გულ-მსუყიდა და ვერძნობდეთ მარტოდ-მარტო დღევანდელ კრაიოლებას და მეტი აღარ გვინდოდეს ხვალისთვის, მაშინ ჩენ-თვის აღარ იქმნებოდა საჭირო წინ-მსვლელობის მეცადინეობა და ამისგამო მაშინ ქვეყანაზე იქმნებოდა ცხოვრების შეჩერება და არაფრის მოძრაობა. ამისთვის კაცი დასაბამით-განვე გაჩენილია მოძრაობისათვის, ხოლო ცხოვრება უჩენებს მას დიდ ასპარეზზე გონების და გულის მუშაობისათვის. ამ ასპარეზზე კაცის უმთავრესი კრაიოლება მდგომარეობს გამოკველევაში, ლტოლვილებაში ანუ მეცადინეობაში, რომ დაიპყრას რაიმე საგანი, მისგან არჩეული. მართალია, ცხოვრებაში კაცი შეემთხვევა საქმეებში სიმარტე, მაგრამ ამ დროს კაცის სასიამოვნო გულის ძერანი და გრძნობანი, უნდა ესთქვათ, მარტო სუსტდებიან და არა სრულებით იხმობიან ისე, როგორც მაშინ როდესაც კაცი სძლევს საქმეს ანუ დაიპყრობს თავის არჩეულ საგანსა; ამისთვის არ უნდა შეეშინდეს ვისმეს რომელიმე მარცხობისგან, გული არ უნდა ვაუტყდეს, არამედ უნდა გა-

მხნედეს, შრომობდეს, მეცადინეობდეს. თუ კი უნდა, რომ ჰქონდეს იმედი რამდე ბედისა. ამას ც უტყიოთ, რა ნაირიც უნდა იყოს ჩვენი მოქმედება ამ წუთის სოფელზე, წარმატებული თუ მარცხიანი, მაინც კიდევ დაბეჯრ თებით შეგვაძლიან ვსოდეთ, რომ თუ რამეს ვერ გახდება კაცი მეცადინეობით, უამისოთ უფრო უფლათ შეუძლებელი იქმნება რამდე მისთვეს.

მეორეც, ვამბობთ, კური წარმატებისაოცის არის უკილებლათ მეცადინეობა, მაგრამ ეს მეცადინეობა უნდა იყოს სხვა-და-სხვა ნაირა, რადგანაც ცხოვრების ასპარეზზე არიან სხვა-და-სხვა გვარის კაცი, რომელნიც განირჩევიან ერთი მეორისგან წოდებით, განათლებით და ხელოვნებით და არა ყველასთვის ეს მეცადინეობა უნდა იყოს აუცილებლათ ერთ-ნაირი და გამოსადევი, ავილოთ მაგალითად: მეცადინეობა მჭევრ-მეტყველობის გავარჯიშებაში არ არის ყველასთვის საჭრო, არამედ მარტო მისთვის, ვისაც აქვს ამაში ნიჭი და სურეილი, რომ გამოიყენოს იგი. მეცადინეობა კაცისა არ განიმარტება ანუ გაიზომება არც წოდებით, არც ხარისხით, არც სიმდიდრით და არც სხვა რამითა: კაცი შეიძლება იყოს გამოჩენილი ადვოკატი და იწოდებოდეს ბეღნიერად, თუმცა ვერ გახდა სამართლის მინიჭრათ; ბევრ ვაჭრებს შეუძლიანთ იწოდებოდნენ მდიდრათ და მით უნდა იყენენ და არიან კმაყოფილნი, თუმცა მათი სიმდიდრე არ შეედრება როგორიცაც სიმდიდრესა.

სამხრეთის ამერიკაში ამას წინათ იყვნენ იმისთანა მწერლები, რომელნიც ატყუებდნენ ახალ-გაზღობას, როდესაც სწერდნენ თვეინათ ქურნალებში და ეუბნება.

ბოლო ახალ-გაზღვობას აიღო აჩრს: თუ ახალ-გაზღვობი, გამო ულნი ცხოვრებაში, მოიწადინებენ სხვა-და-სხვა სა-ლიტერატურო უცალლებს თავის გაუმჯობესობასათვის ანუ წარმატებისათვის, ურთის სიტუაციას ჩისრც ისინი ინატრებენო, უთუოთ ეწევიან თავის გულის-წადილსათვის, რაგინ და გარევანის მხრით ეს გულის წადილის აღსრულება იყოს მათთვის ყოვლად შეუძლებელიო, თუ მასთან ვე მათ, ახალ-გაზღვობას, ცვიდეც ექმდებათ ცოტაოდენა მხნეობათ, განათლებათ და მწყვევნარი მეცადინებათ. ეს მწერლები ქადაგობდნენ, რომ ჭველა-კაცს შეუძლიან, თუ მოიწა-დინათ, ფახვეს შრატების მშერთველათაო (პრეზიდენტათ), კონგრესის შეეცრათაო, მინისტრათაო და (ჩვენებურათაც რომ ესთქვათ) ხელმწიფოთაცათ. მათი პაზრით, კაციყოველთ ვის უნდა იწყობდეს დოდ აქმესა: საშუალო საქმე, რომელიც კაცმა-გრინდი დაწყობს გულ-შოდგენით და აკეთებდეს სინდისით, არა არის არა არის კაცის-თვის, ვინც უნდა იყოს, პატრიოტება. მათი პაზრით, ადვილი უნდა ამშენებდეს კაცა და არა კაცი ადგილისა. ახლა ესთქვათ, ნუ თუ ეს პაზრი არ არის კაცის შობმატურიარი და მავნებელი? ნუ თუ ზოგიერთა მჭედლელს ანუ შეწალეს არ შეუძლიან ითვლებოდეს ხაზოგალოებაში პატიოსან კაცით, ნუ თუ ამათ ვერ შეუძლიანთ მისცენ თვევინთ ხელობას და ნაწარმოებელს უცეტესი დამშენება და სისუფთავე, მინემ გამოჩენილმა აღვარულმა თავის სიტუაციასა სასა-მართლოში?

ზემოხსენებული ამერიკის მწერლების სიტუაციიდგან შეკვიდლიან ვიჟიქოთვის, რომ ვითომც უკველა უცხა აქცე აქცე ბუნებით დაყოლილი ტალანტი შექსპირისა, ნეუტონისა,

შოთა რუსთაველისა და გახტანგ სჯულ-მდებელისა, და თუ ჯეროვანი განათლებაც მიღლო და დაუცხრომელათაც იშრომა, მაშინ შეუძლია გააკვირვოს ქვეყანა თხზულებებით, როგორც არიან „გამდეტი“, „გეგჩვის-ტურსანი“ და სხვა ამ გვარნი.

მეორეც, ხანდის-ხან, როდესაც გადავაელებთ ხოლმე თვალს და დაწვლილებით გამოვიძიებთ გენიოსების — დაწინაურებულ პირთა ცხოვრებას, აღმოსჩიდება რომ ამ გენიოსებს გამოუელიათ დიდი ღვაწლი და მწუხარება, მანამდინ მიაღწიეს თავის სახელობას და გათქმულობას. მაგრამ აქედგან არ უნდა გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ უთუოთ ყველა კაცი, რომელიც ეწევა დიდ შრომას და მისდევს ერთს არჩეულ საქმეს, დოდს თუ პატარას, უთუოთ დარჩება მასში გამარჯვებული; არა, ეს შემთხვევის საქმეა და იშვიათიც არის. ბევრს არ აქვს გენიოსობა, ერთი, მეორეც, რაც შეეხება სხვა ნიჭიერებსა, ბევრნი მათ-განნი იძარცებიან და ბევრიც რჩებიან გამარჯვებულნი თავიანთ საქმეში.

გამოჩენილმა შეჯდიმ გაზეიადებით სთქვა: „ყოვლად შემძლებელმა მისუა კაცთა ისე გრძელი ხელებით, რომ, თუ მათ მოანდომეს, შეუძლიანთ შეეხონ და დაიყრან ვარსკვლავნიო; თუ კაცი შეკრიბავს ყოველ თავის ძალას და ხასიათს, მაშინ არა-გადაურჩება-რაო, რაც კი მოიპოვება ქვეყანაშიო“. როგორ მოგწონთ მისგან ხმა-რებული სიტყვა „თუ“? განა არ ემსგავსება ამას, ჩვენც რომ ვსთქვათ ასე: „თუ რომ დედის და ანუ მამის და ჩემი ყოფილიყო მამა-კაცათ, მაშინ ის იქმნებოდა ბიძა-ჩემი? ანუ კიდევა: „თუ მაიმუნმა მოიწადინა, შეუძლიან

გაზდეს კაცათ — გამოიჩინოს სულიერი კაცის თვისებანი“.

კაცს შეუძლიან იმუშავოს გონებით და სხეულით იმდენათ, რამდენათაც მისცემენ მას ნებას და შეძლებას სულიერნი და ფიზიურნი თვისებანი, მეტი არა. რასაც კაცი აკეთებს ამტკიცებს მას, რომ აქვს ნიჭი იმ საქმის გაკეთებისა: დიდ საქმეს გააკეთებს, იტყვიან დიდი ნიჭი აქვსო, პატარასა და — პატარაო. და რომ ვ' თქვათ, რომ ამა-და-ამ კაცს შეეძლო ეს-და-ეს დიდი საქმე გაეკეთებინაო, რომ ტალანტიანი, ჯან-მრთელი და დიდი მშრო-მელი ყოფილიყოვი, ეს სწორეთ ეგვანება მას, რომ ესთქვათ ასრე: როგორ ღონიერი იქმნებოდა ესა-და-ეს კაცი, რომ ბევრი ღონე ჰქონოდა მას, ანუ კიდევ — რა ჩქარა ივლიდა ორთქლით მატარებელი, რომ მას ჰქონოდა დიდი ქვაბი ანუ დიდი ორთქლის ძალა!

ისტორიიდგან ვიცით, რომ შესანიშნავი ხალხის საქმეები კი არ ჰბადავენ შესანიშნავ ვამოხ ნილ კაცებს, არამედ ეს უკანასკნელნი ჰბადავენ შესანიშნავ საქმეებსა, თუცა, რასაცირცელია, გარემოებაები ეხმარებიან ხოლ-მე მათ. ამას გეიმტკაცებენ მაგალითები წარსული სა-მოქალაქო ამერიკული ომისა და საფრანგეთის და პრუ-სის შორის ბრძოლისა. თუ კაცი თითონ არ აქვს ნიჭი, მაშინ მისი ძალ-დატანებით მეტადინეობა, რომ გამოჩე-ნილი რამე საქმე გააკეთოს, ვერ უშვეელის მას. მეორეც, გინდ იყოს კაცი ნიჭიერი, მაგრამ თუ ეს აკეთებს რამეს აღშუთებით და მარტო თავ-მოყვარეობით, მაშინ მისი საქმე გაკეთდება უსამართლოთ, ცუდათ და კიდეც სა-ზიზღრათ, მავრამ, თუ შეუდგება ამ საქმეს და იშრომებს

შშეიღათ, წყნარათ და სინიღისით, მაშინ უეჭველია, რომ
 გაკეთდება კარგათ და პატიოსნათ. ამასთვის გამოცდილება გვეუბნება, რომ კაცი დაბადებიდ-
 ეგანვე განირჩევიან ერთი შეორისგან ნიჭიურებით და გო-
 ნებით ისე, როგორც განირჩევიან ხოლმე იგინივე გაზ-
 იანის შეხედულობით. მაშასადამე სხვა-და-სხვა გვარი ნი-
 ჭი, დიდი თუ მცირე, გვიძლება თვით ბურებისაგან.
 მაგრამ ამ ჭეშმარიტებამ ნუ თუ უნდა შეაყენოს და მის-
 ცეს ეჭვი მათ, რომელთაც ურსო საქმის დაწყება ცხოვ-
 რების ასპარეზზე? — არასოდეს: არ ვინ იცის წინათ, რა-
 გვარი ნიჭი აქვს მას ბურებიდგან დაყოლილი და რა ნაი-
 საქმეს და როგორ გააკეთებს — გამოჩენილს, საშუალოს,
 თუ უვარებისსა, ადვილათ და გამარჯვებით, თუ მარცხათ,
 — არ იცის, ვიმეორებთ, წინათ, მინებ თვით არ გამო-
 სცდის საქმითა; და როდესაც დაწყებს კითებას, ანუ,
 უფრო უკეთესი, როდესაც შეასრულებს დაწყებულ საქ-
 მესა, მაშინ კიდეც დაბეჯითებით შეაცილიან ესთქათ, რა
 ნაირი ტალანტი, თუ ნიჭი აქვს ამ კაცსა — კარგი, თუ
 დაბალი. ამ ზემოთ მოხსენებულს კუდევ უნდა დაუმა-
 ტოთ სიტყვები გამოჩენილი ითხად რეინოლდისა, რომელ-
 მაც სთქვა: „თუ კაცს აქვს (ბურებიდვან) დიდი ტალან-
 ტი, მაშინ განათლება გამოუხადებს მას (ტალანტსა) და
 თუ აქვს მარტო საშუალო ნიჭი, მაშინ სწავლა შეუსრუ-
 ლებს მის ნაკლულევანებას“.

ბევრი ფიქრობს ასე: თუ არა ტალანტიანი, სხვას
 ვერ შეუძლიან იქნიოს იმედი დიდი საქმის დაძლევისა.
 და წარმატებისა ცხოვრებაში და მაშასადამე არა ლირს ამ
 ნაირ საქმის დაწყობაო, რადგანაც ბოლოს შერცხვებაო.

ეს დიდი შეცდომილება არის, ჩატვანაც: პირველათ, როგორც ზემოთა ესთქვით, წინათ არ ვინ უწყის დარწუნებით, აქეს მას ტალანტი თუ არა (თუ კა, ძართალია, კაცი ცოტაოდენათ გრძელს და წინათ მჭერეტელობს თავის ძალას); მეორეთ, ვხედავთ ბევრ მაგალითებს, რომ ბევრნი კაცნი, ვსთქათ საშუალო ნიჭით, თუმცა, მართალია, ვერ ასახელებენ ხოლო თავიანთ თავსა გამოჩენილ საქმეებით, მაგრამ რა აც შეუფეხებიან მოწალინებით და ხალხისთ, ბევრჯერ აღვიდათ და კარგათ ავთლუვებენ ხოლო თავიანთ საქმესა, და მე ამედ, კაცთა ზომავენ საზოგადოებაში დაკიაყოფალებით მცს მოთხოვნილებისა, გაკეთებით სინიდისიანათ რომელიმე გვარის მათის საქმისა, და არა — მათი დიდი განათლებითა და ტალანტითა. თვით უტალანტოაც, მაგრამ ცატაოდენ ნიჭიერ კაცაც შეუძლიან, რომ გახდეს კეთილი წევრი საზოგადოებისა. ამათ კადეც რომ არამე დააშავონ, დიდი რამ არ მოხდება შესანიშნავი, არ დასცინებენ და არ გაკაცავენ საზოგადოებაში; მაგრამ ვაი იმ ტალანტიან გამოჩენილ პირთა, თუ კი ერთ რამეში ფეხი გადუპარუნდათ, მაშინ, თქვენი მტერი, ისინი გახდებიან ყველასგან თითოთ საჩერეფადები და გასაკაცანი. ნათქვამია: „რომლისთვის მიუწოდები, ბევრი, ბევრიც მოეთხოვება და რომლისთვის ცოტა, ცოტა მოეთხოვება“. ბევრჯერ საქმის დაძლევა წარმოსდგება ხოლმე არა იმდენათ დიდ ნიჭიერობისაგან, რამდენათაც მოხერხებისაგან. ხანდას-ხან საშუალო ნიჭიერი კაცი მოუტანს საზოგადოებას დიდ ნაყოფს და დაიმსახურებს მისგან დიდ მადლობას, მინემ ვამოჩენილი ტალანტიანი კაცი. აი რას სწერს ვამოჩენილი გუჯგრინი თავის ისტორიულ მოთხოვნისაგან.

რობებში შესახებ ფრანცისკ გერნერის ცხოვრებისა: „ის მოკვედა 38 წლისა და ჰქონდა დიდი გავლენა ხალხზე; უველას უყვარდა ის და, რომ გარდაიცვალა, უკელამ იგ-ლოვეს იგი. ორადროს პარლამენტს თავის მწერებისა-თვის არ უცა პატივი ისე, როგორც ამას. ეხლა უველა დამეკითხება, როგორ დაიმსახურა გერნერის ესეთი პატივი და გათქმულობა ქვეყანაზე:—თავის ჩინებით? ის იყო ელინბურგის უბრალო ვაჭრის შეილი და არა ჰქონ-და არც ერთი ჩინი. სიმდიდრით?—არც მას და არც მის ნათესავებს არ ჰქონდა ცოტაოდენც არის შეძლება. სამსახურით?—მას ჰქონდა ძალიან დაბალი აღგილი და ღებულობდა მცირე ჯამაკირსა. ტალანტით?—ის არ იყო გენიოსი და მაცვილ-გონიერი. მჭერ-მეტყველობით?—მის სიტყვებში არ იყო ორატორული ბრწყინვალება: ლაპა-რაკობდა წყარო და დინჯათ. მომხიბლავი მიხრამოხრით? —ის იყო წყარი მსვლელობაში. მაშ რითი?—გონიერო-ბით, სიმართლით, კარგი ჰაზრებით და კეთილი გულით, ე. ი. მთესებებით, რომელნც შეუძლიან იქონიოს ყო-ველმა კაცზა, თუმცა ჰქონდეს მას საშუალო ნიჭი. გერ-ნერი იყო დაბადებული მარტო მისთვის, რომ უჩვენოს ხალხს, როგორ და რითი დაიმსახურებს კაცი საზოგა-დოების პატივის-ცემას.

არის ერთი სენი კიდევ მრავალთა პირთა შორის; ეს გახლავს მათი გაუბედაობა და იმედის გადაწყვეტა. აეი-ლოთ მაგალითად გინდ ვაჭარნი, გინდ სამსახურის პირნი • და გინდ სხვა წოდების ხალხნი. ამათში არიან მრავალნი, რომელთაც, თუმცა სურსო (და საჭიროც არის ცხოვრებისა-თვის) საქმის დაწყობა: თუ ვაჭრობისა, თუ ხელოსნობისა,

წარმატება და სიმარტე საქმეში

თუ სამსახურისა, თუ მეურნეობისა, თუ სხვა-და-სხვა გვა-
 რისა, მაგრამ ამათ დიდ-ხანს აჩერებს და თვიქრებს
 ხოლმე რაღაცა ჩუმი და უსაფუძვლო გაუბედაობა, რო-
 მელიც წარმოსდგება უმეტესათ იმ მათი ფიქრიდგან, რომ
 უიმათოთაც არიან ბევრნი შემცილებელნი და მოხელენი
 და ვაი თუ ამისგამო, ფიქრობენ ისინი, ვერას-ვაკედეთ
 რაო. ეს სენი უფრო გავრცელებულია სამსახურის შოვ-
 ნის მსურველთა შორის; ესენი ამბობენ, როგორ გავ-
 ბედოთო ადგილის მოძებნაო და შოვნაო, როდესაც
 ყველგან უჩვენოთაც ბევრნი არიანო, არიან კიდეც და-
 წინაურებულნიო, უმეტესათ განათლებულნიო, პროტექ-
 ციის მქონენიო და სხვა და სხვა. ეს აზრი სწორეთ ქარ-
 თულ ანდაშას მოგვაგონებს: „მგლის შიშით, ცხვარი
 ეის გაუწყვიაო?“ იმედს იწყვეტენ უმეტესათ ხანში შე-
 სულნი პირნი, რომელთაც ახალ-ვაზდობის დროს რის-
 განმე არა გაუკეთებიათ-რა. ესენი ამბობენ: რაღა
 დროს ჩვენი შრომააო, რაღას ვეღიოჩებითო და ნაყოფს
 მოუტანთ ან ჩვენ თავსა და ან საზოგადოებასაო? კარგი
 იყოვო, რომ რამდენიმე წლის წინათ რამე გვეფიქრაო
 და საქმეს შევსდგომოდითო, მაშინ კიდევ იმედი იყოვო
 კა ეხლა რაღას ვუშველითო? ტუ თუ არ სცდებიან
 ით, რომ არ იციან: თუ კი აქობამდინ მათ ვერა-
 ფერ შეუძენიათ, ვერა-რა გაუკეთებიათ, ამის შემდეგ,
 თუ არ გამხნევდებიან და განძლივრდებიან სულით,
 უფრო ყოვლად შეუძლებელი იქმნება რაიმე მათვების.
 ამისთვის ნებით და უნებურათ უნდა იშრომონ, ვიდრე
 ექმნებათ უკანასკნელი ღონის-ძიება. ვნუკეშობთ კიდევ
 მით, რომ კაცის თავ-მოყვარეობა პატიოსანთ და ნიჭი-

ერთ კაცთა ას მისცემს ნებას, რომ სამუდამოთ მოვცენე
ივინი სიზარბაცის ღრმა ძილსა.

დაბოლოვებით მოვიყვანთ აქ სიტყვებს და რჩევას
ერთის გამოხენილის პირისას, რომელმაც აი რა სთქვა:
„თუ გსურსთ რაიმე საქმის დაძლევა, მაშინ თქვენ უნდა
იმეცადინოთ და მოიქცეთ ისე, როგორც რომ, ვსთქვათ,
იმეცადინებდით, ვით მყოფნი ხალხის ჯვუფსა შინა, მის-
თვის რომ გააპოთ გზა მიმყვანი ალაყაფის კარებამდე,
რომლებთანაც მიიღოთვიან ყველანი, მყოფნი ამ ხალხის
ჯგუფში. ამ დროს მტკიცეთ იდექით თქვენ ადგილზე,
მაგრამ ყოველთვის აბიჯებდით ხოლმე წინ ფეხსა: სრუ-
ლებით შედგომა და გაჩერება გზაზედ მოასწავებს იმედის
დაკარგვას, თუ არა სრულებით, ცოტა-ოდენათ მაინცა.
მოიხმარეთ ყოველი თქვენი გულ-მოდგინეობა და მხნე-
ობა იმ საქმეში, რაშიდაც გაქვსთ ნიჭი, იყავით კეთილნი,
სულ-გრძელნი, დიდათ მშრომელნი, ნუ გაუშვებო ხე-
ლიდგან კარგ შემთხვევებს, იყავით პატიოსანნი, იქნი-
ეთ იმედი ყოველ კეთილის-განზრახვით დაწყებულ საქ-
მეში. და თუ ვერას გახდეთ, მაშინ გარდაიცვლებით მაინც
დამშვიდებულის სინიდისით და იმ გრძნობით, რომ ყვე-
ლას ვაკეთებდით და ვცდილობდით, რაც ხელიდამ გა-
მოგვივიდოდათ. ეს არის პირველი და უმთავრესი პი-
რობა კეთილი საქმის ძლევისა, რომელიც ყველა კაცს
შეუძლიან ალასრულოს.“

გრიგოლ ზედგინიძე.

1881 წ. 10 თიბათვეს.

კიდევ მოგვიგაუსწონ ფინანსურის მიერთმისას მას
უცნებდით 0781 მოსახ იმარტინ ბაგაშვილი ცი
მც ქავებ მოსახ სახ () აუგვისთვის მარტინ ბაგაშვილი
მარტველთა შორის ჭარა-კიონვის გამავრცელე-
ბელი საზოგადოების მომავავა.

«Школа не въ школѣ, а въ политическомъ и обще-
ственномъ строѣ».

ეს ჩვენებულ სასწავლებლებზე ბასი მე ჩემის მხრით
ჩვენი ფურნალის მეორე ნომერში დაგვიტილი *) მოკლე
წერილით გაფართვე და ჯერ-ჯერობით მათზე ლაპარაკს
აღარ ვრაცხდი საჭიროთ, მაგრამ ზემოთ ნახსენები სა-
ზოგადოების მოქმედებისა გამო უნდა გამოვსთქვა რამო-
დენიმე სიტყვა საზოგადოდ სასწავლებლების მნიშვნე-
ლობაზე.

ხალხის კეთილ-დღეობის დედა-ბოძათ, უმთავრეს
ბურჯათ ბევრს აქამდის მიაჩნია, არათუ ხალხის განათლე-
ბა, არამედ მასში უბრალო წერა-კიონვის (грамотность)
გაფრცელება. სახელმწიფოს ძლიერებას განათლება შეად-
გნისო, ამბობენ ამისთანა პირნი, ჯერ გაანათლეთ ხალხ-
ი და კარგი წყობილების დარსებას, რიგიანი კავშირის
დაფუძნებას და მათ აღორძინებას ის მერე თითონ მო-
ახერხებსო. ეს აზრი, რომელიც სიტყვიერათ ხშირათ გაიმე-
ორება ხოლმე, გამოითქვა ჩვენ ლიტერატურაშიაც. მასსოეს
„დროებაში“ იყო მოწინავე სტატია, რომელსაც შკოლე-

*) იხილეთ «ჩვენებულ სასწავლებლების ახლანდელი მდგრადება».

ბის საჭიროების დასამტკიცებლად მოჰყავდა, ვითომ ფრან-
ცუზებისაგან გამოთქმული, აზრი მათის 1870 წლის ნემცე-
ბისგან დამარცხების თაობაზე: (*C'est maître d'école qui
nous a vaincu*) „ჩვენ დაგვამარცხა (გერმანის) სოფლის
შკოლის მასწავლებელმა“,—ვითამ ეთქვასთ დამარცხებულ
ფრანცუზებს.

შეშმარიტად უხეირო პოლიტიკული უნდა იყოს ის,
ვისაც ამ ნაირათ ესმის გერმანიელებისაგან ფრანცუზების
დამარცხება. შკოლის მასწავლებელმა ისე დაამარცხა სა-
ფრანგეთი, ორგორც ნემცების დისციპლინამ ან სხვა
კერძო რამ მოვლინებამ.

ახლა აღარავისათვის საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ
საფრანგეთი დაამარცხა და გააცუცურავა ნაპოლეონ ბე-
სამის მართებლობამ, რომელმაც გარევნა (деморализи-
ровалъ) საფრანგეთის საზოგადოება, დაასუსტა ძლიერნი,
წინ წამოაყენა უნიჭობა და სისაძავლე, საქებურათ გა-
ხადა მზევრაობა და მართებლობისათვის სამშობლოს
დალატი; საფრანგეთი დაღუპა იმ რევიმმა, რომელიც
ნამდვილ პატრიოტებს მამულს გარეთ და სატუსალოში
ჰკულავდა და საფრანგეთის ბედ-ილბალს ბაზენისთანა მუ-
ხანათ კაცებს აძლევდა ხელში.

სასწავლებლებით საფრანგეთი დიდ რევოლუციის
დროს, რასაკირვეველია, ბევრათ უღარიბესი იყო, მაგრამ
მაშინ არათუ თითქმის მოელ ეგრობას შებმა გაუბედა,
არამედ დიდებულ-გამმარჯვეთაც დარჩა.

ახლა გადავიდეთ ინგლისის სახელმწიფოზე. ეის არ
გაუგონია ამ სახელმწიფოს ძლიერება, მისი მცხოვრების
მუყიათობა (ენერგია) და საოცარი შრომის-მოყვარეობა?

ეს არ გაუგონია, რომ ინგლისის სახელმწიფო მთელს კერძაში პირველია, როვორც ხალხის სიმრავლით, ისე ადგილებით, რომ მისი სატახტო ქალაქი, ლონდონი, მცხოვრებლებთ რიცხვით ზოგიერთა პატარა სახელმწიფოების ოდენაა და სიმდიდრით კი ზოგიერთ მოზღიულ სახელმწიფოებსაც აჭარბებს, რომ მათი ფლოტი (გემების რიცხვი) მთელი კვროპის სახელმწიფოების ფლოტების ოდენაა; რომ ამ სახელმწიფოს წყობილებანი ზოგიერთ რესპუბლიკების წყობილობაზე წინ არიან; რომ იქ ხალხი თავისუფლათ განავებს თავის საქმეებს და მართებლობას არ შეუძლიან რამეში მას უარი უყოს; რომ ამ სახელმწიფოს თავისი სახაზინო ზანდუკები გატენილნი აქვს ოქროთი და სხვ. და სხვ? მაგრამ დავხედოთ, როგორი სასწავლებლები აქვს ამ თავისუფალ და მდიდარ ხალხს. *)

ჯერ რიცხვითაც ინგლისის შკოლები ეკროპის ზოგიერთა სახელმწიფოების შკოლებზე ნაკლები არიან. თითქმის ეკროპის ყოველ პროტესტანტულ სახელმწიფოში ექვსს სულს ერთი შაგირდი ეზრდება შკოლაში, ინგლისში კი 1803 წელში სწავლა-განათლების საქმე ბევრათ უარესს მდგომარეობაში იყო, ვინემ დღეს ჩვენშია. მაშინ ათ-ას-შეიძ-ას თორმეტ სულში (1712) ინგლისი ზღიდა შკოლაში მარტო ერთ ბავშვს, ახლა კი ცამეტ სულში მარტო ერთ შაგირდსა ზღის. რაც შეეხება იმას,

*) თავისუფლება და განსაკუთრებით სიმდიდრე აქ ნახმარია სხვა სახელმწიფოებთან უედარებით და ეკუთვნის მთელ სახელმწიფოს. სხვა-და სხვა წოდების მდგომარეობაზე ჩვენ აქ არა რას გაშებოთ.

რას ასწავლიან ამ სასწავლებლებში და ან რა გავლენა აქვთ
 შაგირდების ხასიათზე, ეს, რასაცირველია, ფრიად საინტერე-
 სოა. ინგლისელების აზრით ყაცის განათლებისათვის ძე-
 ლის ლათინური და ბერძნული ენების ცოდნასავით არა-
 ფრის ცოდნა არ არის საჭირო. ამისთვის სწავლების
 დროს უმეტესი მათი ყურადღება ამ საგნებზეა მიქცეული.
 შაგრამ ნუ იფიქრებო, რომ ძელი ენების შესწავლით
 ინგლისელებს ქონდეთ სახეში გააცნონ მოსწავლენი
 დაწვრილებით რომის და საბერძნეოს ცხოვრებას, ან
 ცდილობდნენ კლასიკურ თხზულებათა სიმშეენიერე და
 სილრმე გავეგბინონ მოსწავლეს. მასწავლებლები სცდი-
 ლობენ მხოლოდ, ასწავლონ ეს ენები იმოდნათ, რომ
 შაგირდებს შეეძლოთ ამ ენებზე არათუ კითხვა, არამედ
 ქადაგების და უესხმის წარმოთქმა, ასე გასინჯეთ, ლექს-
 ბის წერაც. არც ისტორიას, არც სამშობლო ენას, არც
 მათემატიკას და ბუნების საგნებს იქ დიდი მნიშვნელობა
 არ აქვთ. ერთი მსწავლული ამბობს: ინგლისელები რომ
 სასწავლებლებიდგან გამოსვლის შემდეგ არას სწავლობ-
 დნენო, გარწმუნებო, მეასედ მათგანს არ ეცოდინებო-
 და თუ სპეციალი, ბოკლი, ტეკერეი, მილი, ბაირონი და
 შექსპირი ინგლისელი მწერლები არიანო.

ინგლისის დაბალ სასწავლებლებში იმ ნაირათვე სუ-
 ფერს დღემდის ცემა-ტყეპა, როგორც ჩვენს ძელებურ
 სასწავლებლებში. გასაოცარი ის არის, რომ მათში არა-
 თუ მასწავლებლებს, უფროს შაგირდებსაც კი სრული
 ნება აქვთ ცემონ უნცროსს შაგირდებს. ხშირად შენიშ-
 ნავთ იქ, რომ შაგირდმა გაკცეოლი არ ეცოდეს იმიტომ,

რომ უფროსს შაგირდს საღმე გაუგზავნია, ან რამე საქმე უკეთებინებია, როგორც მოსამსახურისათვის, და მასწავლებელს ანუ სასწავლებლის მთავრობას ეს სრულიად უკანონოდ არ მიაჩნია.

მაღალი სასწავლებლებიც, უნივერსიტეტებიც, უკეთესი მოწყობილნი არ არიან. იქ მოსწავლე ღონით უფრო გამოიჩინს ხოლმე თავს, ვინემ სწავლით. უცელაზედ უფრო მოსაწონათ ის სტუდენტი მიაჩნიათ, ვინც რბენაც უკეთესი იცის სხვებზე, ნავით სეირნობაც და კრივიც. მონებრივი დამოკიდებულება სტუდენტებს შორის უმეტესადაც არის გავრცელებული, ვინემ დაბალ სასწავლებლებში. ინგლისში ყოველივე მამის უძრავი ქონება ხომ უფროსს ვაჟს რჩება ხოლმე მამის სიკვდილის შემდეგ. უადგილ-მამულო ყმაწვილები, როცა უნივერსიტეტში სწავლობენ, ნიაღავ მდიდარი ამხანაგების სიამოვნებასა სცდილობენ, რომ შემდეგში მათის წყალობით რამე ხეირიანი ადგილი იშოვნონ სამსახურში; ამისთვის ემორჩილებიან მათ და ემსახურებიან, როგორც ყურ-მოჭრილნი ყმანი.

თუმცა ადამიანის ამნაირნი გამრყენელი და დამმახინჯებელი წყობილებისა არიან ინგლისის სასწავლებელნი, მაგრამ ეს ქვეყანა მეცნიერებითაც და თავის მდიდრული ლიტერატურითაც თითქმის ევროპის უცელა სახელმწიფოებზე წინა დგას; ამ სახელმწიფოში აღიზარდნენ მთელი კაცობრიობის სასიქადულო პირნი: შექსპირი, ბაირონი, ვალტერსკოტი, ტეკერეი, ადამ სმიტი, სპენსერი, ბოკლი, მილი და სხვანი და სხვანი, რომელთა აზრნი

გზის სხივებივით ანათებენ და ათბობენ მთელს კაცობო-
ობას.

მეტათ საშტუხარო იქნება, თუ აქამდინ ნათქვამიღან
მკითხველი იფიქრებს, რომ სასწავლებლებს ჩვენ არავი-
თარ მნიშვნელობას არ ვაწერთ. უმოარჩილესათ ვით-
ხვეთ, ამას ნურავინ დაგვწამებს. ჩვენ მხოლოდ იმ აზ-
რისანი ვართ, რომ პირველ ყოვლისა ხალხის კეთილ-
დღეობისათვის სხვა რამ არის საჭირო და მერე ჩივი-
ანათ მოწყობილი შეკოლა. შეკოლაზე წინა დგანაა: ეკო-
ნომიური, პოლიტიკური და სოციალური ხალხის ჩივი-
ანი ვანწყობილებანი და შემდეგ სასწავლებელი. სანამ
კაცობრიობის ბედ-ილბალი იმ ნაირ გზაზე იდგება,
რომ ზოგს მეტის-მეტი სიმდიდრისაგან ჭკუა-გონება და-
კარგული ექმნება და უმეტესი ნაწილი კი დღითი-დღე
ლუკმა პურის მოპოვების ფიქრში იქნება. შეკოლას დიდი
მნიშვნელობა არ ექმნება. სანამდის ყოველი ადამიანი
არ მოიპოვებს სასწავლებელში აღზრდის საშუალებას, მა-
ნამდის შეკოლას ექმნება თითქმის ის მნიშვნელობა, რაც
კერძო პირს (**ИНДИВИДУУМЪ**) აქვს მთელ საზოგადოებაზე.
რასაკვირველია, საზოგადოებას და კერძო პირს ერთი-
ერთმანეთზე ყოველთვის აქვთ გავლნა, მაგრამ სა-
ზოგადოების გავლენა იმოდენათ დიდია, რამდენათაც
მცირეა კერძო პირის გავლენა. ამისთვის, უეჭველია, ყო-
ველი ხალხი საზოგადობრივი ცხოვრების რიგიან განწყო-
ბილებას უნდა სწირავდეს ყოველს თავის ლონის-ძიებას.

სანამ, ჩვენდა საუბედუროთ, საზოგადო ცხოვრების
კაუმჯობესობისათვის ხელ-ფეხი შეკრული გვექნება, ენა
მაგრა დაბმული და ჭკუა-გონება დატყვევებული, მანამ-

დის წყალ-წალებულებით ხავსს უნდა ვეკიდებოდეთ და, მცირეც იყოს, თუ სასაჩვებლო რამ დაეინახეთ, აღტაცებით უნდა მივეგებნეთ. სწორეთ ამ ნაირ გრძნობით მივეგებეთ ჩვენ 1879 წელს ჩვენში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებას. ყველამ, ვისაც კი ან თავის-თავი შესჭირს ან თავის მოძმე უყვარს და ებრალება, ყვე-ლამ, ვისაც კი საზოგადო სიკეთისათვის გული უძეერს, დიდმა და პატარამ, თავადმა და გლეხმა, „ჩინიანმა და უჩინომ“, ყველამ ისურვუაშ საზოგადოების წევრობა, ყველამ ერთმანეთს მისცა ძმურათ მხარი ხალხის სიბნე-ლიდგან გამოყვანისათვის. ეს აღტაცება, უეჭველია, მაინც და-მაინც დიდი საფუძვლიანი არ იყო: თუ სხვებ ჩვენი ცხოვრება არ შეიცვლებოდა, მარტო სასწავლებლებით, და ისიც კერძო საზოგადოების წყალობით გამართული სასწავლებლებით, ხალხის განათლების ხეირიანათ წინ წაწე-ვა, რასაკვირველია, შეუძლებელი საქმე იყო. ახლა ვნახოთ ამ ორი წლის განმავალობაში რა გაუკეთებია ამ საზო-გადოებას და საიმედო იქმნება ის ჩვენი ცხოვრების გა-უძლებელობისათვის, თუ უიმედო. მოვიხსენოთ ჯერ მი-ზანი საზოგადოებისა და მერე ეს, თუ რით და რო-გორ ასრულებს მას.

(ଲାକାଶର୍ଗୁଳୀ ଶେମଙ୍ଗେ ନେମେରୁଣ୍ଡି)

მიზანი და მიზანის მიზანი

რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი

რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი

რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი

რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი და რომელი

შინაური მიმოხილვა.

(დათასრული.)

უფრო სხვა ნაირი შთაბეჭდილება მოახდინა ჩეენ
მწერლობაზედ და საზოგადოებაზედ ქუთაისის საადგილ-
მამულო ბანკის კრებამ. მიზეზი ამისა, რასაკვირველია,
იყო, ერთის მხრით, ის, რომ კრება გაგრძელდა ნამეტან
დიღ-ხანს და შესდგებოდა თითქმის ათას-ორ-ასი კუცისა
და ქალისაგან, რომელთაგანაც რვა-ასამდის მეკენჭეები
იყვნენ, და, მეორე მხრით, კიდევ ის, რომ იმის ბაასი
იქამდის გაცხარებული იყო, რომ სატევრის ტრიალსაც
კი ადგილი ჰქონდა; ღრიალს და მეკენჭეების ერთმანე-
თის ლანძლვა-გინებას ხომ სამზღვარიც აღარ მოეპოვე-
ბოდა. ამისათვის ჩეენი პატივ-ცემული გაზეთი „ღროება“
და მასთან ცრუ-პატრიოტები ისეთს აღტაცებაში მოიყვა-
ნა ამ კრებამ, რომ საქვეყნოთ შექნეს ყვირილი, თუ დი-
ლი იმედი უნდა გვქონდეს დამყარებული მხოლოდ იმე-
რეთის თავად-აზნაურობაზედაც, თორემ ქართლ-კახეთის
თავად-აზნაურობა ჩეეულებრივი აპატიური ქცევით შეა-
სებ თავის საქმეებისა არავითარ ნუგეშს არ გვაძლევო;
განსაკუთრებით დიდს სიკეთეს უნდა მოველოდეთ პირ-

ველისაგან თემობისათვისაო (земство), როდესაც იქნება ჩვენში ეს შემოღებული, როგორც შემოღებულია რუსეთის სგა-და-სხვა ადგილებში...

სწორე მოგახსენოთ, ბევრს არაფერს არ უნდა მოველოდეთ არც ქართლ-კახეთის და არც იმერეთის ოვად-აზნაურობისაგან თემობისათვის, თუ შეცვლილი არ შეიქმნა ახლანდელი ჩვენი თავად-აზნაურობის სხვა წოდებებთან დამოკიდებულობა, მის მათზედ და თავისთავზეც შეხედულობა და, განსაკუთრებით, თუ ყველა წოდებების ეკონომიკური მდგომარეობა ცოტაც არის არ შეთანა-სწორდა... რა თქმა უნდა, რომ თემობა ანუ ერობა დიდათ სასურაელია ჩვენთვის და ძალიან კარგიც იქმნებოდა, რომ მისალებელი კი არ გვქონდეს ის, არამედ სუფეცეს კიდეც ჩვენში, მაგრამ, ვიმეორებთ, თავად-აზნაურობის მხრით ამ გვარი კეთილი საქმისათვის და ახლანდელი წყობილობით, სიკეთეს კი-არა, თითქმის ზარალსაც უნდა მოველოდეთ. რუსეთშიაც არის, თუ სულ-ყოველგან არა, უმეტეს ნაწილ ადგილებში მაინც, ერობა, მაგრამ იქაურ თავად-აზნაურობას კი მისთვის თითქმის არაფერი გაუკეთებია და იმავე მიზეზით, რომელიც ჩვენ ზევით მოვისხენეთ და რომელიც დიდ ზღვარს სდებს მის და სხვა წოდების ხალხს შეა.... განსაკუთრებით იმერეთის თავად-აზნაურობისაგან ძნელი მოხალოდნელია რაზე სიკეთე თემობისათვის, როდესაც ვხედავთ) მათ და ვლეხებ-შეა შეურიგებელ განხეთქილებას და მამულების თავობაზედ ჩეხა-ქლეტას. არა სათობით და დღეობით გაგრძელდებიან ხოლმე იქ ამ გვარი ომები, როგორც ეს ხდება ხოლმე ქართლ-კახეთში, არამედ

მთელი კურიაობით და თითქმის თვეობითაც, რის მაგალით-
 დაც ღლესაც ქართული სენაკის მაზრაში — თავადთ მიქელა-
 ძეთ და მთელი სამი სოფლის გლეხები-შესაბამის მის რომ ზედ დაუმატოთ ის შეხედულობაც, რომელიც სუფეს
 ჩეენს თავად-აზნაურობაში საზოგადოთ და იმერეთის თა-
 ვად-აზნაურობაში კერძოთ, შესახებ სხვა წოდების ხალ-
 ხისა, მაშინ ხომ ნათლათ დაინახავთ, თუ რა კეთილს
 უნდა მოველიდეთ მისგან თემობისათვის. პირათ თუ ალ-
 ვიარებენ და ისც ზოგიერთნი კეთილ-მობილი დაბალ
 ხალხთან ძმობას და ერთობას, თორემ საჭით ღმერთმა
 შაინახოს. ამის დასამტკიცებელი ფაქტები ისე ბევრი არიან,
 რომ მათი ჩამოთვლა ძნელია და მოინდომებდა ძალიან
 დიდ ღროსაც. ჩეენ სამყოფათ ესთელით ამ ღროებით
 მოვიყანოთ მხოლოდ ერთი ამ გვარი ფაქტი, რომელიც
 თვით იმ კრებას ეკუთნის, რომელმაც გამოიწვია ეს ჩეე-
 ნი ბაასი. ამ ფაქტს შეადგენს ის აზრი, რომელიც სხვათა
 შორის გამოითქვა ქუთასის საადგილ-მატულო ბანკის
 კრებაზედ შესახებ „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გა-
 მარცელებელი საზოგადოებისათვის“ შემწეობის მიცემისა.
 ჯერ ხომ ამ საგანზედ თათქმის არაფერი ითქვა — ამ ნაი-
 რათ უყურადღებოთ დაგდებული შეიქნა — და ისიც, რაც
 ითქვა, უმჯობესი იყო, რომ არ თქმულიყო. მოხსენებული
 „საზოგადოება“ ლირი არ არის შეწევნისაო, რადგანაც
 ის მხოლოდ საგდეხო შემოლებს ესმარებათ, გამოითქვა
 კრებაზედ და ასც რაჟე მიეცა მას („საზოგადოებას“),
 თუმცა ბანკის ზედამხედველი კოშიტეტისაგან შედგენილ
 პროექტში დანიშნული იყო ამ საგანზედ ათასი მანეთი.
 ჩეენ სრულიად თანახმანი ვართ იმისა, რომ „საზოგადოე-

შინაური მიმოხილვა

ბის“ მეთაურებს აკლიათ ენერგია, რომ ისინი მარტო წიგნების გაგზავნით ეხმარებიან სასოფლო შკოლებს და სხვა არაფრით, რა ნაირი აზრიც ამასთანავე გამოითქვა კრებაზედ; მაგრამ შემწეობაზედ უარყოფის საბუთათ ზემოხსენებული აზრის მიღებისა კი რა მოგახსენოთ! ძალიან ცუდი უნდა იყოს ის საბუთი, რომელიც არ ეთანხმება ჩვენ დროს და განათლებას და რომელიც სდებს დიდ ზღვარს ხალხის სხვა-და-სხვა წოდებებ-შუა! ეს საბუთი, ოუმცა გამოითქმული იქმნა უნიკოლაძისაგან, მაგრამ, ეჭვი არ არის, ეკუთვნის თითქმის მრთელ იმერეთის თავად-აზნაურობას, რაშიაც ცხადათ გვატკიცებს ის, რომ თითქმის ერთ-ხმათ მიღებული იქნა. — რასაკვირველია, სამწუხაროა ჩვენთვის, რომ ჩვენი საქებური ნიკოლაძე ეჭვის თვის განმავლობაში სამშობლოს გარეთ ცხოვრებამ, ადმინისტრაციული განკარგულებით, ასრე გამოგვიცვალა, მაგრამ, სწორე მოგახსენოთ, უფრო სამწუხარო ის არის, რომ თითქმის მრთელი იმერეთის კეთილ-შობილობა ამავე აზრისა იყო, არის და, უგონებთ, კიდევაც დიდ-ხანს იქნება. ჩვენი თავად-აზნაურობა საზოგადოთ და იმერეთისა კერძოთ თავის დაცემას თითონევე სცდილობს, ზრუნავს გლეხ-კაცობისა-გან გაცალკევებაზედ, იშენებს სხვა-და-სხვა ზღუდეებს თავის ცხოვრების ასპარეზზედ და ავიწყდება, რომ ეს ზღუდეები, ავათ თუ კარგათ ბატონ-ყმობის დროს გამოსა-დევნი, არამც-თუ ძალიან უდგნობელნი და გამოუსადევნი, არამც მისთვის ჩვენს დროში, არამედ მავნებელნიც გარნი არიან მისთვის ჩვენს დროში, არამედ მავნებელნიც ამისათვის არის, რომ გლეხ-კაცობა უყურებს თავად-აზნაურობას არა როგორც ძმას, არამედ როგორც

მტერს. თავადს ან აზნაურს რომ სახლი ეწოდეს, ან ვენახი თავის დროზედ არ უკეთდებოდეს, ან ყანა მოუმკე-
 ლი და გაულენელი რჩებოდეს და გლეხი კისრულიად მოც-
 ლილი იყოს — ფასითაც ხშირათ არ ეხმარება ხოლმე. აი
 ნაყოფი სხვა-და-სხვა წოდებების ერთმანეთისაგან გაცალკე-
 ვებისა, გაყოფისა. თუ თვითონ ვერ მიმხვდარა ჩვენი თა-
 ვადა-აზნაურობა, რა რიგათ მოიქცეს, რომ კარგათ წაიყ-
 ვანოს თავის ცხოვრება, ყური მაინც დაუგდოს რუსეთის
 თავად-აზნაურობას, რომელიც ალაგზალაგ გლეხობასთან
 შეერთებას სცდილობს, და მიბაძოს მას. თუ მაინც-და-
 მაინც უთავბოლო ცხოვრების სურვილს გაუტაცნია ჩვენი
 კეთილ - შობილები და ვერ ურიგდებიან ახლანდელს
 ცხოვრებას და მის მოთხოვნილებას, ნება მათია, რო-
 გორც უნდოდესთ, ისე მოიქცნენ თვითონ, მაგრამ თა-
 ვიანთ ღვიძლზედ ნადებ შვილებს მაინც რას ერჩიან, რომ
 უგვანო აზრებით შესახებ თავიანთი წოდების უწარმატებუ-
 ლებობისა უმეტეს ნაწილათ სწავლა-განათლებაზედ გული
 უცრუვებენ, მუშაობისაგან შორს აყენებენ და მით უხს-
 ნიან ვრცელს გზას სხვის ხელში შემაყურებელ პროლე-
 ტარიატობისას.....

ის გარემოებები, რომ დიდ-ხანს გავრცელდა ქუთა-
 ისის საადგილ-მამულო ბანკის კრება, რომ ამ კრებაზედ
 დიდ-ძალი მეკენჭები და მაყურებლები დაესწრნენ და
 ნამეტანი გაცხარებული ბასი ჰქონდათ, სრულიად არაეი-
 თარ უფლებას არ გვაძლევენ მაზედ, რომ აღტაცებაში
 მოვდიოდეთ მათგან, თუ კი ცოტაც არის დავიქრდებით
 და გამოვიყვლევთ მათ მიზეზებს. ჩვენ გვჯერა, რომ ად-
 გილობრივი ბუნების პირობების წყალობით იმერეთის

ზალხს საზოგადოთ და თავად-აზნაურობას კერძოთ და განსაკუთრებით არ აკლიათ სიცხოველე, მაგრამ ყოველ-გვარი მის მოქმედების ამაზედ და მხოლოდ ამაზედ დამ-ყარება ძალიან შეცდომაა. ისტორია მოგვითხრობს, რომ იმერეთის ხალხს სიცხოველე ყოველთვის ჰქონია, მაგრამ იმისაგან კი კეთილი არა გამოსულა-რა. ვისაც ეს ჩვენი სიტყვები არ სჯერა, კონკრეტული გადავლის „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილს და დარწმუნებული ვართ, რომ დაგვეტანხმება. იმისთანა სიცხოველე, როგორიც იმე-რეთის ხალხმა და განსაკუთრებით თავად-აზნაურობამ გამოიჩინა დარეჯან იმერეთის დედოფლის დროს, თითქ-მის მეორეთ აღარ გამოუჩენია იმას, მაგრამ რა გამოვიდა აქედგან ბოროტ მოქმედებაების მეტი? საქმე სიცხოვე-ლეში კი არ მდგომარეობს, არამედ ამ სიცხოველის კე-თილ-მიღრეკილებაში. ამ გვარ მიღრეკილებას კიდევ ჩვენ სრულიად ვერ ვხედავთ იმერეთის თავად-აზნაურობის სიცხოველე ში ბან კის კრებაზედ. თვითვეულს ზემოხსენე-ბულს გარემონტაბას აქვს თავის საკუთარი მიზეზი, რომე-ლიც, თუ კი გამოვიკვლევთ, ბევრს არაფერს სანუგეშოს წარმოგვიდგენს. კრება გაგრძელდა დიდ-ხანს იმიტომ, რომ თავად-აზნაურობა იკრიფებოდა ნაყიშ-ნაყიშათ; ბევ-რი მეცნიერები და მაყურებლები იყვნენ იმიტომ, რომ იმერეთში თავად-აზნაურობა ძალიან ბევრია; ნამეტანი გაცხარებული ბაასი ჰქონდათ კრებაზედ, სატევრების ტრიალი და ლანძლვა-გინება კიდევ იმიტომ, რომ პარტი-ობა და ინტრიგობა თამაშობდნენ უპირველეს როლს, როგორც თვითონვე „დროება“ გვატყობინებს. დაუმატეთ ამაებს ისც, რომ იმერეთის თავად-აზნაურობის უმეტეს

ნაწილს ბევრი აჩაფერი ეხარჯება თავის ჯიბიღგან ქუ-
 თაისში ჩასასვლელათ და კრებაზე დასასწრობლათ, რაღ-
 ვანაც, როგორც „ღროვებავე“ გვაუწყებს, გზის ფული
 ბანკის სამოსამსახურო პირების კანდიდატების მხრით ეძ-
 ლევა და იმათვანვე მუქთი სადილ-ვახშამი და თეატრის
 ბილეთები მოვლის, და ერთი მიბძანეთ, თუ ღმერთი
 გრწამთ, რას ხედავთ აქ საიმედოს მომავალისათვის?! მი-
 ღეთ ამასთანავე მხედველობაში ისიც, რომ იმერეთის
 თავად-აზნაურობა, გაფანტული მთებში, ღრეულებში და
 ტყეებში, მოკლებულია ხშირს მიმოსვლას ქუთაისში და
 ხილათ მიაჩნია წელიწადში ერთხელ-ორჯერ იქ მისვლა;
 რომ ის აქამომდე მისდევს ხოლმე მეთუთხმეტე თაობამ-
 დის ნათესაობას, ნათლიობას, მოყვრობას და ძიძის-შვი-
 ლობას, რაც მას შეძლებას აძლევს ჯიბის დაუფენთხლათ
 იმოგზაუროს მრთელი ოჯახითაც კი; რომ იმას სახლ-
 კარზედ და მამულზედ იმდენი ზრუნვა არა აქვს, რამ-
 დენიც იმაზედ, რომ საზოგადოებაში თავი გამოიჩი-
 ნოს, თუ წოდებით, თუ ჭკუით, თუ ლაპარაკით, თუ
 ცხენით, თუ ტანისამოსით, თუ იარალით და სხვა რამით,
 — და მაშინ ცხადათ დაინახავთ, რომ ზემოხსენებულ გა-
 რემოვებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ. მართა-
 ლია, ერთის შეხედვით თითქო სწავლა-განათლებაში წინ
 იწევს იმერეთის ხალხი საზოგადოო და იქაური თავად-
 აზნაურობა კერძოთ — სასწავლებლები, ქალაქებში თუ
 სოფლებში, გატენილნი არიან მოსწავლეებით და ბანკის
 კრებაც აქცევს თავის ყურადღებას ზოგიერთ მათვანს
 ბანკის შემოსავლიღგან დახმარებით, მაგრამ ეს საქებური
 გარემოებაც ისეთი მიზეზებით არის გამოწვეული, რომ-
 ლებიც მაინცა-და-მაინც არ გვაძლევენ საკმაო საბუთს,

რომ გვქონდეს შეუჩეველი იმედი მისგან იმერეთის მო-
 მაგალში წარმატებისა, თუ უფრო მაგარ ნიადაგზედ არ
 იქნა დამყარებული. ჯერ ერთი ისა, რომ ბანკის შემო-
 სავლისაგან დახმარება ხვდება ისეთ სასწავლებლებს, რომ-
 ლებშიაც სწავლობენ თითქმის მხოლოდ თავად-აზნაუ-
 რების შეილები, და, მაშასადამე, კრება ზრუნავს მხოლოდ
 თავის შეილებისათვის, რასაც თვით ბუნება ითხოვს; მე-
 ორეც ისა, რომ სასწავლებლებში შემსვლელ იმერელ
 ყმაწვილებს მოცილები არა ჰყავს, არამაც თუ სხვა ტო-
 მების ყმაწვილებში, არამედ თვით ქართლ-კახეთის ყმაწვი-
 ლებშიაც, და, მაშასადამე, თითქმის ყველა ვაკანციებს
 თითონ იჭერენ იმერეთის სასწავლებლებში, მაშინ რო-
 დესაც ქართლ-კახეთი მოკლებულია ამას რუსების და
 სომხების ცილაობით, რომლებსაც უფრო ბევრი სახსრები
 აქვსთ აქაურ სასწავლებლებში შესასვლელათ უკეთესათ
 მომზადებისა. მესამე კიდევ ისა, რომ იმერეთის ხალხს ჯერ-
 ჯერობით მაინც უფრო იაფათ უჯდება სასწავლებლებ-
 ში ყმაწვილების გამოზრდა, მინამ ქართლ-კახეთის ხალხს,
 და აი როგორ: იქ ხშირათ თავიანთი ხელით აშენებულ
 ქოხებშიაც თავსდებიან მოსწავლეები, უმეტეს ნაწილათ
 საჭმელს თითონ იკეთებენ თავიანთოვის, ფეხ-შიშველა და
 ტან-შიშველაც ხშირათ დაიარებიან სასწავლებლებში,
 ზოგნი კიდევ იზრდებიან ნათესაობის, ნათლიობის, მოყვ-
 რობის და ძიძი-შეილობის წყალობით, რომლებიც, რო-
 გორც ზემოთა ესთქვით, ძალიან პატივის-ცემაში არან
 თითქმის მეთუთხმეტე თავობამდის; აქ კი უოცელივე ეს
 შეუძლებელია სხვა ნაირათ ცხოვრების მსვლელობის
 გამო, და საკმაოდ ძეირათაცა ჯდება ყმაწვილების სასწავ-
 ლების გადასაცემა

ლებლებში გამოზდა. მეოთხე და უკანასკნელიც ისა, რომ იმერლები დაუდვრომლათ ცდილობენ ყმაწვილების სასწავლებლებში შეყვანას არა სწავლა-განათლების წყურვილისა-გამო, როგორც ჩვენი ცრუ-პატრიოტები ფიქრობენ და ქადაგებენ, არაშედ იმისათვის, რომ „თითო-ორობრა რუსული შეისწავლონ და მერე რამე სამსახურში შევიდნენ“, არადგანაც სამსახურის სარბიელი გახსნილია იქ ორ-სამ კლას შესრულებული კურსილებისათვისაც; ამას ცხადათ გვიმტკიცებს როგორც ის, რომ ძალიან ცოტა კურსილები ჰყავს იმერეთს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გამოზღიულები, შედარებით დაბალ სა-სწავლებლებში მოსწავლეების რიცხვთან, აგრეთვე ის, რომ თითქმის ყოველ-გვარ სამსახურის სარბიელზედ ნახავთ იქ მხოლოდ დაბალ-კლასებში კურს შესრულებულებს და შეუსრულებლებს; ასე გაშინჯეთ, თითქმის ყველა ადგილები გუბერნიის სამმართველოდგან დაწყებული სოფლის სამმართველომდის სულ საცე არიან ამ გვარი სწავლა შეუსრულებელი მოსამსახურეებით; ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ზოგიერთ მათგანებს ძალიან კარგი ადგილებიც უჭირავსთ ყოველ-გვარ უწყებებში, სამხედროში გნებავთ თუ სამოქალაქოში, სასულიეროში თუ სასამართლოში, სამასწავლებლოში თუ საგზებოში. ეს გარე-მოებები, რომლებიც შეადგენენ ამ დროებით პირობებს იმერლების ვითომც და სწავლა-განათლებისადმი ლტოლვილებისას და ხდებიან მის მხოლობით მიზეზებათ, შეიძლება დროთა განმავლობაში, სულ ტყუილა-უბრალო შემთხვევებისა-გამო, მოისპონ და ერთ შშეენიერ დილას სრულიად ალარ სუფევდნენ. ამ შექთხვევაში, რასაკვირ-

ველია, იმერეთი დარჩება, როგორც იტყვიან, შშრალზედ
და, მაშასადამე, ბევრს არაფერ სანუგეშოს უნდა ვხდეთ-ვ-
დეთ იმ გარემოებაში, რომ იმერეთის სასწავლებლებში
ბევრი მოსწავლეები არიან და იქაური თავად-აზნაურობა
ეხმარება ზოვიერთ მათგანს ბანკის შემოსავლიდგან. შემ-
დეგ ამისა, დარწმუნებულნი ვართ, ყველა დაგვეთანხმება,
რასაკირველია, ცრუ-პატრიოტების გარდა, რომ არავითარი
შე ჩვენ დასავლეთ-საქართველოდგან არ ამოგვდის, როგორც არ
ამოგვდის იგი აღმოსავლეთ-საქართველოდგან, და, თუ მხედ-
ველობაში მიეიღებთ იმ განხეთქილებას, რომელიც სუფეს
დასავლეთ საქართველოს საზოგადოებაში და თან-და-თან
უფრო ცხადათ აშკარავდება იქაურ საადგილ-მამულო ბან-
კის კრებებზედ, იმ ჯოუტს და სასიკვდილო ბრძოლას, რო-
მელიც გაუთავებელი შეიქმნა „ლოლობერიძისტების“ და
„ბაქრაძისტების“ შორის, არც მალე ამოგვივა. ტყუეილათ
იცხელებს თავს ეურნალი „ივერია“ (იხილეთ № 7-ში
სტატია — „ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის კრება“),
თანახმად „დროებისა“, და სცდილობს, ჩვეულებისა-მებრ
თვისისა, მოახვიოს თავზე ყოველივე, რაც კი ცუდი რამ
ხდება ქუთაისის ბანკის კრებებზედ, „ბაქრაძისტებს“ და გან-
წმინდოს ცოდვათაგან „ლოლობერიძისტები“. ჩვენ სრული-
ად წინააღმდეგს ვხედავთ და აი რა მოსაზრებით.

ის გარემოება, რომ განსვენებულმა ბ. ლოლობერი-
ძემ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წესდება შეაღვინა,
იმერეთის თავად-აზნაურობის თხოვნით, და „არჩა სახელმ-
წიფო სამსახურს საზოგადობრივი“, რასაკირველია, იმიტომ,
რომ ექვს-ას-რევა-ასი თუმანი სჯობს სამას-ოთხას თუმანს,
სწორე მოგახსენოთ, არაფერ შეურყეველ საბუთს შეად-

გეს მისთეის, რომ გვერდში მოცილეთ აღარავინ ამო-
 ლეომოდა მას, ან ხმა არ ამოცლო ვისმე შესახებ მისგან
 შედგენილის წეს-დებისა და მით უმეტეს მისთვის, რომ
 სამეტყვიდრეოთ მისცემოდა მას ბანკის მმართველობა.
 აგრეთვე ის გარემოება, რომ უ. დ. ბაქრაძე მოცილეთ
 გამოუჩნდა ვანსკენებულ ლოლობერიძეს და „მესამე სოჭ-
 ტის ცოდნით შემჯულმა ერთმა მწერალმა“ დაიწუნა მისგან
 შედგენილი წეს-დება სრულიად არავის ნებას არ აძლევს
 იფიქროს, მით უმეტეს საქვეყნოთ გამოთქვას, ვითომც
 ამ „ახალ-თაობის პარტიას“ მაინც-და-მაინც „ავილე და აღარ
 მოგეცის“ ბანკის დაფუძნება სურვებოდეს და სურდეს.
 ამ გვარი მკვახე სიტყვების კასიმე შესახებ წამოსაროლის
 უფლება შეოლოდ მაშინ ეძლევა საზოგადოებას, თუ
 კერძო პირს, როდესაც საქმით გამოცდილი იქნება ეს
 კანკე და მის უვარებისობა დამტკიცებული. შედარებით
 კი რომ ავილოთ ლოლობერიძის და ბაქრაძის მათ მომხ-
 რებითურთ მოქმედებები, დავინახავთ, რომ პირველი და
 მის მომხრეები ბევრათ აჭარბებენ უკანასკნელს და მის
 მომხრეებს გასაკიცხი საქმეებით. თუ მართალია და ბაქ-
 რაძეს დაეხარჯა მომხრეების მოსაპოვებლათ სამ-ას თუმ-
 ნამდის, უკეთელია, ლოლობერიძეს ორ-ჯერ ამოდენი
 უნდა დახარჯოდეს, რადგანაც უკანასკნელს პირველზედ
 ორჯერ მომეტებული მომხრეები ჰყვანდა. თუ ბაქრაძის
 მომხრეები ყვირილით ეხმარებოდნენ თავიანთს კანდი-
 დატა, ლოლობერიძის მომხრეები ლანძღვა-გინებით და
 სატევების ტრიალით იცვალნენ თავიანთ კანდიდატს და
 სუსტს აძლევდნენ მის მოწინააღმდეგეს. თუ ბაქრაძის
 აკერტები სადილებით შოულობდნენ მის მომხრეებს,

შინაური მიმოხილვა

ლოლობერიძის აგენტები არ ზოგავდნენ ამ გვარი საქმი-
სათვის არც სადილებს, არც ვახშებს და არც თვატრის
ბილეთებს. თუ „ბაქრაძისტები“ უგდებდნენ ხრიკებს ლო-
ლობერიძეს სიტყვიერათ, „ლოლობერიძისტებმა“ კიდევ
ისეთი ხრიკი უგდეს ბაქრაძეს საქმით, რომ ჩვენ
დროში ძნელად წარმოსადგენი და მოსალოდნელი
იყო. ვისაც როგორ ნებავდეს—ისე იფიქროს და ჩვენ
კი არ შევგიძლიან „ლოლობერიძისტების“ იმ საქმეში
გამართლება, რომ ვიღაცა ქალმა საქმით შეურაცხყო-
ფა მიაყენა ბაქრაძეს კრებაზედ. რაღა იმ დღეს და თი-
თქმის იმ ეამს მოხდა ეს, როდესაც კენჭისყრა უნდა
ყოფილიყო, თუ არაფერი დამოკიდებულობა არ ჰქონ-
და „ლოლობერიძისტებთან“?! კრება გაგრძელდა მთელი
თორმეტი დღე და, თუ ხსენებულს ქალს რამე გულის
ჯაერი სჭირდა ბაქრაძისა და უნდოდა საზოგადოება-
ში მისი შერცხვენა, რატომ რომელსამე წინა დღეში არ
მოახდინა ეს საქმე? აი კითხვა, რომელიც აუხსნელი რჩე-
ბა და ეჭვს ქვეშ აკდებს „ლოლობერიძისტებს“. ეს ეჭვი
უფრო საფუძვლიანი წარმოგვიდგება, თუ მხედველობაში
მივიღებთ იმ შემაძრწუნებელ შემთხვევას, რომელიც
იმხდარა დ. ხონში შემდეგ კრებისა და რაღაც მანქა-
ებით გამოუშკარავებელი დარჩა „დროებაში“, წინააღმ-
ეგ ამ უკანასკნელის ჩვეულებისა. ამბობენ, ვითომც
ჩთ „ლოლობერიძისტს“ ერთი „ბაქრაძისტკისათვის“ კარ-
ი ლაზათიანი სილა უჭმევია ლოლობერიძის ვაკიცხვისა-
ვის. ეს შემთხვევა რომ ონს ეკუთვნოდეს და არა ხონს,
აშინ შეიძლებოდა უყურადლებოთ დარჩენილიყო, რად-
ანაც ბაქრაძე რაჭველია, მაგრამ რადგანაც ხონს ეკუთ-

ენი, სადაც უფრო ბევრი „ღოღობერიძისტები“ არიან, მინამ „ბაქრაძისტები“ უსამართლობა იქნება, რომ არ მივაქციოთ ყურადღება. შემდეგ ამისა, თქვენ თვითონ იღიქრეთ, ვინ უფრო სტუურის—ბაქრაძე თავის თანამგრძნობელებით, თუ ღოღობერიძე თავის მომხრეებით. ის გარემოება, რომ უმეტესობა თავად-აზნაურობისა ღოღობერიძისკენ იყო და არის, რასაკვირველია, არაფერს არ ამტკიცებს გარდა იმისა, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენის თავად-აზნაურობისა, სამწუხაროდ ჩვენდა, წინ წასვლის მაგიერ უკან მიღის და ფულებზედ, თუ საღილებზედ სინიდისს და პატიოსნებას ჰყიდის. ის გარემოება კიდევ, რომ ღოღობერიძეს არა შეუჭამია-რა ბანკისა და ბანკს მოუფის მის ხელში რამდენიმე ათასი მანეთი, სრულიად ფულებას არ აძლევს არავის ბრმად ემონებოდეს მას, როგორც ის გარემოება, რომ ბაქრაძეს ჯერ არაფრით არ დაუმტკიცებია თავისი ბანკის სამმართველოდ უფრო ვარგითობა, არავის ნებას არ აძლევს მის განკიცვისას და ლანდლა-გინებისას. ბანკი იმისათვის არის დაარსებული, რომ ფული მოიგოს, მაგრამ სულ სხვა არის, თუ უფრო ბევრს მოიგებს; ის დრო კიდევ წავიდა, როდესაც ბანკის ფულებს სჭამდნენ მმართველები და არავისი და არაფრისა არ ეშინოდათ...

ვსწუვეტო აქ ჩვენს წლევანდელ თბილისის და ქუთა-ისის ბანკის კრებებზედ ბაასა, რომელიც ასრე ძლიერ გა-გრძელდა, რისათვისაც ბოლიშს ეითხოვთ მკითხველებთან, და ვისურვებთ ჩვენი თავად-აზნაურობისათვის უფრო კე-თილ-სინიდისიერათ და შეერთებულის ძალით თავის საქ-მეების წაყვანას, რათა მართლაც და მზე ამოგვივიდეს საიდგანშე.

მიხეილ გურგენიძე.

თუ რეალურობის თუ მუცოდენის ა
 საფუძველი არ არის უფრო გარეულოვანი ან მატერიალური ა
 როგორიც არ არის მიზანი - ისტორიული იმპერია მაგრა თუ
 როგორიც არ არის მიზანი - ისტორიული იმპერია მაგრა თუ
 როგორიც არ არის მიზანი - ისტორიული იმპერია მაგრა თუ
 როგორიც არ არის მიზანი - ისტორიული იმპერია მაგრა თუ

3 ღ ლ ლ ი ტ ი პ ა.

არ გვეშვება კიდევ საქმე და, მეტი ღონე არ არის,
 უნდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ პოლიტიკაზედ. თორემ
 მაინცა-და-მაინც ჩვენი საქმე არ არის პოლიტიკა. სად
 ქართველი კაცი და სად პოლიტიკაზედ მსჯელობა. მე
 მოგახსენებთ იმ პოლიტიკაზედ, რომელიც შეიცავს მრა-
 ვალს საგნებს სახელმწიფოს შინავანს ცხოვრებაზედ და
 მის დამოკიდებულებაზედ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა
 მიმართ. ჩვენ კაცს ზედ-მიწევნით ეყურება სულ სხვა ნა-
 ირი პოლიტიკა. ვინ ვის უფრო ხერხიანათ მოატყუებს,
 ვინ ვის უფრო გაიძვერულათ დაუბლართავს გზებს, ქლე-
 სურათ ჩააბავს რამე სისამაგლეში — აი ცნებანი და
 წარმოდგენანი, რომელნიც ებადებიან ჩვენ კაცს თავში,
 როცა ჩამოვარდება ლაპარაკი პოლიტიკაზედ. — პოლიტი-
 კა კაციალ, — ამბობს ქართველი ქლესა, გაიძვერა, გარეგ-
 ნობით ზღილობიანს, მაგრამ გულში ბოროტ-განზრახუ-
 ლებით სავსე კაცზე. რომ კაცთა-შორის ურთი-ერთობის
 მაგივრათ წარმოვიდგინოთ ურთი-ერთობა სახელმწიფო-ე-
 ბისა, იქაც შევამჩნევთ, რომ ერთი სახელმწიფო უფრო
 გაიძვერაა, ვიღრე მეორე. ერთი მოხერხებულათ, ქლე-
 სურათ იქცევა და თავის საქმე კარგა მიჰყავს და მეორე

კი მოტყუფული და მასხარად აგდებული რჩება. ცხადია
 რომ კერძო ცხოვრებაში პოლიტიკა კაცი საზიზლარი უნ-
 და იყოს, გარნა ხალხთა-შორის ცხოვრებაში—სისაძგლე
 კი არა—მამულის წინაშე დიდად მიჩნეულიც იქნება იმ
 სახელმწიფოსათვის, რომელსაც მან სარგებლობა მოუ-
 ტანა, იმას კი, რასაკვირველია, აღარავინ დაეძებს შეესა-
 ბამება თუ არა უზენაესს სიმართლეს და ჭრიანიტს ზე-
 რბას მისი ჭრევანი და პოლიტიკური რწმენანი. როდესაც
 რომელიმე სახელმწიფო განძლიერდება და გალონიერდე-
 ბა, მაშინ მომიჯნავე სახელმწიფოთა დარღს და ნალველს
 სამზღვარი აღარ აქვს. ყოველმა მათგანმა კარგათ იცის,
 რომ გაძლიერებული სახელმწიფო თავის ჭრებში არას-
 დროს არ დადგება და თავის დღეში იმ კეთილ-გონიე-
 რებას და ზომიერებას არ გამოიჩინს, რომ თავისი ძალა
 თავის შინაგან ცხოვრების გაუმჯობესობას და განკარგე-
 ბას მოანდომოს და მათი დაჩაგვრა არ მოინდომოს. რა-
 საკვირველია სასიმოვნოა, რომ ყოველი სახელმწიფო თა-
 ვის დიდებაზე და თავის ერის განძლიერებაზე ფიქრობ-
 დეს, თუ კი მეტად შესაზარ გაიძვერაობას და ცულლუ-
 ტობას არ მისდევს და წრეს გარეთ არ გადადის. კაცის გუ-
 ლი ხარბიაო, იტყვიან, მაგრამ სახელმწიფოსი—კიდევ უარე-
 სია. რაც უნდა გაფართოებული ჰქონდეს სამზღვრები,
 რაც უნდა წინ მიიწევდეს განათლების და ბენდინირების
 გზაზე, მაინც კიდევ სხვას უდგია კრიჭაში, მაინც კიდევ
 იმ ფიქრშია დღე-მუდამ ვის და საღ გამოვკრა კლანჭიო,
 ვის და როგორ წავართვა ლუკმა პირიდამაო, ან კიდივ
 როგორ სრულიად დავამხოო, წავართვა თვითება, დაუმო-
 კიდებლობა, მოუსპო საკუთარი მმართველობა, და დაეს-

ვა ცარიელზე ყველა დოკუმენტისაგან, რაც მწარე და საშინელი შრომით მთელი თავის ისტორიული ცხოვრებით მას მოუპოვებია.

აი ეს არის მიზეზი, რომ სადაც გნებავთ, ევროპაში, თუ სხვა რომელსამე ქვეყანაში, ყოველი ცალკე განდგომილი ერის ჯვუფი, რომელიმე ნათესავი ხალხი და მთლათ რომელიმე ეროვნობა, მუდამ მზათ უნდა იყვეს, თუ ვინიცობაა გამოიჩინა ვინმებ სურვილი მისი დამორჩილებისა, დახვდეს ვაჟ-კაცურად და დაიცვას თავისი თავი, რაღანაც დამონაცება მას მოულებს ბოლოს, ისე როგორც თვითვეულს კაცს კაცად-კაცდი აღარ ეთქმის, თუ იგი გამხდარა მონად და ყურ-მოჭრილ-ყმად.

სადაც ერი უფრო წინ არის წაწეული, რაც უფრო მეტად მოპერინია მას სხივი განათლებისა, იქ უფრო ნაკლებ შესამჩნევია სხვის დახაგრა და დამონაცების სურვილი. გარნა ხალხთა წინ-სვლა ისე ნელა და თითქმის შეუმჩნეველად ხდება, მეტადრე ზნეობის განკარგების და განკეთილების შესახებ, რომ თვით უგანათლებულესა ეკროპის სახელმწიფოებში ურთი-ერთარისი დამოკიდებულებათა ძარღვად ითვლება უფლება მძღვრის. თუ არის სადმე საზარელი და შესაძრწუნებელი ომი და სისხლის ღვრა, ისევ იქ არის. სულ უბრალო და მარტივად მისახვედრი მიზეზი კი აღძრავს ხოლმე ერთს სახელმწიფოს მეორეს სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ იმ წვრილმანს საბაზებს და ხელ-წამოსაკრავ მიზეზებს არ მივიღებთ მხედველობაში, რომელნიც ათასნი გამოტყველებიან ხოლმე ლაშქრობის დროს და ამ მარტივად ასახსნელს საქმეს დაკვლანჭამენ ხოლმე. „გავძლიერდე სხვისით და არ-ვინ განვა-

ძლიერო ჩემით, დავასუსტო ყველა, ვინც ჩემზე ძვირს ჩა-
იდებს გულში და მივცე იგი შიშა და კანკალსა“. ეს
გახლავთ დევიზი, მცნებად აღიარებული ხალხთა-შორისი
პოლიტიკისაგან და ბეჭედ-დაკრული იმ ღრმა უზუცესისა-
გან, რომელსაც პოლიტიკური ისტორია ჰქვიან.

ვიდრე განათლებული ხალხის უმრავლესობა არ
მიხვდება ერთი ერისაგან მეორე ერის დახაგრის და და-
მონავების უსამართლობას და უღმერთობას, მანამდის
ხალხთა შორის პოლიტიკის დედა-ძარღვად, ქვა-კუთხედად
იქმნება ეს დევიზი: ინგლისი არა თაუთმობს გერმანიას,
გერმანია—საფრანგეთს და რუსეთი—ინგლისს. ინგლისს
ბრაზი მოსდიოდა ამას-წინათ რომ ახალ-თეკის ეკსპედიცია
ჰქონდა გამართული რუსეთს და შუა აზიისაკენ ნელა-
ნელა მიწევდა, რაღან მას აქვს იქით კოლონიები ინ-
დოეთში და ეშინია კლანჭი იმათაც არ გაჰკრასო. ამ
ხანებში საფრანგეთის ეკსპედიციამ თუნისში ხრუმირების
დასამონებლად საშინლათ შეაფუცხუნა იტალია. იტალი-
ის განზრახვა არის, რომ გაჭირების დროს მკლავი გაიწვ-
დინოს სამხრეთისაკენ და მაგრად მოიკიდოს ფეხი საზო-
გადოთ ჩრდილოეთის აფრიკაში, რაღან სხვა გზა არსა-
ითა აქვს განძლიერების და გაფართოვებისათვის თავის სამ-
ზლერებისა. ამ ორთ ტომთ შუა ამ ამბავმა ჩამოაგდო შუ-
რი და მძულვარება ეროვნობითი. თუმცა იტალიის და
საფრანგეთის ხალხი ერთის მოდგმის ხალხებად ითვლე-
ბიან, ესრედ წოდებულს რომანულს მოდგმად, მა-
ინც სახელმწიფოს მოსაზრება, ეროვნობითი ინტერესი
და პატრიოტული გრძნობა უფრო მძლავრი ძალა ყო-
ფილა ისე, რომ აცდენა არეულობისა მარსელში ფრან-

ცუზებ და იტალიანურს მუშებს შორის პოლიტიკური ამ-
 ბების-გამო შეუძლებელი გახდა და მართებლობა იძულე-
 ბული იყო ჯარის შემწეობით დაემშვიდებინა მეამბო-
 ხენი. იმაზედ ნუღარის ვიტყვით, რა კბილების კრაჭუნი
 და ციებ-ცხელება დაემართა თვით ოსმალეთს, რომლის
 ზეობას აღიარებს და ემორჩილება თუნისის ბეი. ოსმა-
 ლეთი ისეთი დასუსტებულს და გახრწნილს სახელმწიფოს
 აგებულებას წარმოადგენს, რომ იმისი არც გაჯავრებისა
 ეშინიან ვისმე და არც კბილების კრაჭუნისა. ისე უფა-
 ჩუნებენ თავში იმას ევროპის მთავარი სახელმწი-
 ფონი, როგორც ერთს დაბრივებულს და ყველასაგან
 ხელ-წამოსაკრავს ოდესმე ძლიერს, მაგრამ დროს განმა-
 მავლობით დაუძლეურებულს და ლაბერებულს სნეულს.
 თქვენი მტერი იყოს, ის იქნებოდა გაჭირებაში, რომ მას
 არ შველოდეს ერთი საყურადღებო გარემოება. ეს
 გარემოება სახელ-წოდებულია—პოლიტიკურ თანაბარო-
 ბად. აი რაში მდგომარეობს ეს საყურადღებო ფაქტი:
 აწინდელი მდგომარეობა ევროპის მთავარ სახელმწიფო-
 თა უნდა იყენოს უთუოდ შეუცვლელი მეტ-ნაკლებობით
 შესახებ მათ პოლიტიკურს ძალთა და დამოუკიდებულე-
 ბათა ურთიერთობისა. კაცებს, რომელთაც ამაზედ ზრუნ-
 ვა ჩაბარებული აქვთ, ჰქენიანთ დიპლომატები. რათ არის
 ეს საჭირო? აი რათ. წარმოიდგინეთ, რომ დღეს რუ-
 სეთს მიეცეს ნება დიპლომატებისაგან, რაც გინდა ის
 ჰქენითო, საითაც გინდათ იქით გაიშიეთ და განძლიერ-
 დითო—რუსეთი მაშინ სრულიად მილეწდა ოსმალეთს,
 შეიერთებდა ზოგს ნებით და ზოგს ძალით სრულიად
 სლავიანთა ტომის ხალხებს და ისეთი ძლიერი გახდებოდა,

რომ ექროპის სხვა მთავარ სახელმწიფოთაც შეიძლებდა და ემონავებინა და მუდამ შიშში ეყოლებინა. ამითი რასაკვირ ველია პოლიტიკური სასწორი გაბრუდლებოდა და შეიძლებოდა მთლად ჩოხეთი არეულიყო. რუსეთის მაგიერათ რომ უფლება ინგლისისთვის მიეცათ, ან გერმანიისათვის, საქმე ისევ ასე საჭიროანოთ დატრიალდებოდა. რომ ესეთი უბედურება არ დაატყდეს თავზე ევროპას, საჭიროდ არის მიღებული ოსმალოს ხელი არავინ ახლოს და თუ ხელს ვინმე ახლებს ყველა ევროპის მთავარ სახელმწიფოებს ნება აქვთ დაუშალონ ძალ-და-ძალ და საერთოდ ვარდაწყვიტონ, რა უნდა ქმნას ოსმალეთმა. თუ ჩამოერთმევა რამე ან ცალკე უნდა იყვნეს ის ჩამორთმეული, ხალხია, თუ მთელი ტომია, ისევე ხელ-მიუკარებელი სხვისაგან, ან-და გაყოფილ უნდა იქმნას თანასწორად მთავარ სახელმწიფოთა-შორის. აი ამ სადაციდარაბო საქმეს ჰქვიან ესრედ წოდებული აღმოსავლეთის საქმე, რომელმაც ყურები ცალკე წაიღო და იღაჯი ცალკე გაგვიწყვიტა. შეიძლება ოსმალეთი არ ყოფილიყო ასეთი კლანჭ-გამოსადები და საბაბაბო, მაინც საქმე ამისაგან ნამდვილად არ შეიცვლება. წარმოიდგინეთ რომ თუ არ ამ ნაირი პოლიტიკური სასწორი, თავის დღეში შეეიცარიას ვერ მოვესწრებოდით. ამ ერთი ბეწვა რესპუბლიკას ისე გაგლეჯდნენ, რომ მგონი ბურტყლიც აღარ დარჩენილიყო იმისი. აგრეთვე ბელლიის, პოლლანდიის საქმე მოხდა უწინ. ამათი დამოუკიდებელი არსებობა არ აბრუნდებს პოლიტიკურს თანაბარობის სასწორს და ამიტომ ხელ-შეუხებელნი ადგიან წინ-სვლისა და წარმატების გზას. პოლ-შელების სამეფო კი დაიგლიჯა. პოლ-

შელები სამუდამოთ გამოეთხოვნენ პოლიტიკურს და-
მოუკიდებლობას და საკუთარის წეს-წყობილობას, ავი
იყო თუ კარგი. ერთი ნაწილი ჩაიგდო გერმანიაში და
ანგლეთში, მეორე—ავსტრიაში და მესამე—რუსეთმა. ეს
მოხდა შე-18 საუკუნის დამლევს.—

ამ სამი წლის წინათ რომ ომი იყო რუსეთსა და
ოსმალეთს შორის, იმან ზოგიერთა ძალიან საყურადღებო
ამბავი მოიტანა და თუმცა ფაკტები მკითხველს უკვე
მოეხსენება ჩენ მაინც მოვიყენოთ, როგორ და რა შეუდგა
იმ ოშს, რომ აზრი ცარიელ სიტყვებად არ დარჩეს.
რაც ოსმალეთს ჩამოერთვა ის ასე განაწილდა: რუ-
სეთს ერგო ბათუმის და ყარსის მაზრა აზიაში და ევრო-
პაში ბესარაბია მცხოვრებლების დაუკითხველად, ავსტრი-
ენგრიას—გერმანიანა და ბოსნია, აგრეთვე მცხოვ-
რებლების დაუკითხველად, ინგლის—კიპრის კუნძული.
ხელ-შეუხებელი, მაგრამ ჩამორთმეული ოსმალეთისაგან,
თუმცა მის უზენაესს მფარველობის ქვეშევე დატოვებუ-
ლი, დარჩა ბოლგარია, რომელსაც ბერლინის ტრაკტატის
გარდაწყვეტილებით მიენიჭა წარმომადგენელობითი მმარ-
თველობა, ე. ი. კონსტიტუცია და ზეობისათვის აგრეთვე
თანხმად ბერლინის ტრაკტატისა ამორჩეულ ექმნა კნიაზი
ბატონინბერგი.

ჩენ გვსურს განსაკუთრებითი ყურადღება მკითხველი-
სა მივაკციოთ ბოლგარიის ეხლანდელს მდგომარეობაზე,
რადგან იქ ამ ცოტა ხანში შეცვლილ-იქმნა დედა-ბურჯი
ბოლგარიისწეს-წყობილებისა. ბერლინის ტრაკტატის ძალით
„მთავარი ბოლგარიისა უნდა აღმორჩეულ იქმნეს ხალხის
ნება-ყოფლობით და დამტკიცებულ ოსმალეთისაგან მთა-

ართა სახელმწიფოთა ნება-რთვით. არც ერთი წევრი მო-
ხელმწიფე გვარისა ევროპაში არ შეიძლება იქმნეს არჩეული
ბოლგარის მთავრად“. ამას გარდა სანამ აირჩევოდა მთა-
ვარი, მინამ ბოლგარის ხალხის წარმომადგენელთ ქ. ტირ-
ნოვოში უნდა შეემუშავებინათ ხელმწიფობითი გუჯარი ან
ლრამოტა. ისე რომ ვიდრე მთავარი ჩაიბარებდა მთავრო-
ბის თანამდებობას, მას უკვე უნდა სცოდნოდა ის პირო-
ბები, რა პირობითაც იწვევდნენ მას მთავრად. მთავარმა
ბატტენბერგმა ამ ორი თვის წინათ გამოსცა მანიფესტი,
რომლითაც აცხადებდა, რომ მართვა სამთავროსი აღარ
შემიძლიანო თუ კონსტიტუცია იქნებაო, ლიბერალურმა
წეს-წყობილობამ სამთავრო დაუძლებურაო. გამოცვალა
ლიბერალური სამინისტრო ჭარბავლებისა და შეადგინა,
თავის მომხრე კონსერვატორული სამინისტრო, რომლის
მოთავედ დაუყენა რუსის ღენერალი ენეროტი¹. მაინც
მოიხმო „ხალხის დიდი შეკრებულება“, თუმცა კონს-
ტიტუციის ძალით არ ჰქონდა უფლება და მოახდინა
არჩევანი დეპუტატებისა ამ შეკრებულებისათვის... ინგლისის
მთავარმა მინისტრმა მოსწერა ლიბერალების მოთავეს ცან-
კოვს მმართველობის მინდობილებით, რომ ინგლისი ყო-
ველთვის ცდილა და ეცდება უველგან ვამხნევოს და დაიც-
ვას წესიერება, თავისუფლება და კანონიერება. რუსეთმა გრ.
იგნატიევის პირით აღიარა, რომ იგი არ შეერევა ბოლგარის
შინაგან საქმეში. თვით ბოლგარის ლიბერალები და პატრი-
ოტები კი ამტკიცებენ, რომ ეს ამბავი სულ ავსტრიის და
გერმანიის შიზეზით მოხდაო, რადგან მათ ეშინიათ, რომ
წარმომადგენელობითი მმართველობა, ლიბერალების
ხელში ჩაეარდნილი, ძალიან ხელს უწყობს, ამაგრებს და

ასაზრდოებს ბოლგარის ხალხის ეროვნობითს გრძნობებს და ნაციონალური დამოუკიდებულობის სურვილსაო; მაშინ კი, როდესაც მთავრის ხელში იქმნება ჩავარდნილი, მომეტებული ძალა და სუკელაფერი იმაზედ იქნება დამოკიდებულიო, იმას საითაც გინდათ იქით მივდრეკავთო და ჩვენ გავლენას განვაჭრებულ მთელს წვრიმალ სლავიანთა ეროვნობათა ზედაო და არც ბოლგარის მივცემთ ნებას, რომ შეუერთდეს აღმოსავლეთის რუმელის ანუ სამხრეთის ბოლგარის და მაკედონის, რომ ამითი ეს სამთავრო უფრო კიდე არ განძლივრდესო.

ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

— ის 05 ბე. 8 — ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

— ის 05 ბე. 8 — ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

— ის 05 ბე. 8 — ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

— ის 05 ბე. 8 — ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

— ის 05 ბე. 8 — ასევა თუ ისე, დღეს ფაქტი თვალწინ გვიდევს და მთავარი გამარჯვებული გამოვიდა ბრძოლიდამ

Открыта полугодовая подписка на

еженедѣльный журналъ

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѦНІЕ“

(издаваемый въ г. Тифлисѣ)

Съ 1 Іюля 1881 года по 1 Января 1882 года.

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписаться на 3 мѣсяца — 3 руб. 20 коп.,
на 1 мѣс. — 1 руб. 20 коп. Подписка принимается съ 1
числа каждого мѣсяца и не далѣе конца года.

*Разсрочка во взносы денегъ допускается по соглашению
съ администрацію журнала.*

Подписка принимается исключительно въ администраціи
журнала, въ г. Тифлисѣ, близъ Головинскаго пр., по
безымянному пер. въ домѣ Тамамшеваго.

Издатель А. С. Френкель

Редакторъ А. В. Степановъ

„იმპზედ“ ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში,
რომილიც იმყოფება კუკიაში, საყდრის ქუჩაზე —
№ 18. კურონცოვის ძევლის ახლო.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიპარო
კურნალი ამ აღნესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію
грузинского журнала „ИМЕДИ.“*

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალა	ქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.
ნახევარი წლისა . — — — — 4 გ. 50 ქ.	მი თვისა — — — — 2 გ. 50 ქ.

ვისაც ქურნალი მისდით და ხვედრი ფული
ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე წარმოა-
დგინონ. ვთხოვთ ავრეთვე იმათაც, ვისაც მარტო
ზირველი ნახევარი წლის ფასი აქვსთ წარმოდგე-
ნილი, მალე გამოგზავნონ მეორე ნახევარ წლის
ხვედრი ფულიც.

ვისაც რომელიმე ნომერი ქურნალისა არ მისვლიათ
ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგულ
ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.

